

K 16.008  
2



„ეამსა ზაფხულისასა ცეცხლები  
 შემწუელი იგი მხურვალებად მზისად, ქარ-  
 ნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი;  
 რომლისა მკვდრნიცა მის აღვილისანი  
 სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი,  
 და განყვითლებულნი, დაწერტილნი და  
 დამშრშალნი და დამლიერებულნი, ჩარა-  
 დოვანნი, პირმსივანნი და დღემოკლედ  
 ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ  
 არს მათ ქუეყანათა“.—

(იაკობ ხუცესი.— „წამებად წმ. შუ-  
 შანიკისი).

K 16.008  
2



## ქართ პირველი

### უგედურად დაწყებული ამბავი

თავადი ყარამან: ახოვანი ვაჟკაცი. იქა-აქ ჭალარა შეპეარვია. სიარული ნელი, დინჯი. მალალი, მხარში ოდნავ წახრილი. შემოხედვა ამაყი, ჯიშიანი. ამღვრეული თვალები. ჩვეულებად გადაქცეული შუბლზე ხელის გადასმა, (ალბათ, სისხლი უვარდებოდა თავში).

მისი გვარი გრგვინავდა წარსულში.

გვარის მემატიანე დაშვრა ჭილაძეთა გმირულ წარსულის აღწერაში.

ეს გვარი ჰელობდა დიდებულ ჭყონდიდელთა კვერთხს და ზვიადად განაგებდა სანავარდოს, საჭილაოს, მარანს, ორპირს, ქორეისუბანს...

თავმომწონედ კითხულობდა ტყვირის ეკლესიაში წინაპართა ხუცურ წარწერებს:

„უფალო იესო ქრისთე ღმერთო,  
 შეეწიე, შეიწყალე და აცხოვნე სული  
 როვანოზ ჭილაძე, თანამეცხედრე მათი  
 უტანდარ ჩხეტიძის ქალი, ძიახარს, კა-  
 კას, ამინ“...<sup>1)</sup>).

ამაყობდა გვარიშვილობით, თავი მოჰქონდა; მაგრამ, როცა მარტო დარჩებოდა და ფიქრებს კრიალოსანზე ჩას-

<sup>1)</sup> სოფ. ტყვირის ეკლესიის წარწერა.



თვლიდა, მას იპყრობდა შიში იმ საგვარეულო ჟენისა, რა დიდებასთან ერთად რომ დაუტოვეს წინაპრებმა, და კვალ-დაკვალ რომ მოსდევდა მის მოდგმას.

ამ სენმა გაუთხარა მიწა მამამისს და მის ძმის ქახა-ბერს.

ეშინოდა თავისი თავის და უცქეროდა ნაღვლიანად თმის დაგარცხნის დროს თუნუქის სარკეში ამღვრეულ თვალებს. თვალებში იყო რაღაც დამაფიქვრელი და ვე-რანობა...

ის იყო ერთადერთი ნაშიერი უძველეს გვარისა.

თვრამეტი წლის იყო, როცა მილიციაში შევიდა და პრაპორშჩიკის ჩინი მიიღო. მონაწილეობას იღებდა შამილის ომებში, მალე დაწინაურდა და, როცა ილია ორ-ბელიანი შამილს ხელში ჩაუვარდა,— ის ბეწვზე გადურჩა ტყვეობას.

ცხოვრობდა ტფილისში ლაღად, უზრუნველად. მე-ფის მოადგილის არც ერთ ჩალსა და რაუტს არ აკლდე-ბოდა.

ქეიფობდა დიდებულებთან ერთად ქვიშხეთში, ახალ-გორში, ორთაჭალაში და საპთარასა და ლოპიანას მუხამ-ბაზებით თვრებოდა ჰაერი.

საქართველოს დარღსა და წარსულ დიდებას ლვი-ნოში თუ მოიგონებდა.

ტფილისს ჯერ კიდევ მანანა ორბელიანის თვალები ელანდებოდა და მწუხარე იყო მისი იერი ამ მხიარულე-ბაში.

ერთხელ მუნდირის პატიოსნების დასაცავად დუელიც ჰქონდა ერთ რუს ოფიცერთან, მაგრამ (ლვთის მადლით) ყველაფერი მშვიდობიანად გათავდა.

მალე ბედმა უმტყუნა:

ქვრივი დედის, აბაშიხეს, სიკვდილის გმბავი მოურა  
ვიდა და იძულებული შეიქმნა სამსახური და ქალაქი მიე-  
ტოვებინა, ოჯახს, მამულს დაპატრონებოდა და ცოლი  
ეთხოვა.

თავდაპირველად ყველაფერი რიგზე მიღიოდა:

სანავარდო ირეოდა ჭირნახულით. მადლი და დოვ-  
ლათი კალთით დაიბერტყა უფალმა. ბელლები გატენი-  
ლი იყო გაცეხვილი ლომით, ხულა ყველიან ხალმებითა  
და თაფლით საესე კოკებით, სასიმინდეები სიმინდით,  
ქვევრები საზედაშეო ლვინოებით და სახლის თავანი ტყლა-  
პით, ყაჭით და ნიგვზით.

მის გულს ახარებდა მოსიყვარულე ცოლი ციცინო,  
მუდამ თვალებში რომ შესცემოდა ქმარს და არ იცოდა  
რით ესიამოვნებინა მისთვის.

როცა ციცინო თვალებში უცქეროდა,—ყარამანს  
ეგონა მის თვალებში ბედნიერება იხედებოდა.

ციცინო ძველ მწიგნობრობაზე აღზრდილი მანდი-  
ლოსანი იყო და მზითვად ძველი ხელნაწერი „ვეფხის  
ტყაოსანი“ და „სახარება“ მოჰყვა.

ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხის ტყაოსანი“, „ფსალ-  
მუნი“, კითხულობდა „ეფუთს“ და წმინდანთა ცხოვრებას.

ყარამანის ოჯახში ინახებოდა ჭყონდიდელთა ძველი  
წიგნთსაცავი და ციცინო მუდამ ფრთხილად და მოწიწე-  
ბით ეპყრობოდა ამ წიგნებს.

ხანი გამოხდა.

სანავარდოში მოსავალი წლით-წლობით ხდებოდა,  
მაგრამ ყარამანს ეს არ აფიქრებდა, პეტრე-პავლობას მა-  
რულაზე იყო სენაკში, ნადირობდა, დროს ატარებდა და  
ცხოვრობდა უდარდელად.

ერთად ერთი ვაჟი ბონდო წამოიზარდა (მეტი ღმერ-  
თმა არ აჩუქა, მისი სახელის ჭირიშე!).

თავს ევლებოდა შვილს, ეალერსებოდა, მაგრამ ხში-  
რად აფიქრებდა შვილიშვილისა და ბაბუას უცნაური  
მსგავსება. მწარედ დაფიქრებული გავიდოდა აივანზე და  
იდგა ასე...

ადევნებდა თვალს სულგანაბული. ეშინოდა ხასია-  
თითაც არ დამსგავსებოდა მამამისს, დიდ ოტია ჭილაძეს,  
მთელ სოფელს რომ იკლებდა ავხორცობით.

მისი შიშით ქალიშვილი თავს ვერ გამოყოფდა გა-  
რეთ და გლეხი ლამაზ ცოლს ვერ ითხოვდა.

პირველად ეს მსგავსება მაშინ იგრძნო, როდესაც  
პატარა ბონდო ლიზიკიას თმებში ჩააფრინდა და საოცა-  
რი გამწარებით, ტკბობით და თითქოს ჟინითაც სწერდა.

გოგოს წივილი მას კიდევ უფრო აღიზიანებდა, ხით-  
ხითით სულს ვერ იბრუნებდა და ისე საშინელი იყო ეს  
ხითხითი, ბილწი, რომ ყარამანა ვერ მოითმინა, ფეხი  
იატაკს დაარტყა და უმისებო ღრიალი დაიწყო:

— დაიკარგე, შე მიწაგასახეთქო გოგო, აქედან!..—  
და ხმა ხავილით ჩაუწყდა.

ბავში შეკრთა, ლიზიკიას თმებს ხელი უშვა და  
თითქოს ჟინი იღრჩობდა, უცნაურად აქლოშინებული  
იატაკზე გაიშალა. და გული შეულონდა.

ყარამანს თავზარი დაეცა.

აივნის სვეტს აეტმასნა.

— ღმერთო ჩემო!.. ღმერთო ჩემო!.. პირწავარდნილი  
მამაჩემია, პირწავარდნილი მამაჩემი!..— დაიკვნესა მან  
მოსწყდა სვეტს, თმებში ხელწატანებულმა კიბე ჩაირბინა  
და გაისმა მისი ომახიანი ბრძანება:



— ბაზიერო, შე წუწკო, მიშინო ჩქარა და შეძებრები!..  
გაჩნდა ძალლების ყეფა.

ეჯვნიან მიმინოების ფათქუნი.

და ყარამან წავიდა სანადიროდ.

შეშინებული ციცინო შვილს აბრუნებდა.

თმაგაწწილი ლიზიკია სამზად სახლს უკან ბურულ  
ქვეშ ჩამოკიდებულ საბუდაროან კედელს მიყრდნობოდა  
და მოსთქვამდა თავის გაჩენის უბედურ დღეს.

ბუდეში კვერცხებზე მჯდარი კრუხი აფოფრილი  
კრიახობდა და ლიზიკიას საკორტნავად ეტანებოდა.

ასე იყო...

ხშირად ჩამოდიოდენ ნათესავები, მოყვრები, მოკე-  
თები, მეზობელ სოფლის თავად აზნაურობა და იმართე-  
ბოდა თვეობით გაბმული ქეიფი და დროს ტარება.

იყო თონეში ლავაშებისა და მჭადების ცხობა. და-  
საქლავ გოჭების ჭყვირილი და მოხვრების ზმუილი.

წუწკი ძალლები ენაგამოგდებული შესცეკროდენ დაკ-  
ლულის გამოშიგნვას და გადაგდებულ ფაშვზე იყო ღრენა  
და მზარეულის წყევა-კრულვა.

სამზარეულოში ლომის ზელვა და დაშუშება.

ხარშოს დუღილი, ჭაიჭადებისა და ხაჭაპურების  
ცხობა.

გაპუტულ გოჭებისა და ინდაურების დგინვა და მანვა.  
ქეიფი.

თავალებულ სადღეგრძელოების გადასვლა.

— დალიე!..

— დამილიე!..

თავადის ქალების კოპწიალ თვალების ნაბვა და აბ-  
რეშუმის ხაბარდიან კაბების ფართაში.



მრავალ-ქამიერის ჭერში შეტყორცნა.

ლომში დასვრილ თითების გალოკვა და სუფრაზე უხვად დაყრილ ლელვისა და კვახის ფურცლებზე და ხელ-სახოცებზე წმენდა.

მერიქითები ციბრუტივით ტრიალებდენ.

ტოლუმბაში სუფრაზე ომახიან ბრძანებას იძლეოდა. ცალ ხელში ცარიელი ყანწი ეჭირა და მეორე ხელით ღვინოში დასველებულ ულვაშებს იწმენდდა.

ხარხარი და სიმღერა.

არშიყობა და გადაკრული ჩურჩული.

ზმების გადატყორცნა.

ერთ ქართლიდან ჩამოსულ თავადს კნიაჟნა კატომ ხელსახოცის მაგიერ თავისი სათუთად დაკეცილი საცვალი შეაპარა და ქართლის თავადი დიდხანს იწმენდდა ზედ ულვაშებს, სანამ თავადმა პიპინიამ ხანჯლის წვერით არ ასწია იგი და მისი სამკაული არ გამოჩნდა.

— ვოოუ, ქორთუ!.. ქორთუ!..

გაჩნდა ხარხარი, ყიუინა.

თავადი აენთო.

ხანჯალს ხელი შეავლო, მაგრამ ანგელოზივით ნაზი ციცინო მის გვერდით გაჩნდა და გააფთრებული თავადი დამშვიდდა.

ასეთ ქეიფის დროს გაუჩინა ცეცხლი თავად ყარა-მანის სიმინდით გაძეგილ ნალიას ერთმა აზნაურმა სათვალსეიროდ და შუალამეში უზარმაზარ მაშხალასავით ენთო იგი.

ტაროები ტკაცუნობდენ, ცეცხლი ლოკავდა მიწაზე დამხობილ მოლრუბლულ ცას და მოვრალი სტუმრები ხელში სავსე ყანწებით აღტაცებულ თვალების ლიცლიცით შეს-ცეკეროდენ რა ლამაზად იწვორა სასიმინდე.

იყო ყანებში მწევრებითა და მიმინოებით ნაღირობა  
ოხრდებოდა ყანები, ითელებოდა გლეხის ნაწვავ-  
ნადაგი.

ყოველდღე იყო მიმინოების ძართან ბაზიერის ტუ-  
ჩის შრუპუნი და ახალ დაკლულ ქათმის ნედლი, ჯერ კი-  
დევ თბილი ხორცის ძლევა.

სახაბაზოში მწევრებისათვის მჭადების ცხობა.

ურაცხენების ახალ მოსილულ რიონის ჭალებში  
ხედნა და მარულა.

გლეხები ყანებში მუშაობდენ, აკვდებოდენ დედა-მი-  
წის.

გულუხვი სანავარდო რამდენიმე შელიწადში და-  
ბერწდა და არ იყო ის მოსავალი, ოდესლაც სასიმინდეე-  
ბში და ბელლებში რომ ვერ ატევდენ.

დაიკარგა ხვავი და ბარაქა.

დედამიწას ძუძუ გაუშრა.

გვალვამ დახეთქა იგი.

სანდახან ნაღვლიანად მოისმოდა ნაღური და მწუ-  
ხარე სიმღერები ყანებიდან.

სანავარდო გახვეული იყო აორთქლილ ხაშმი და  
გვალვაში.

უზარმაზარ ეკლის ხსტეებში პაპანაქება ზუზუნებდა  
და მის ჩრდილში შეწოლილი სიცხით სულშეხუთული ღო-  
რი ოხრავდა.

ღობის სარჩე წამოგებული მზისგან გახურებული  
გამხმარი ცხენის თავი თეთრად ლაპლაპებდა და შიგ მომ-  
წყვდეული გვალვა ჭიხვინებდა ვაყასავით.

თაკარა სიცხე დაეცა მიწაზე და სულთქმა იხუთე-  
ბოდა.

ხაშმი და ოლმური იყო დაკრული მთელ სანავარ-  
ღოზე.

ბატონები, თუ ქეიფი არ იყო ან ნადირობა, ისხ-  
დენ უზარმაზარ კაკლის ჩრდილ ქვეშ, ნებივრობდენ და  
რამდენი მზე მოადგებოდათ, იმდენ ჭილოფს აჩოჩებდენ  
და უვლიდენ ხეს ირგვლივ.

იყო ლაზლანდარობა და ძველი ამბების მოყოლა.

პატარა ბონდოც აქ იყო, ყურს უგდებდა უფრო-  
სებრ ან-და რიკ-ტაფელას თამაშობდა.

სოფელი იღუპებოდა.

ციებ ცხელება ჩაწვა სოფელში და ხსნა არ იყო  
მისგან. არავის ეცალა მისთვის.

გლეხს რა ექნა, საწყალს!.. ღვიანოს თუ იშოვიდა,—  
დალევდა,— ეს იყო მისი წამალი.

მღვდელი არ იცდიდა ციების შიშით. სოფელ ია-  
ნეთიდან მოჰყავდათ. წირვისათვის.

სენი მძვინვარებდა ყველგან.

უეცრად გლეხთა განთავისუფლების ამბავიც მო-  
ვიდა.

შეიქმნა მხიარული მითქმა-მოთქმა.

ყარამან დაიბნა. მისი ოჯახი დალუპვის კარამდის  
იყო მისული. სოფელი განადგურებულიყო.

გლეხები კერიას დაუბრუნდენ.

დარჩა ყარამანის ოჯახი მარტო.

მხოლოდ მახინჯი, უპატრონო ლიზიკია არ მოშო-  
რებია.

აწეწილი ოჯახისა და მამულის საქმეები კიდევ უფ-  
რო აიწეწა.

ერთი პირობა დატრიალდა, სცადა ოჯახის ფეხზე

დაყენება, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ხელი ჩაიქნია და  
მიუშვა საღავე.

მამულებს ლობეები შემოალპა. თხრილები მიწით  
ამოივსო, ეზოს ჯიჯლაყა მოედო. რიონიდან გადმოსულ  
წყლებს გასავალი არ ჰქონდა და ჭაობებით აიგსო სანა-  
ვარდოს მიდამოები.

გზები არ ვარგოდა. სთველის შემდეგ მტლად გაო-  
ხრდა ურმებისაგან და ყარამან რჩებოდა მთელი ზამთ-  
რობითა და შემოდგომობით ჩაკეტილი თავის მამულში.

ერთადერთი გზა ორპირის გზა იყო.

სტუმრად არავინ მოდიოდა. არც არავინ იწუხებდა  
თავს. რა უნდოდათ გაღატაკებულ ოჯახში!

ვინმე თავაღებული მგზავრი თუ გაათევდა ლამეს.

ოდას ყავარი შემოალპა და წვეთავდა.

დედაკაცები აადულებდენ ტყემლებს; წოიოს და  
ტყლაპს შეინახავდენ, კვახს დააბინავებდენ, ლვინოს გა-  
მოსწურავდენ, ნედლ სიმინდს და ნიგოზს ოდის თავან-  
ზე გაშლიდენ და დადგებოდა შემოდგომის ატირებული  
დღეები.

საჯავახოს მთები დაინესტებოდა და ლაინის ფერს  
გადიკრავდა.

ხანდახან ყანჩების გუნდი თუ გადიფრენდა მწყობ-  
რად და მათი ყიყინი შეარყევდა წვიმიან ლამეს.

დაიწყებდა გულის შემაწუხებელ კვირაობით გაბმულ  
წვიმებს და წყალს გაჰქონდა ნაღვლიანი ტანტალი ყავ-  
რით დახურულ ოდაზე.

მიწა დალპებოდა წყალში.

ოდის ოჭვაოთოს სისხლის ფერი ხავსი გადაეკვრებოდა.  
ჭაობი და ჭონჭყო დაინესტებოდა.



ბუხრის თავში უბინაო ქარი ატირდებოდა მაგრა არ მოგადის.  
გაძარცული ძეწნები და ტირიფები გარუჯული ჩონ-  
ჩებივით იდგენ ჭაობში ნალვლიანად წაფერდილნი და  
სტიროდენ ზამთრის სისასტიკეს.

რიონი ზარმაცად მიღუდუნებდა.

იხვებით გაივსებოდა ყველაფერი და გლეხები იჭი-  
რდენ მახეებით გედებს; გარეულ ინდაურებს და უგზავ-  
ნიდენ ძღვნად ყარამანს.

პატარა ბონდომ არ იცოდა რა ექნა სიხარულით.

მიანებებდა თავს სიმინდის ნაკორტალით აშენებულ  
გოჯილას და ეალერსებოდა ყელყარყარა გედს.

გრძელ ღამეებით ფოთის მხარეს წითლად შეიღე-  
ბებოდა ზეცა მონადირეებისაგან პალიასტომის ლელში  
და ლაქაშში გაჩენილ ცეცხლის გამო.

პატარა ბონდო ცხოვრობდა ამ ღანდებში, ემუსაი-  
ფებოდა მათ, ჰეკუნიდა, დასდევდა, ეთამაშებოდა.

ასეთ ღამეებში ყარამან მოუყვებოდა მას ლეკის  
ომის ამბებს და ბონდო ყურს უგდებდა, ცეცხლის პირას  
ჯირკოზე მობუზული, ოცნებით სავსე თვალებით.

ბონდო: მიმინოსავით მაღალი ცხვირი, მთრთოლა-  
ვი ნეუტოები და ვნებიანი ტუჩები.

მისი ქაცური, გონიერი და ნალვლით ამღვრეული  
შემოხედვა მნახველს ფარულ მორიდებასა და სიფრთხი-  
ლეს აღუძრავდა.

სოფლის ბიჭებსა და თანატოლებს არ უყვარდათ  
იგი, სამაგიეროდ მასაც სძულდა ისინი.

დადიოდა მარტო საკუთარ სამყაროში, სადაც ყვე-  
ლაფერი ცოცხალი იყო.

ხალიჩაზე ამოქსოვილი სამკაულები მისი ძვირფასი  
მეგობრები იყვნენ.

ეალერსებოდა ტფილისიდან ჩამოტანილ გენურლების სურათებს.

ყოველ ღამით, როცა ბონდოს დაწვენდენ, ხალი-ჩა მოიხსნებოდა კედლიდან, წამოვიდოდა ზღაპარივით გაშლილი და ჩაიხუტებდა ბონდოს.

ყველაფერი დაიტვირთებოდა მოჩვენებებით.

ოთახის ავეჯეულობა სულს აიღგამდა და დაიწყებოდა იღუმალი ცხოვრება.

ბონდო ნებიერ ბატონიშვილივით იჯდა ხალიჩაში.

ინდოეთიდან და ქირმანიდან აღჯანაბადით და ინ-დიხურმით დატვირთული ქარავანი მოემართებოდა მი-ნანქრის სასახლისაკენ.

იგი ელოდა ნუშივით მოგრძო წყვილ თვალებს და მოუთმენლად უჭერდა ხელს ბზის გოგუთს. თეთრი რაშე-ბი მოაგდებდენ ოქროს მოაჯირთან ძვირფას ტახტრე-ვანდს, მზეთუნახავი გადასწევდა ოქსინოს რიდებს და შავი თვალები შეანათებდა ბონდოს სულში.

გადმოვიდოდა ოქროს ქოშებით და შეგებებულ ბონ-დოს ჩამოეკიდებოდა ფარლულივით კდემამოსილი მაღალ კისერზე.

მთელი ღამე იქნებოდა ალერსი მინანქრის სასახ-ლეში და ძნელი მონები სდარაჯობდენ მათ სიყვარულს.

სურნელებით დამთვრალი ბონდო წააძრობდა მზეთ-უნახავს ოქროს პატარა ქოშებს და დაეკონებოდა მის ფეხებს.

დილამდის იცოცხლებდენ ისინი ნობში და, როდე-საც პირველი მამალი იყივლებდა, მზეთუნახავი დასტო-ვებდა ბონდოს სარეცელს და ტრფობით დალლილი, ლურჯ იებივით მაღლიერ თვალებით აკოცებდა გაცრე-

ცილ ტუჩებში და წყნარად გავიღოდა ზურმუხტის ძირ-  
კვილებიან აივანზე.

გაფრინდებოდა მზეთუნახავი ტახტრევანდით.

ალერსით დაქანცულ ბონდოს ჩააწვენდა ნოხი ლო-  
გინში და გათენებისას ჩაეძინებოდა მამლის ყივილში.

მეორე დღეს ჟინიანობდა, ტიროდა და ნატრობდა  
მალე დალამებას.

დადიოდა ჩუმად და ოცნებობდა ლამის სტუმარზე.

თავდაპირველად ბავშის ეს სენი აშინებდა მშობ-  
ლებს, მაგრამ მერე შეეჩვივნენ.

ყველაზე ძლიერ ქნი ციცინო ღელავდა.

სად მკითხავთან არ ჰყავდა კულაშში, ნათვალევიც  
გამოალოცვინა, გამვლელ ჩაჩნებისაგან შანაც იყიდა და  
გულზე ჩამოჰკიდა, მაგრამ მაინც არა ეშველა-რა.

ერთ ლამეს ქნი ციკინო მას ზლაპარს უამბობდა.  
ბონდო იდაყვზე დაყრდნობილი ყურს უგდებდა. ქნი ცი-  
ცინო გაიტაცა ზლაპრის მოყოლამ.

იგი ამბობდა ზლაპარს გასაცარს: ფოლადის ნის-  
კარტიან ცეცხლის ფასკუნჯზე, უმცროსი ძმის გმირობა-  
ზე, მზეთუნახავზე, ცხრათავიანი მდევები სძრავდენ ქვე-  
ყანას, დედამიწა ზანზარებდა შათ ფეხქვეშ, მღვდელს ეკ-  
ლესია ზურგით დაჭქონდა,—ლაპარაკობს ქნი ციცინო  
და იგრძნო, რომ აკანკალებული ბავში მკერდში მიეკრა  
და ანთებულ თვალებით ჭერში ხელაპყრობილი ემუდა-  
რებოდა:

— დედია!.. დედია!.. მეც იქ მინდა, დედია, მეც!..

— სად, შვილო?.. ვისთან?..—შეეკითხა ფერშემქრთა-  
ლი ციცინო შვილს და წელზე ხელი შემოჰკვია.



— მზეთუნახავთან, დედია, მზეთუნახავთან!.. ხედავ,  
დია, ხედავ, მიფრინავენ!.. მიფრინავენ!.. — იკივლა ბონდომ  
და ფეხზე წამოიჭრა.

ცოტა ხანს ასე იყო გარინდებული, მერე თვალები  
ცრემლებით აევსო, სახეზე ხელები აიფარა და ამდულრე-  
ბული ჩაემხო დედის კალთაში.

დედა აყვავებდა შვილს, ცრემლიან თვალებს უკო-  
ცნიდა, გულში იკრავდა...

იმ ლამითვე მოილაპარაკეს დედ-მამამ და გადას-  
წყვიტეს ქალაქში გაეგზავნათ.

— მაკრინე მალაზონმა თუ გაგვითვალა, იმ წყეულ-  
მა!.. — სთქვა ყარამანმა.

ქ-ნ ციცინოს ფერი ეცვალა.

მთელი ღამე ტრიალებდა ლოგინში, არ ეძინებოდა.  
რომ არ გაელვიძებინა, ფრთხილად ეალერსებოდა, ეტო-  
ლებოდა გულში ჩახუტებულ მძინარე ბონდოს.

მეორე დღეს იყო ტანისამოსის კერვა, გამზადება.  
საგზლად ხაჭაპურებისა და გომიჯების ცხობა.

ციცინო წიგნს სწერდა ძმას ქალაქში: ბონდოს თვა-  
ლის ჩინივით გაფრთხილებოდა.

ძლვენი მზადდებოდა.

ბონდო მოცოცხლდა.

უხაროდა ქალაქის ნახვა.

მამისაგან ბევრი ჰქონდა გაგონილი და მის გონე-  
ბაში ჯადოსნურად იდგა ეს ქალაქი. იქ ხომ ისეთი გე-  
ნერლები დადიოდენ, ოდაში რომ სურათები ეკიდა.

ერთი კვირის შემდეგ მამა-შვილი გაემგზავრა.

მიყუჩდა ოდაში ყველაფერი. მხოლოდ ციცინოს ნა-  
ღვლიანი და წყნარი სიარული არღვევდა დარბაზის მყუ-



დროებას. ხშირად ჩაემხობოდა ციცინო თავის ლოგინში და სტიროდა გულამომჯდარი. ბონდოს ბედი ულრლნიდა გულს ვინ იცის რა მოელის მის შვილს ქალა-ქში! ის ჯერ კიდევ პატარაა, სუსტი. რამე რომ დაემართოს, ხომ შეიშლება ციცინო, თავს მოიკლავს!

გადიოდა დღეები.

ჩამოვიდა ყარამან. ჩამოუტანა ცოლს ძმისაგან მოკითხვა, პირის კოცნა, რძლისაგან ძლვენი. უამბო: რა კარგად მოაწყო ბონდო კეთილშობილთა სასწავლებელში, მაგრამ ციცინოს გული მაინც არ ისვენებდა.

გადიოდა თვეები.

დედის გული იღრღნებოდა შვილის სიყვარულითა და შიშით.

გავიდა ერთი წელი.

ციცინო თანდათან დადნა, ჩამოხმა. ქალის სნეულებამ მთლად მოუღო ბოლო.

ხშირად გამოეღვიძებოდა ყარამანს ციცინოს ტირილისაგან და ამშვიდებდა, ნუგეშს სცემდა.

— რა დაგემართა, შექალო, ხომ არ მომკვტარა ი ბალნა, რა გატირებს? — საყვედურობდა ყარამან მეულლეს.

ასე გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები...

ყარამან გრძნობდა, რომ სიკეთე არ მოელოდა მის ოჯახს.

სოფელი წყდებოდა ზამთარში ჩაყოლილ ციებით.

ოჯახის საქმე უკან მიდიოდა.

ციცინოს ხველება დააწყებინა და ყარამანმა მთელი სისრულით მაშინ იგრძნო საშინელების მოახლოვება, როდესაც ციცინომ ნახველს სისხლი ამოაყოლა, მაგრამ თავს მაინც იმით ინუგეშებდა, რომ საქმე როგორმე მოგვარდებოდა.



ერთ დღეს მან უცნაური წერილი მიღებულია  
ქმისაგან: იგი სწერდა: ბონდო მშვენივრად სწავლობს, მა-  
გრამ სწუხდა, რომ რაღაც უცნაური სენი გამოაჩნდა: „რაც  
ხა შემოაფრინდება გულბოყვში, წააქცევს და კანკალს  
დააწყებიებსო“.

ყარამანს თავზარი დაეცა.

იდგა გაშეშებული და თვალებში ორი მღულარე  
ცრემლი გაღმოჰვირდა.

დიდხანს იდგა იგი ასე ჩატიქრებული, მერე ღრმად  
ამოისუნთქა, შუბლზე ხელი კანკალით გადაისვა, შემო-  
ტრიალდა და ნელი ნაბიჯით ოთახში შევიდა. კედელზე  
ეკიდა მამამისის დიდი ოტის ჭილაძის სურათი ვიღაც  
მოგზაურ იტალიელ მხატვარ პატრის მიერ დახატული.

შექერდა.

გამოხუნებული სურათი დასცქეროდა ყარამანს ბე-  
ბერი ლომივით ამაყი, და მრისხანე დიდი ბატონის გამო-  
ხედვა იყო გოროზი და სასტიკი.

თეთრი თმა-წვერი ფაფარივით ეყარა მკერდზე და  
თვალები... ამღვრეული, ნაკრისფერი...

ყარამან შედრეა.

მასში კიდევ იყო შიში და მორიდება მამის ხსოვ-  
ნის წინაშე.

დიდხანს უცქეროდა იგი პატარა და საცოდავი ამ  
სურათს.

უეცრად ტანში შეაჭრეოლა, ათრთოლებულ ხელში  
წერილი მოკუმშა და გაბოროტებულმა დაჭრილ ნადირი-  
ვით დაიბლავლა:

— მოშორდი ჩემ შვილს, შე ბებერო ყუბაქო, მო-  
შორდი!..— და აქვითინებული ჩაემხო იქვე. მერე საცოდავი,



მიწასთან გასწორებული, წელში გაიმართა და ცოტმლი ახალუხის კალთით შეიწმინდა.

— მაპატიე, გულთამხილავო, — მომიტევე სულმოკლეობა!.. — ჩურჩულებდა იგი და ღმერთს პატიებას სთხოვდა მამის აუგად ხსენებისათვის.

სასტიკი ლანდი ისევ ცივად დასცექეროდა ყარამანს უაზრო თვალებით.

ყარამანმა შეხედა მამას, ვერ გაუძლო მის თვალებს, წელგაწყვეტილი წამოდგა და ლასლასით ძლივს გაათრია ფეხები გარეთ.

მოვარდა გულგახეთქილი ციცინო. აყვავებდა ქმარს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. აილო წერილი, წაიკითხა და ისიც ატირდა უნუგეშოდ, ქალური უმწეობით და ეს ტირილი კიდევ უფრო უღადრავდა გულს ყარამანს.

შემოვარდა ჩამოძონძილი ლიზიკია, გაკვირვებული უყურებდა ბატონებს და ვერ გაეგო რა ხდებოდა მის ორგვლივ.

ამის შემდეგ ყარამანმა ლოთობა დაიწყო. ხშირად ღამესაც არ ათევდა სახლში.

ციცინოს მთელი ღამეები არ ეძინა, — ახველებდა, ოხრავდა.

ცოტა ხანს შემდეგ ყარამან ქალაქში გაემგზავრა შვილის სანახავად. ციცინო სახლში დარჩა. ყარამანმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ვერაფერით ვერ დაიყოლია ცოლმა, რომ ისიც წაეყვანა: ის ავადმყოფი იყო, სუსტი და სად გაუძლებდა ერთი კვირის სავალ გზას!

გავიდა რამდენიმე კვირა.

ციცინო გზას გასცექეროდა და ელოდა ქმარს შვილის ამბით.



— ლიზიკია, ძლაბო, ერთი ალაგეზე გადადი და გზას  
გახედე, ბატონი ხომ არ მობძანდება! — მაგრამ ბატონი  
არ სჩანდა.

ციცინო მთლად ჩამოჭკნა და ლოგინად ჩავარდა.

შემოდგომის წვიმები ატირდა ოდის თავზე.

ბოლოს ჩამოვიდა, როგორც იქნა, ყარამანი ნაღვლი-  
ანი და უამბო ყველაფერი ციცინოს. უამბო ისიც: რო-  
გორ ევედრებოდა შვილი რომ ის რუსეთში გაეგზავნა  
უმაღლეს სწავლის მისალებად და როგორ დასთანხმდა.

ამის გაგონებაზე ქ-ნი ციცინო მთლად მოსწყდა.  
მან დაპყარგა იმედი შვილის ნახვისა, გადაბრუნდა კედ-  
ლისკენ და ტირილი დაიწყო.

ყარამან მუდამ დაფიქრებული დადიოდა.

ლოთობას უმატა.

ციცინო თანდათან ცუდად შეიქნა.

მოხუცდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ყარამანს საყვარელი ცხენი  
მოჰკარეს ბანძელებმა.

ეძება, ეძება, მაგრამ ვერ იპოვნა.

და ასე უკულმა დატრიალდა ყველაფერი.

ერთ ღამეს ვიღაცებმა მტრობით ხორავით სავსე  
ხულა დაუწვეს.

და წავიდა ყველაფერი, დაქანდა მოლიპულზე...

## ქართველი მეტრი

### ზაგორის ფილადობილა

დადგა ღამეები ბნელი, დაყურსული.

ატირებული, წვიმიანი ზამთრის ღამეები.

წვიმები... წვიმები... წვიმები...

ამდორებული რიონი ზარმაცად მიდუდუნებდა.

ღამე ოუ გაისმოდა გარეულ იხვების ულივილი.

ხანდახან ამოვარდებოდა უბინაო ქარი და დაიწყებდა უზარმაზარ დასველებულ ფრინველის მხარმოტეხილ ფრთა-სავით სახლის ყავარზე ხმაურობას. დაათრევდა ფრთას და ჰკვნესოდა მომაკვდავივით.

ქარი ზუზუნებდა.

ბუხრის თავზე შემჯდარი გაყინული ჭინკა დამზრალ თითებზე სულს იბერავდა და კნაოდა საცოდავად. ხან აღ-გილს შეინაცვლებდა და ამოვარონილ ბოლს კუდაწე. ული ზურგს შეუშვერდა, რომ ჯდომისაგან დასველებული წელქვეითა აღგილი გაეთო.

საცოდავი იყო ჭინკა, გამხდარი, მოძუძგული!

ხანდახან ცხვირს აცემინებდა, ახველებდა.

სურდო სჭირდა ჭინკას!

ქ ნ ციცინოს ოთახში ბუხარი ღუღუნობდა და სვე-ლი წიფელის შეშა გულის გამაწვრილებლად შიშინებდა. ასე დადგებოდა გრძელი, უდაბური ღამეები.

ავადმყოფობისაგან მიბნედილი ციცინო იწყვა დარწეული დიანი და მორჩილად ეგებებოდა ძაბრივით დამხობილ მაღალ ლამეებს.

ფიქრები ძაფივით გაიბმებოდა და არ იყო იმედი გათენებისა.

ლამე სდარაჯობდა მის უძილო თვალებს.

ფიქრობდა წარსულზე: პატარა მოკლე კაბიან გო-  
გონას დაესიზმრა შვილი. მას ბონდო ერქვა. იგი მე-  
ტად ჰგავდა მის დედოფალას და მას, ჯერ კიდევ პა-  
ტარას, ჯერ კიდევ სულ ახლად აფეთქილ მკერდით, ისე  
შეებრალა კიდევ უფრო პატარა ბონდო, რომ ტირილი  
დაიწყო. დედა ეფერებოდა ციცინოს, აყვავებდა, მაგრამ  
ვერ მიმხვდარიყო რა ატირებდა.

ციცინომ მას შემდეგ იგრძნო, რომ იგი ქალდე-  
ბოდა, რომ მისი მკერდი ერთ ლამეში დამწიფდა მოუ-  
ლოდნელად.

როცა დილით გამოელვიძა, იგი უკვე ქალი იყო, მას  
შერცხვა თავის საკინძგახსნილი მოვის პერანგის და ურუ-  
ლაატანილი ბალიშს ჩაეხუტა.

ციცინო ახლაც, ლოგინად ჩავარდნილი, გაჭალარე-  
ბულ ტმებით, ოცნებობდა თავის შვილზე ისე გატაცებით,  
როგორც მაშინ ქალიშვილობისას.

საოცარი ხმები დადიოდა მასზე.

რუსეთიდან ორპირში ჩამოსულები რას არ ამბო  
ბდენ:

- იგი რუსხენწიფის კარზეა პეტრებუხში და თავ-  
აღებულ ქეიფსა და ნავარდს ეწევა...
- ვილაც ფრიელინას ჰყვარობს...



— ვილაც საეჭვო ხალხთან აქვს საქმე და რუსულ-  
წიფის მოკვლა უნდა...

— ფულს უზომოდ ფლანგავს და გარყვნილ ქალთან  
•ცხოვრობს... — და ათასი სხვა.

ხმები... ხმები... ხმები...

ციცინო ყურს არ უგდებდა ამ ხმებს, — არ სჯერო-  
და... მაგრამ მისი გული მაინც იხარშებოდა ბოლმით და  
დარღით.

მის წინ ჯერ კიდევ ის სუსტი, ნაზი ბონდო იდგა  
და ეს ამბები არ უდგებოდა მის წარმოდგენას.

როცა იგი წარმოიდგენდა: რა სუსტი იყო ბონ-  
დო, — მეორე დღესვე განსაკუთრებულ საქმიანობით დაი-  
ბარებდა ყარამანს და იყო ანგარიში რომელი მამული გა-  
ეყიდათ, რომ ბონდოს ფული არ შემოჰკლებოდა.

სუჯუნელი ვაჭარი, ურია ცხაკუნია მიხალეშვილი,  
გაღმოთვლიდა ქისიდან ოქროებს და ასე ოხრდებოდა,  
იყიდებოდა, იფლანგებოდა მამა-პაპეული სიამაყე.

ცხაკუნია მიხალეშვილის ოქრო იყო ყველგან გაბა-  
ტონებული, თვით სტამბოლშიც წკრიალებდა იგი.

ცხაკუნიამ გამოხრა დიდება ყარამანის გვარისა.  
მისმა ოქრომ გაანიავა ყველაფერი.

ასე მიღიოდა ღამეები ციცინოს ოთახში.

ლიზიკია კუთხეში იატაკზე თავის დაძონძილ ლოგინს  
გაშლიდა და ნეტარ ძილს მიეცემოდა.

მისი დასიებული სახე, ძილში ღიად დარჩენილი პირი,  
ჩაშავებული კბილები და ბინძური თმები ციცინოს ხში-  
რად აშინებდა.

ასეთ ღამეებში იჯდა მამლის ყივილამდე მის ოთა-  
ხში ბუხართან ყარამან ფერშემკრთალი, სახედაღარული.



თბილებდა ყალიონს, აფურთხებდა ბუხარში და ფიქრობა..  
და. ხანდახან ამოიოხრებდა, მდგომარეობას შეიცვლიდა,  
ჩოხას შუხლის თავზე გადიკეცვდა და ისევ ფიქრებს მი-  
ეცემოდა.

ისმოდა ოთახში ცეცხლის მხიარული ღულუნი, მძი-  
ნარე ლიზიკიას ხროტინი და ციცინოს კვნესა.

გარეთ აწანშალებული, ლამის ლანდებით დამფრთ-  
ხალი უბინაო ქარი ოდის კედლებს ესრისებოდა და წი-  
ოდა თმაგაწეწილი.

ალვის ხეები და გაძარცული თხმელის ფშიარი ხმა-  
ურობდა.

— რამსიგძე ყოფილა აი ნავარი ღამეები!..—ამოი-  
კვნესა ციცინომ და შუბლზე ხელი გადისვა.

— რა უყოთ მერე, შექალო, გზა სიარულმა დალია  
და ღამე ძილმა!.. დეიძინე აწი, მეისვენე!..—უპასუხა ნა-  
ღვლიანად ყარამანმა.

— ნეტაი გაზაფხულამდის მივაწევდე და ჩემი ბონ-  
დოს ნახვას მომასწრებდეს უფალი!..

— რამ შეგაშინა, შექალო, პატარა მეითმინე და  
კარქათ შეიქნები!..—უსაყვედურა ყარამანმა და ჯირკოზე  
მდგომარეობა შეიცვალა.

— ეეჭ!..—ამოიოხრა ციცინომ მწუხარედ.

— ეეჭ!..—ამოიოხრა ვილაცამ მის გვერდით ბალიშ-  
თან და ციცინო შეკრთა.

— ვეჟო, ვინაა თავზე რომ მაღგას?..—დაიკივლა მან  
ზარდაცემულ თვალებით.

შეშინებული ყარამან ფეხზე წამოიჭრა.

— არავინ, გულო, ვინ უნდა იყოს?..

— ვინაა სარკმელში რომ ოხრავს?..

— არავინ, შექალო, რა დეგემართა?... — ეკითხები ფერი და კარგული ქმარი.

— ეეჭ!.. — ამოიკვნესა მან უსასოოდ და ხელები ლოგინზე მოწყვეტით დაუშვა.

ლამე შავი ლექვივით დაგორდა და ყეფით, ყმუილით გაქანდა ეკლესიის გალავანში და ახლა იქ ატირდება ჯვრების რიზკულებში და ეკვდრის ჩუქურთმებში.

ასე ებრძოდა ქ-ნი ციცინო ლამეებს და, როცა იგი ოდნავ დამშვიდდებოდა, ყარამან გავიდოდა თავის ოთახში მოსასვენებლად.

ციცინო დარჩებოდა მარტო თავის თავთან და მძინარე ლიზიკიასთან, რომლის ხვრინვა ფრთას ასხამდა ოთახის ლანდებს.

არ იყო ხსნა აკვიატებულ ფიქრებისაგან: სოფელი გაწყდა. ოჯახი წაიქცა. დიდი გვარი სულზე მისული. არის მხოლოდ ბონდო და ისიც გადაკარგულია, ავადმყოფი.

ყარამანიც წახდა, გატყდა წელში, ალარაა კაცი-შვილი.

ციცინო ხედავდა როგორ აწაშებდა ყარამანს გვარის ამოწყვეტის შიში და არ იცოდა რით ენუგეშებინა ქმარი.

ახლა თვითონაც ლოგინად ჩავარდა.

ასე ფიქრობდა ციცინო ობოლი და უნუგეშო, მიტოვებული ლამის უდაბნოებში.

ლამის ლანდები სულს აიდგამდენ და დაიწყებდენ ოთახში ბორგვასა და ტორტმანს,

ცეცხლი წითლად ანათებდა ოთახს.

ლანდები ეხუტებოდენ ერთმანეთს, ჰკოცნიდენ, იცინოდენ უხმოდ, მუნჯად. ციცინო უცქეროდა მათ ენაჩა-

ვარდნილი, საძრობის უნარდაკარგული. ერთი შაოგანი ბუხართან, ჯირკოს ქვეშ რომ იყო მუშტის უდენდ მოკუშტული, ადგა, წამოვიდა ტორტმანით. იგი ერთი ბეჭვაა, ერთი ციდა. შავი, გარუჯული, მუნიანი და მას დასველებული ბინძური ლექვის სუნი ასდის. მიუახლოვდა ციცინოს ლოგინს და თავი დაუკრა.

— ლამე მშვიდობისა, ქნო ციცინო, როგორ გიკითხოთ?..

ციცინო წევს, განძრევა არ შეუძლია, და აი, იგი ხედავს რომ ჭინკას არც აცია, არც ცხელა, შეხტა ჭინჭრაქასავით და მის ლოგინზე გაჩნდა. მისი მუნიანი შავი ბეჭვი ბზიალობს. ქონი წაუსვამს ტანზე, ამ სასიკვდილეს, და საზიზლარი სუნი ასდის! სულ მთლად ერთი ბეჭვა, სასაცილო, ჩამოჯდა საბნის ნაოჭზე, კუდი მუხლებზე გადმოიდო და შიგ მოურიდებლად რწყილების ხილვა დაიწყო.

გარუჯულ კარდალივით გამურულ სახეზე თვალები ბრმის გათეთრებულ ბისტებივით ციალებენ.

ციცინო წევს გარინდებული და ზარდაცემულ თვალებით უცქერის მას.

— რამ შეგაშინა, შექალო!.. ერთ ექვსიოდე თვეს კი იცოცხლებ და მერე რა უჭირს, ერთს ღრმად ამოისუნოქავ, დაამთქნარებ და გათავდება ყველაფერი!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. გათავდება!.. ნუ გეშინა!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. მერე მოცლილი მემატიანე გამოიძრობს ყურში გარჭობილ ბატის ფრთას და დასწერს:

„ქორონიკონსა ამასა და ამას, უამსა მეფობისა სკვითთა მეფისა, დღესა ამასა და ამას, ოდეს ანგლიჩანები აგებდენ გზასა რკინისასა და რვალისასა, თანა-



მეცხედრემან ყარამან ბატონის ფლინ ცურ  
ცინო ხეციხემ განუტევას სული ჩავისი  
და წარსდგა უფლისა წინაშე".

— ხე!.. ხე!.. ხე!.. ასე სწერდენ თქვენი გვარის მემა-  
ტიანენი!.. ხე!.. ხე!.. ხე!.. — ხითხითებს იგი, მთლად ტოკავს  
და იხრჩობა სიცილით, ხრინწიან დედაბერივით ოხრავს,  
სულს ვერ იბრუნებს, მერე ხველება აუტყდება და ახვე-  
ლებს დიდხანს, ახველებს საცოდავად, ბოლოს, როგორც  
იქნა, ნახველს იღებს და აფურთხებს იატაპზე.

ჩამოვარდა დუმილი.

ცეცხლი ისევ გუგუნებს.

ლანდები ისევ დაებოტებიან ოთახში.

ძვალვამთბარი ჭრიჭინა მოცოცხლდა ბუხარში და  
გულის შემაწუხებლად ჭრიჭინებს.

ჭინკა არ სცილდება ციცინოს ლოგინს. კუდის რიკში  
ერთი რწყილი მონახა, გაკვნიტა, მაგრამ არ მოეწონა და  
გვერდზე გადააფურთხა.

ისევ განაგრძობს:

— ხედავ, თქვენი სოფელი წყდება!.. თქვენც გა-  
წყდებით, გაპარტახდება ყველაფერი, მაგრამ ეს არაფე-  
რია, არაფერი!.. სამაგიეროდ მოვა წვივმაგარი ხალხი და  
ახლა ისინი დასწერენ ახალ მატიანეს!.. მეც მაციებს, მა-  
კანკალებს!.. ბოროტია ციება და ბოროტია თქვენი სა-  
ნავარდოც!.. აქ ჭინკებსაც აციებს!.. მე საწყალი, პატარა,  
საცოდავი ჭინკა ვარ, უპატრონო!.. ჩემი სახელი თათ  
ხან, ჩემო ბატონო!.. მაქვს პატივის გაგეცნოთ!.. თა  
ხან!.. მართალია, სახელი დიდი მაქვს, მაგრამ ეს არაფე-  
რია!.. ხანდახან უზარმაზარ მდევს ჰქვია სულ უბრალო

პატარა სახელი!.. ასე რომ თქვენ ახლა მე უკვე მიცნობთ!.. ერთი სიტყვით, დაბრიყვებული ვარ!.. ყველას მე ვძულ-ვარ, არ უყვარვარ!.. შენც მარტო ხარ, ხომ, ქ-ნო ციცი-ნო, ამ უდაბურ ღამეებში?.. სულ მარტო, მიტოვებული შენ თავთან!.. ოო, რა ძნელია შენ თავთან მარტო დარჩენა, ძნელია, ძნელი!.. მე მეტი არ შემიძლია!.. — და ცი-ცინო ხედავს რომ ჭინკა მართლა სტირის და კუსუნობს გაჭირვებულად.

საცოდავი ჭინკა!.. საბრალო ჭინკა!..

— გუშინ სახლის თავანზე კატა გამომეკიდა, ძლიეს ავასწარი ბუხრის თავზე. იქ, თავანზე, ბევრი ნიგოზია, ხახვი და ბია!.. მე და ჩემი ცოლი ყაბუზუნა თავს ვი-ქცევთ, ნიგოზს ვთამაშობთ და იმაზე ვაყოლებთ გულს!.. ახლა ისიც ავათაა!.. მელოგინეა ჩემი ყაბუზუნა!.. მას ორი პატარა შვილი შეეძინა: ქია და კოკო!.. ჯერ ჭიპიც არ შეხმობიათ მუცელზე და ისინი ისე შესაქცევნი არიან! ახლოს არ მიკარებს ყაბუზუნა და მე სულ მარტო ვარ!.. ვთამაშობ მარტო, თავს ვიქცევ!.. ლარძაყინებზე ჩამოკიდებულ ლა-მურებს ვიჭერ. ისინი ისე საცოდავნი არიან, წრიპინებენ უმწერდ!.. და ასე ვცხოვრობ ჩემთვის!.. ერთ დღეს, რო-ცა მე თაგვს ვეთამაშებოდი, ხატავერი კატა მომეპარა, მომეპარა, და უცებ გაღმოხტა ჩემკენ!.. — დაიძახა ჭინკამ, ციცინოს ყელში ეცა და ახრჩობს, მას განძრევა არ შეუ-ძლია...

უნდა იყვიროს, მაგრამ ვერ ჰყვირის... აი... აი... და უეცრად აღმოხდა:

— ლიზიკია!.. ლიზიკია!..

ლიზიკიას არ ესმის, — სძინავს.



ციცინომ მიიხედ-მოიხედა, — არავინ არის განკალება, აკიებს.

— ლიზიკია, შენ დეგეფსო მაი ყურები!..

ლიზიკიას არ ესმის.

— ლიზიკია, ძლაბო!..

გოგოს, როგორც იქნა, ელვიძება, თვალებს იშმუშნის და უშნოდ იმანჭება, ძილისთვის თავი ვერ წაურთმევია.

— რას მიბძანებ, ქალბატონო!.. — ბუტბუტებს ჯერ კიდევ ბურანში.

— რას გიბძანებ და სიკვდილს შენსას... ხომ ხედავ არ მეძინება, შენ არ დაგაძინა მამა ზეციერმა!.. ცეცხლს მიხედე და ზღაპარი მომიყევი!..

ლიზიკია დგება მთლად მრგვალი, დაბალი და წი-  
თელი, დასიებული სხეულით, მოგრეხილ დაუბანელ ფე-  
ხით, ბინძურ ხამის პერანგისამარა და ცეცხლს უზრავს  
ბუხარში. ცეცხლის სინათლეზე ხამის პერანგში გულის-  
შემომყრელად ილანდება მსუქანი წითელი სხეული. მერე  
თითებით ცხვირს იწმენდს, მძიმე ქშენით მიბაჯბაჯდება  
თავის ქვეშაგებთან და წვება.

— რომელი მოგიყევ ქალბატონო?.. ასთურცელაზე,  
ამირანზე, თუ ბაყაყთა დედოფალზე?..

— რომელცხა გინდა იგი მომიყევი!.. — შეუტევს ქალ-  
ბატონი ციცინო და მოახლე ლიზიკია იწყებს ზღაპარს.

იგი, თვითონ უზარმაზარ, წამოწოლილ გომბეშოსა-  
ვით, ამბობს ენის მოქცევით ზღაპარს.

ციცინო ყურს უგდებს.

ცეცხლი ბუხარში ღულუნობს და ქარი სადლაც იქვე  
ბოქნის ძირში ჰკივის და მოსთქვამს.



ყვავები ყაყანით გადიფრენენ ბუხრის სველ ფრთებს ითბობენ ავარდნილ ბოლზე.

### ზღაპარი:

იყო და არა იყო რა.

იყო ერთი დოდო ბაყაყი.

იჯდა დიდ ჭაობში გაუთხოვარი.

მთვარიან ღამეში გამოვიდოდა იგი და ციების ლორწოს დაჰლვრიდა ირგვლივ.

მისი ყიყინი შიშის ზარს სცემდა მის ქვეშევრდომებს.

გველი ვერ უბედავდა შეტევას.

თვალებდაკუსული, მწვანე გადმოჯდებოდა ლაქაშის ლერწზე და გაჰყურებდა ნაპირს.

გამგლელს შეავლებდა თუ არა თვალს, გაიბერებოდა, კიდევ უფრო დაკუსავდა დაკუსულ თვალებს, დააშტერდებოდა და დაბნედილ მგზავრს სიცხის ალმური გადაჰკრავდა, ყურები წივილს დაიწყებდა, ფეხს წაიფორხილებდა, მოსხლტებოდა ნაპირს და ჭაობში ჩაიღრჩობოდა, წავიდოდა ფსკერში.

ავი იყო (დოდო) ბაყაყი, უზარმაზარი გომბეშო იყო იგი!..

მწვანე, მუცელ გასიებული.

ყიყინზე ყბები საბერველივით ებერებოდა.

ასე ცხოვრობდა დოდო ბაყაყი, გაუთხოვარი დედოფალი ბაყაყებისა უსიყვარულოდ.

მას ისე უნდოდა სიყვარული, ძლიერ  
უნდოდა!..

მიეხუტებოდა მზისგან გახურებულ ლერ  
წამის ლეროს და იყო ასე გარინდებული.

ოცნებობდა როგორი ნეტარებით ზი-  
დავდა ზურგით საყვარელ ქმარს, აესნატებო-  
და და ტკბობის ალმურში დალევდა სულს ..

მოდიოდენ სასიძოები,—ჯიშიანი ბაყა-  
ყები, მაგრამ დედოფალს არავინ მოსწონდა,  
ვერავინ დაიპყრო მისი გული და ისინი ყბაში  
წნელგაყრილნი ისჯებოდენ თხრილის პირეს.

ერთ დღეს, როდესაც დოდო ბაყაყი იჯდა  
ლაქაშის ლერწზე, ფეხის ხმა მოესმა.

გაისნატა და უცდის მგზავრს, რომ ისიც  
დალუპოს ჭაობის უძირო ლორწოში.

უცდის, და აი—გამოჩნდა თეთრი თავა-  
დი ცხენზე ამხელრებული, მოდის იგი ამაყი  
და თავალებული.

ხელში მწყაზარი მიღინო უფართქალებს  
და ეჟვანი წკრიალობს.

აენთო ბაყაყი. მის დანახვაზე რაღაც  
მოაწვა ყელში და მზის ალმურში გაფიცხე-  
ბული, უინატეხილი უცქერის ბიწიერებით აღ-  
სავსე ახალგაზრდა ბატონიშვილს, შინდისფერ  
ახალუხხზე თეთრი თივთიქის ასირმული ყაბა-  
ლახი რომ გადუგდია.

ბატონიშვილმა მოიხედა, — შეხედა ბა-  
ყაყს.



— ღმერთო, რას ჰეთავს ეს ბაყაყი!... —  
გაიფიქრა ბატონიშვილმა და თვალს ვერ აშო-  
რებს გომბეშოს.

ბაყაყი ნთქავს მას ვნებით დაკუსულ  
თვალებით.

— ღმერთო შემეწიე! — ჩურჩულობს ახალ-  
გაზრდა თავადი.

— ღმერთო მიშველე!... — ბუტბუტებს იგი  
და მას წელი წყდება, ცხენზე ვერ მაგრდება,  
სადაც ხელილან უვარდება და მოწყვეტილი  
ეშვება ჭაობში.

გაისმის შემდორებული წყლის ხმაურობა.  
ჭავლის სალტეები მწვანე ბეჭდებივით იშლე-  
ბიან და თავადის გრუზა თმები ტივტივებენ  
წყლის ზედაპირზე.

გომბეშო ეკონება მის ტუჩებს, აკვდება,  
ეალერსება, მაგრამ ახალგაზდა ბატონიშვილი  
უძრავია, მკვდარი.

გომბეშო იკივლებს შემზარავად და მის  
კივილზე დამფრთხალი კუკორინა ამოვარდე-  
ბა ლელიანიდან და ჭუკჭუკით მიფრინავს გაღმა  
ნაპირას.

ყანხა უშნოდ მიებოტება დამპალ წყალში  
და კუდაბზაკუნი ბოლოს აქანქალებს კვიმატად.

დოლო ბაყაყი მოსთქვამს თავის უიღბლო  
სიყვარულს.

მწვანე ცრემლები სცვივა მის დაკუსულ  
თვალებს და იშხამება ყველაფერი.

  
მზე უზომოდ აჭერს ჭაობს და ავარიუნილი  
შხამი სიტკბოსავით ლივლივებს მიწის ზედა  
პირზე.

გაგანია სიცხეა ირგვლივ.

გვალვით შეწუხებული ლელიანში ჩაფე  
ნილი კოლოები სულს ძლივს იბრუნებენ და  
შხაშს ინახავენ, რომ საღამოთი მეტი სიმწარით  
მოშხამონ სანავარდოს მიღამოები.

— სტირის ბაყაყი!..

— სტირის ყველაფერი!.. — ლაპარაკობს  
ლიზიკია.

— გძინავს, ქალბატონო?.. — ეკითხება იგი ციცინოს.

— არა, შე სასიკვტილე!..

იგი უამბობს ქ-ნს, როგორ მოსთქვამს დოდო ბაყა-  
ყი. უამბობს, რა უსაზღვროა მისი მწუხარება.

უდროვოდ დაქვრივდა დოდო ბაყაყი.  
მას, ახალგაზდა გოროზ სასძლოს, არ ეღირსა  
სიტკბოება საქორწინო ღამისა და ჭაობის  
სარეცელში სატრფოს გაციებული გვამი ასვე-  
ნია. მას კი ისე უნდა ეხუტებოდეს მის მკერდს,  
— ძლიერ უნდა. ქეჩოაყრილი, უინატეხილი და-  
ებოტება საქმროს ცხედარზე, ნერწყვავს მის  
დახუჭულ თვალებს, ოქროს კულულებში და-  
ლორწილ თათებით იბუდნება, იფოფრება და  
სტირის.

— მოსთქვამს ბაყაყი...

— მოსთქვამს ბაყაყი... — ამბობს ლიზიკია  
და ისევ ეკითხება:



— გძინავს, ქალბატონო?..

— არა, შე სასიკვტილე!..

ლიზიკია ისევ განაგრძობს.

ძილის იდუმალება მეფება ირგვლივ.

გარეთ ღამე კნავის.

ბუხარში უკანასკნელი დანაკვერცხლებული ცეცხლი  
ლულუნობს, ლულუნობს ბუხარი და დუმილია ოთახში გა-  
მეფებული, ძილი...

სძინავს ციცინოს...

აველას სძინავს...

ფრთააწყვეტილი ქარი ზუზუნობს და ჰკივის ბუხრის  
თავზე, შორს ზარის მოწყვეტილი რეკა გაისმის, — ეს ქა-  
რი შეიჭრა სამრეკლოზე.

ქარია გარეთ...

ქარია გარეთ...

ოდაში სძინავთ...

## კ ა რ ი გ ე ტ ე ბ ა

### ისევ ჭილადობილა

ასე მიღიოდა ზამთრის დღეები.

იქა-აქ ისლით დახურულ ქოხებში ამოდიოდა ბოლი და ნისლს უერთდებოდა.

ბაგაში დაბმული ხარები და ცხენები ხმაურობით ცოხნიდენ გამხმარ ჩალას.

ჩალის ზეინები ყვითლად ჩამოსტიროდენ ხეებიდან.

აჭარილ ყანები გაივსებოდა წყლით და გამხმარ ჩაჩიებზე შემჯდარი ყვავები ყაყანობდენ.

წაფერდილი სასიმინდეები დაწუწულ ყანჩებივით მობუზულიყვნენ.

გული ლონდებოდა ასეთ ამინდებში.

ყარამან ოდაში ბოლთასა სცემდა, ყალიონს აბოლებდა, თუ ყალიონს არა,—ოჯალეშს შეექცეოდა, ან-და გასწმეს დდა ვერცხლით მოსევადებულ ძველებურ ფილთას და წავიდოდა სანაღიროდ.

ციცანო იწვა.

ოდის დარბაზში ყავარი დამპალიკო და წვეთავდა ნელა, ხანდაზმით და მის ოთახში ისმოდა ზომიერი ტანტალი წვიმის წვეთების.

ლიზიკია შემოიტანდა ახლად მოწველილ რძეს, კვეთს უზარდა და ბუხრის ცეცხლს შორი ახლო მიუდგამდა.

შეხედავდა ქალბაზონს, თავს ჩააქნევდა, კაბის გულ  
თით ცრემლებს მოიწმენდდა და გარეთ გავიდოდა.

ყარამან ან ოთობდდა ან-და ფუქრობდა გულჩახვე-  
ული.

შემოვიდოდა იგი ციცინოსთან, დაჯდებოდა მის  
ჭინ, შუბლზე ხელს მზრუნველობით დაადებდა და შეჩვეულ  
ნალვლით იტყოდა ხოლმე:


— შენ ისევლე სიცხე გაქს, გულო, მარა არათერია,  
გაზაფხულზე მერიეთებ!.. ზაფხულისთვის ბონდოც ჩამოვა!

ციცინო ამოიოხებდა და ქმარს უნუბეშოდ შეხე-  
დავდა.

ყარამან ვერ გაუძლებდა და ათრთოლებული, სხვას  
რომ ვერაფერს მოახერხებდა, ფრთხილად დაეკონებოდა  
მის ტუჩებს.

შენელებული ვნება მყუდრო ალერსში გადადიოდა.

ციცინო ვერ აიტანდა სითბოს ვნებისას, დაღლილ  
ძარვებში ღვინოსავით რომ შეეპარებოდა, და ლრმა სუნ-  
თქვას დაიწყებდა.

ყარამან მოსწყდებოდა მის ტუჩებს და დამნაშავე-  
სავით იდგა თავდახრილი (რავა იქნება ავაღმყოფ აღამია-  
ნის ასე შეწუხება!) 

ციცინო მოსიყვარულე და მაღლიერ თვალებით შეს-  
ცეროდა ქმარს.

ყარამან შუბლზე ხელს გადისვამდა და, ალელვება  
რომ დაეფარა, ოთახში გაიარდა.

ჩამოვარდებოდა სიჩუმე.

— ძნელია, გულო, ძნელი!.. რა გაუძლებს ამ ზამ-  
თარს!.. გული შიტირის, მარა რა?.. იმიზა ყოფილა გა-  
ჩენილი, აი ნავარი, რომ იტიროს!.. — იტყვის იგი წყნა-  
რად და ისევ ლოგინზე ჩამოჯდება.



— ეჭ, რამეფრათ ამ ზამთარს თუ გვიცირე, შეკურაცხას იმედი კიდო მაქს!.. ჩემი ბონლო, ჩემი ოქროს კაკალი, ბიჭი!.. ჩამოვა იგიც!.. რავა დემეკარქა ჩემი თვალის ჩინი!.. ვინ იცის ახლა რავაა, იმას შემოევლო დედამისი.

— ნუ სწუხხარ, შექალო! გამოზაფხულდება და ჩამოვა!.. უსაშველო ხომ არაა, აწი!... იცი, ხანდახან მესიზმება და მიჩივის რომ თავი ტკივა. „აა, აქანა მტკივა თავიო!..“ მეტყვის აცრემლებულ თვალებით და გულზე მომეულდება!.. — ამბობს ყარამან და ცრემლმორეულ თვალებს დარცხვენით დაუშვებს რომ ციცინომ არ შენიშნოს.

— გახსოვს, თოლიგე, რავა უყვარდა ზამთრის ღამები!.. — ამბობს ციცინო.

— მახსოვს!.. — უპასუხებს ყარამან და თავს მწარედ იქნევს.

— გახსოვს, რავა უყვარდა ცხენზე ჯდომა, მისი ჭირიმე?...

— მახსოვს!..

— გახსოვს, რავა ეშინოდა შეცხადების?

— მახსოვს!.. — უპასუხებს ყარამან ოდნავ შემკრთალი.

— გახსოვს, რა ნალვლიანი გამოხედვა იცოდა?

— კმარა, შექალო!.. — დაიძახებს იგი ოდნავ ხმამალლა, შეშფოთებული ფეხზე წამოიჭრება, შუბლზე კანკალით ხელს გადისვამს და მიდის ნელა წელგალუნული კარებისაკენ.

ციცინო ამჩნევს რომ ყარამანს ცრემლები აღრჩობს და ოდნავ მოხრილი მხრები თრთიან ახალუხის ქვეშ.



ამის შემდეგ ყარამან მთელი დღე ბოლოს ასცემოდა  
და ოთახში, ყალიონს აბოლებდა, თუ ყალიონს არა,  
ოჯალებს შეექცეოდა, ან-და გაწმენდდა ვერცხლის ზარ-  
ნიშიან ძველებურ ფილთას და წავიდოდა სანადიროდ.

ასე მიდიოდა დღეები...

წვიმა სცრიდა, იუინულებოდა.

დასველებული ქათმები ოდის ქვეშ მობუზულიყვნენ  
და ფრთებს იკიკნიდენ.

მოვიდოდა თოვლი, წყლიანი თოვლი და მიწაზე და-  
ცემამდის დაღნებოდა.

ხნულები და ეკლით დაბურდული ჩაქცეული თხრი-  
ლები გაივსებოდა ნაწვიმარით.

სადღაც გოჭი ჭყვირილით ეძებდა თავის ტოლებს.

ეზოს ოქან ხის ეკლესიას და სამრეკლოს მწვანელ  
დამპალი ყავარი ჩამოსტიროდა.

წათერდილ საფლავის ჯვრებზე ყვავები ყაყანებდენ  
და სენაკიდან გამოსული მაკრინე მონაზონის მწუხარე  
ლანდი თუ დააფრთხობდა. აფრინდებოდენ, დამწვარ ქა-  
ლალდის ფერფლივით აიშლებოდენ ნაცრისფერ ცაზე და  
ხავსგადაკრულ სამრეკლოზე შემოჯდებოდენ.

თოვლს გადილებდა.

მწუხარება იყო ყველგან, დუმილი.

ტყეში გლეხი შეშას აპობდა.

დაეცემოდა ნაჯახი უხმოდ თხმელის ნამორს და მე-  
რე მოისმოდა ხმა ნაგვიანევად.

სადღაც მამალი ყიოდა უდროვოდ.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოფრინდა ზღვა თო-  
ლიებისა.

მოედო მინდვრებს, მოედო საყანეებს და გადათეთ-  
რდა ყველაფერი.



ნაღველი... ნაღველი... ნაღველი...

ვიზუალური  
ვიზუალური

ურია თუ ჩამოივლიდა შარაზე თავისი გაჯახირებულ  
ცხენით, ან-და ტფილისიდან დაძრული ქარავანი და და-  
არღვევდა ეუვნების ნაღვლიან წყარუნით ამ მყუდრო-  
ებას.

ხანდახან ორპირის ბოლაზში გემი აკივდებოდა.

ლილისფერი მთები გულს ისე ამძიმებდა, თითქმს  
ისინი იქ კი არა,— გულში ეკიდენ თავდალმა თავისი მძი-  
მე ყომრალისფერი ნისლებით.

ასე მაღიოდა ზამთარი.

დაღგებოდა მარტი.

ტყემლები და ალუჩა საქორწინო დედოფლებივით  
აყვავდებოდენ.

ხე კვირტს გაუშვებდა.

ღობილო ტირილს დაიწყებდა.

ბაგილან გამოუშვებდენ ხარებს, ცხენებს.

ხბოები კუნტრუშობდენ ეზოში და თავს ვერ იკა-  
ვებდენ გალიბულ მოლნარზე.

დადგებოდა აღდგომა.

ნამარხულევი ხალხი დააძლებოდა ლორის ხორცს,  
საცივს და ოჯალეშითა და ჩხავერით გამოიბრუებოდა.

ნასიმშილევ კუჭზე ლორის ქონი და ფქვილის ლო-  
მი გულს ასუყებდა.

ექლესიაზე გამთენის წირვა.

ჩაკირული კვერცხები და მანანით დაწითლებული  
თითები და ტუჩები.

გამოყითლებული გვიზიანი გოვო-ბიჭები ახალ ხა-  
მას ნიფხავ-პერანგით შემოისებოდენ.

ეკლესიაზე საკუროხის მიტანა.



საფლავებზე წითელი კვერცხების გორებზე ჩამოძონძილი მღვდელი და დიაკვანი დადიოდებს საცეცხლურის ქნევით საფლავიდან საფლავთან. ღიაბი გადახედვით საკურთხეს ათვალთვალებდენ.

იხდიდენ მცირე პანაშვიდებს და სტენიდენ ხურჯინს ცხვრის კანჭებით, მრგვალად მოხარშული ქათმებით, წითელი კვერცხებით.

ღვინოს კოკებში ასხამდენ.

ყბაახვეულო, თეძოამოგდებული მნათე თან ახლდა და ხურგზე მოკიდებულ ხურჯინით დაჰკვებოდა მღვდელს და დიაკვანს.

ციცინო იწვა და ახველებდა.

მღვდელი სახლში მიულოცავდა აღდგომას.

სახლს უკურთხებდა.

ციცანო ბონდოს აღლევრძელებინებდა, პარაკლისს გადაახდევინებდა.

გაძლებოდა მღვდელი და დიაკვანი, ჩაიდებთენ ჯიბეში თითო ვერცხლის მანეთიანს, ციცინოს ანუგეშებდენ, პირჯვარს გადიწერდენ, შეჯდებოდენ ჯორზე და ჩაქაქით წავიდოდენ საკურთხის გასაყოფად.

ნათლულები ძღვენს მოუტანდენ.

ლიზიკია გაუმასპინძლდებოდა.

ციცინო უცქეროდა ნათლულებს და თვალებზე ცრუმლები მოადგებოდა, რომ ბონდო, მისი ძვირფასი შვილი, ოჯახში არ იყო ამ დღესასწაულ ღღეს.

თავს თანდათან უარესად ჰერძნობდა.

ძლივს მოათავა ბონდოს ჩოხა-ახალუხის ქსოვა.

მკითხავები ულოცავდენ.



ერთი სკაპეციც ექიმობდა, მაგრამ საშველო რა და  
ადგა და არა.

ასე მივიღდ ზაფხულამდე.

ეწერი ჭილოფით შეიქოჩრა და კოლოები აზუზუნდენ.  
დაიწყო ყანების თოხნა.

მარგლა და მოროდი.

ჭორთა სიმინდით დაითარა მთელი სანავარდო.

ტყეები გასჭრეს და ახალი საყანეები გაჩნდა.

დედამიწამ მოუშვა ძუძუები.

ერთ დღეს ციცინოს გამოელვიძა.

შეშფოთებულმა სცადა წამოწევა, მაგრამ ვერ მა-  
ხერხა.

დამფრთხალ თვალებით მიიხედ-მოიხედა და, თითქოს  
პირველად ხედავდა, ისე ათვალიერებდა ყოველივეს.

რა მშვენიერება ყოფილა მის ირგვლივ ყველაფერი  
და მან მხოლოდ ახლა შენიშნა, როცა სიცოცხლემ თი-  
თქმის ჩაიარა.

შეხედა ბუხარს, იგი კირითაა შეფეთქილი და ლი-  
ლით შეფერადებული. ისიც მშვენიერი იყო.

შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ ნამზითვ ნოხს და  
ახლა შეამჩნია რომ საოცარ სამკაულებით იყო ნაქარგი.

აირია ფერები. უცნაური სახეები ერთი-მეორეს ეთა-  
მაშებიან, ეცილებიან ბრწყინვალებაში, და ციცინომ მხო-  
ლოდ ახლა იგრძნო რა გატაცებით უნდა ეთამაშნა ბონ-  
დოს მათთან.

იქვე, მის გვერდით, ყაჭ-ს ფთილით ჩანიშნული ნამ-  
ზითვი მძიმე „ვეფხის ტყაოსანი“ იღო, გადაშალა და იქ,  
სადაც იყო ტაეპი:

  
 „გიჯობს ცუდათ ნულარა სტირ,  
 ვარდი კულადცა რაღ დასტენე,  
 და მზემან მეტი რაღა გიყოს,  
 აპა ბნელი გაგითენე“.

გარკვეულ ხელით, მაგრამ მკრთალი ჭიათურას მელ-  
 ნით გვერდითვე ეწერა:

„სიყვარულსა მალვა უნდა,  
 როგორც ცხენსა ნაპარევსა“...

მერე:

„თუ მთვარე ცხრა იყოს, სისხლის გამოშობა არ ვარგა“.

წაიკითხა ციცინომ და უეცრად, ყოვლად უმიზეშოდ  
 შეებრალა თავისი თავი, თვალები ცრემლებით აევსო და  
 ბუხარს შეხედა.

ბუხრის თავზე ნახშირით ბონდოს დაბალების წელი  
 იყო აღნიშნული:

„დაიბადა ჩყ... წელსა  
 ნათლის ლებისა სწორსა“.

და უეცრად, თითქოს ტვინი გაეხსნაო, ისე ნათლად  
 მიხვდა, რომ მალე მოკვდება.

გადაბრუნდა ლოგინში, თავზე საბანი წაიხურა და  
 ტირილი დაიწყო.

დაიბარა ყარამან.

მოვიდა იგი და ლოგინზე ჩამოჯდა.

— მე ბონდო მინდა, ყარამან, ბონდო!.. — დაიძახა  
 მან განწირული ხმით.

ყარამანს თავზარი დაეცა. ციცინომ პირველად მი-  
მართა ქმარს სახელით და იგრძნო, რომ საქმე ცუდაზ იყო.

აკანქალებული ხმით ანუგეშებდა ცოლს, ეფერებოდა.

— მე ბონდო მინდა, ბონდო! . გული მეუბნება, რომ  
დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია!.. უკანასკნელად მინდა  
ვნახო!.. — ემუდარებოდა ციცინო ქმარს, გამხდარ მკლავებს  
კისერზე ჰქვევდა, ჰქოცნიდა, მერე მისუსტებული მოწყდა  
და ბალიშებში თავჩარგული, მუშტის ოდენად მოხრილი,  
ატირდა უნუგეშოდ...

ამის შემდეგ ყარამანმა საჩქაროდ დასწერა წიგნი  
და შვილს გაუგზავნა.

ეს მერამდენე წერილია აქედან რომ წავიდა, მაგრამ  
პასუხად ორის მეტი არ მოსულა!..

დაჲკარგა კაცმა მშობლების პატივისცემა და სიყვა-  
რული!

## ქ ა რ ი მ ა რ თ ხ ე

### ტ რ ა მ ა

ჭაობი და ჭონჭყო.

ლელი და ლაქაში.

აქა-იქ ისლით დახურული წაფერდილი ქოხები.

ეზოები მოლნარით გადამწვანებული.

ქოხების წინ პერანგის ამარა, მუცელგასიებულ, გა-  
მოყვითლებულ ტყირპიან გოგო-ბიჭების ფეხშიშველი ტან-  
ტალი და ჭაკუნის თამაშობა.

მჩისაგან გამობარ მწვანე ლორწოიან ჭაობებში ქვე-  
წარმავალთა ნებიერი ზმორება და ოორთქლილი ხაშმი  
ციებ-ცხელებისა.

რიონის ამდორებული. მღვრიე დენა.

პატარა დამპალ მდინარის ლოლობას ნაპირები  
ხსტეებითა და ფშანით დაბურდული და კალათიანი ქა-  
ლები ეკალას საკრეფად შეფენილნი.

ახლად გამოროდებული ყანები და ნალიების ტივ-  
ტივი მწვანე სიმინდის ყანებში.

✓ ჩამონგრეული ლობები.

დამპალი წყლით სავსე თხრილები და შიგ ჩაწო-  
ლილი ულლიანი გამხმარი ლორის ნეტარი ოხვრა.

თხრილის პირას ანწლებში ფეხდაბორკილი ხის სა-  
რეკელიანი თხები და მხეზე გაფიცხებული ბაყაყები, მგზა-  
ვრის გავლაზე რომ წყალში მწიფე ნაყოფებივით სცვივიან.



გვალვის ცხელი ზუზუნი და საღლაც ჭიჭინობელის გულის შემაღონებელი ჭრიჭინი.

აქა-იქ აშოლტილი ალვის ხეები და დაკრუნჩხული ტირიფები.

ყარამანის ოდის უკან ასწლოვან ცაცხვებში ჩაძირული, ხის ეკლესია და სასაფლაო.

ამ კაცხვებზე ჯდებოდა წმინდანიანი, როცა ჩიქვანების ბატონობა დაცუა და მათი ადგილი ყარამანის გვარმა დაიკავა.

ეხლა ეს გვარიც წყდება.

უკანასკნელი იმედი და ნაბოლარა ამ გვარისა ავადმყოფი და სუსტი ბონდოა.

ყარამანს გული ნაღვლით ევსებოდა.

დიდი გვარი სულზე იყო მისული.

სანავარდო წყდებოდა ციებ-ცხელებით.

სასაფლაო ვერ იტევდა თხმელის კუბოებს.

ჭაბი იყო ყველგან.

გაჭრილ საფლავებში წყალი ამოდიოდა და შიგ აღრჩობდენ მკვდრებს.

არ იყო ხსნა, არ იყო გამოსავალი.

ორპირიდან სკაპეცები გაღმოვიდენ და მოედვნენ სანავარდოს.

ამოშვებულ პერანგზე ჟილეტის ამარა, ან-და სამხედრო მუნდირებში, კისერთან შეკრეჭილ ბობრი თმებით დადიოდენ ისინი გადაბერებულ მგლებივით.

იკარგებოდა თესლი და მოღვარები.

ექსორია მათ, ექსორია!..

ავი თვალი სტეხდა ყველაფერს.

ხატზე გადაცემა გამრავლდა.

ყოველ დღე არისხებდენ ეკლესიის ზარებში მართვა  
ჭლექი თანდათან ვრცელდებოდა და ისპობოდა ყვე  
ლაფერი

ზარდაცემულმა ხალხმა არ იცოდა რა ექნა.

ორპირი ცენიწყალს მიჰქონდა.

ყარამან ნალვლით უცქეროდა, როგორ მიჰქონდა  
წყალს სასაფლაო და იქ დამარხუო წინაპართა ძვლები.

მოხეთქილი ფლატე იფშვნებოდა მდინარეში და ილუ-  
პებოდა.

მიგორავდა წყალში გამხმარი დაღრკენილი თავები.

ახლა რკინიგზაც გაჰყავდათ და უნდა დალუპულიყო  
მამა-პაპური ხელშეუხებლობა.

მოდიოდენ პატარა გემები „ვორონცოვკა“ და „ბახ-  
მეტავრი“, მოპერატორები, ზოდები, კრანები, ხელ-  
საწყოები, რკინა, თუჯი და რკინიგზა გაჰყავდათ.

ინგლისელები ფუსვუსში იყვნენ.

გაღატაკებული მეგრელები მოაწყდენ ჭალადიდიდან,  
ონტოფოდან, თეკლათიდან და თვით შორეულ ობუჯი-  
დან და ჯვარიდანაც რკინიგზაზე სამუშაოდ.

ცენიწყალზე უზარმაზარ რკინის ხიდს აშენებდენ.

ფოთიდან ჭალადიდამდის მოვიდა რკინიგზა და ახლა  
ჭალადიდის გაუვალ ჭაობებს ებრძოდა.

ჰყრიდენ შიგ ხრეშს, დაწნულ ჩელტებს, მაგრამ  
ჭაობი უძირო იყო, იკარგებოდა შიგ ყველაფერი.

სამტრედიაში სადგურს აშენებდენ.

დედაკაცები ფუსფუსებდენ ახლო მახლო სოფლებში:

— მაი თუ ეშმაკის მოგონილი არაა, აპა რავაა,  
ხარი შეთ არ ამბია და კამბეჩი, რაფერ უნდა გეიაროს?!.



— რკინის ღარი იქნება, ბერა, გაყვანილი, რკინის ღარი და შით ისოსიალებსო,—ასთე უთქვამს ინჯილერს!..

— სადილს ქუთეიის ჭამს და ვახშამს ქალაქები!..

— რკინის ჭაჯია რაცხაა, მაი ნავარი!.. ცეცხლს ჭამს და დუღარეს სვამს თურმე!..

— ღმერთო, შეგვეწიე!..—ჩურჩულობენ დედაკაცები.

— ღმერთო, შენ გვიშველე, შენი სახელის ჭირო-მე!..— ლოცულობენ.

მოდის რკინის ჭაჯი, მოდის და მოახრჭიალებს ფო-ლადის კბილებს.

ვერაფერი შეაჩერებს, ვერაფერი შეაკავებს.

დასწეწს ყველაფერს, გაანადგურებს.

დგება ახალი რიერაჟი.

რიერაჟი დანთებული ცეცხლითა და ყიუინით.

მოფრინდება ახალი წმინდანიანი ცეცხლის ფრთე-ბით და დასწვავს ღამეს.

დაილუპება ძველი დიდება.

განიავდება ადათები და ჩვეულებანი.

ირგვლივ საფრთხე და საშიშროება.

ახალი ჭინკები გაჩნდებიან, ჭინკები შერუჯულნი ცე-ცხლითა და ალმურით.

და ყარამან სრულიად ობლად, მიტოვებულად ჰერძნო-ბდა თავს.

მის წინ ახალი ცხოვრება იჭედებოდა და იგი, ძველ ადათებზე აღზრდილი, შიშმა შეიპყრო.

ერთადერთი მისი ნუგეში ციცინოა, ავადმყოფი ციცინო.

გარეტებული დგას.

ჭიჭინობელი ჭრიჭინობს და ყურძენს ამწიფებს.

ეზოში გამხმარი ლორი მიწას დინგით სჩუგნის და  
ოხრავს.

დუმილია გამეფებული, შუადღის დუმილი. გვალვის  
ზუზუნი კიდევ უფრო აძლიერებს ამ დუმილს, ფრთას  
ასხამს და ყარამან დაიკარგა, წავიდა სადღაც, თითქოს  
სიცხეც აქვს, ყურები წივიან და დაყრუვდა ყველაფერი.

— ციცინო!..

— ციცინო!.. — იძახის ვიღაც.

ვინ უნდა იყოს ასე ყრუდ რომ იძახის, ან რა ამბა-  
ვია, თითქოს ქვეყანას ფეხით დაკიდებული უცქერის, ყვე-  
ლაფერი უკულმაა, სარჩულით გაღმობრუნებული!..

აა, ეს ახალგაზრდა ყარამანია, იქ, უკან რომ დარჩა,  
მან რომ გადააბიჯა.

ციცინო აღგზნებული, ალორთქილი, მწიფე მტევა-  
ნივით ვნებადაუდულებელი დგას სანდომიანი და კდემა-  
მოსილი.

— უკან!.. უკან!.. — დაიკივლა ვიღაც სულშეტაცებუ-  
ლმა და ყარამან გამოერკვა.

დამფრთხალ თვალებით მიიხედ-მოიხედა, — არავინ  
არის.

შეშფოთებულმა შუბლზე ოფლი მოიწმინდა და გა-  
შტერებული თვალები მოიფშვნიტა.

— ეებ!.. — ამოიოხრა მან მძიმედ.

— ეებ!.. — ამოიოხრა მის გვერდით ვიღაცამ.

— ვინ ხარ, რომ მებმაურები? . - შეეკითხა იგი.

— არავინ, — მამაშენი!.. — იყო წყნარი პასუხი.

ყარამან უკან მოაწყდა, აივნის სვეტს აეყუდა, შე-  
რე უეცრად ახალუხის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ტალკვესი  
ამოილო, დახედა და თვითონვე გაუკვირდა, რათ უნდოდა  
ტალკვესი.

არა, ყარამანს უეჭველად სიცხე აქვს, მას რაღაც  
სიცხე მისცა!.. — არა, არა, ეს მოჩვენებაა, მოჩვენება!.. გვა-  
ლვიან ზაფხულში ხშირად იცის ხმის მოლანდება და ყა-  
რამან თავს იმშვიდებს, მაგრამ მაინც რომ ეშინია!?.

თავიც სტკივა!

ოჰ, ეს მაგლონიები, როგორ ათრობენ ჰაერს!..

იგი ასჭრის ამ მაგლონიებს, უეჭველად ასჭრის!..  
ოდნავ დაშოშმინდა.

ჩამოჯდა იქვე.

— რავა ისპობა ყველაფერი, რავა პარტახდება!.. —  
გაიფიქრა მან და უეცრად ტანში შეაურუოლა, გააწოდინა  
და გალურჯებულ ფრჩხილებითა და ტუჩებით ძიგძიგი და-  
იწყო.

— არ მინდა!.. არ მინდა!.. — დაიძახა მან უაზროდ  
თავის ჯიუტი გაქნევით და იღლიაში ხელებშეწყობილი  
არაკუნებდა კბილებს, ძიგძიგებდა შეციებული და მოძუ-  
ძგული.

დღე ისე არ გავიდოდა ყარამანს შეცხადებულთა  
კივილი არ გაეგონა, მაგრამ კივილის მას ლამე უურო  
ეშინოდა, როდესაც შაბიამანის ფერი მთვარე უზარმაზარ  
მწიფე მუწუკივით გამოჩნდებოდა ცაში, სხივებს ყვითელ  
ბალლამივით დაპლვრიდა სანავარდოს მიღამოებში და კო-  
ლოების ზუზუნი წაიღებდა ყურთასმენას.

დაპყრიდა ნისლს და ლექაქში გაეხვეოდა არე-მარე.

მაშინ იგი, სიცხე გამონელებული, მხირხნელ ტკი-  
ვილს იგრძნობდა ტვინში და გახურებული შუბლის გასა-  
გრილებლად კომბოსტო-მხალის ფართო ფურცელს აი-  
კრავდა თავზე თეთრი ცახოცით.

ახლა ბატონებიც მოედო სოფელს და მთლად გვაწყდა  
ვდა ყველაფერი.



ყველგან მწუხარებაა და დუმილი.

სადმე მეზობლისას თუ გაისმოდა ჩონგურის ხმა და  
ნაზი გალობა ბატონებისა:

„თეთრი ზღვიდან გიახელით,  
იავ-ნანინაო!..

„შვიდი და-ძმანი ბატონნი,  
იავ-ნანინაო!..

„შვიდ სოფელს შევეფინენით,  
იავ ნანინაო!..

„ასე დავდივართ სოფელში,  
იავ ნანინაო“!..

ასე ხდებოდა სანავარდოში.

ღამე ყველაფერი ყვითელ იდუმალებით იყო მოცუ-  
ლი და ჭის ბაყაყის კრუალი კიდევ უფრო აძლიერებდა  
ამ იდუმალებას.

შორს ტბა ნარიონა აქოთდებოდა ბაყაყთა ყიყინით  
და ყველაფერი დაყრუვდებოდა.

და ასეთ მყუდროებაში ბებუთივით გაიელვებდა შე-  
ცხადებული ქალის წივილი.

აივანზე მჯდომი ყარამან ფეხზე წამოიჭრებოდა,  
აკანკალებულ ხელში კრიალოსანი გავარდებოდა და პირ-  
ჯვარს გადისახავდა.

— ღმერთო, შენ აცხონე მისი სული!.. — იტყოდა  
იგი წყნარად გარინდებული და ყურს უგდებდა ადულე-  
ბულ მოთქმა-კივილს.

შერე ნელი ნაბიჯით ციცინოსთან შევაფუდა, გადა  
ჯდებოდა მის წინ და ჭრაქის სინათლით ოდნავ განდა  
თებული იტყოდა:

— მგონია, ყაფლამი მოკვტა, საშუალი!

ციცინო შეპლზე ჩამოფარებულ წითელ მხალს \*)  
გაშხდარ ხელებით გადიწევდა, პირჯვარს გადიწერდა და  
თვალებზე ცრემლები ჩამოჰკორდებოდა.

— ნუ, შექალო, ნუ!... — ემუდარებოდა საოცარ უმ.  
წეობით ყარამან და ხელს ასიცხულ ხელზე დაადებდა.

ციცინო ქვედა ტუჩს ჩაიკვნეტდა და მწარედ ჩა-  
ფიქრებული იწვა უძრავად.

კოლოები გულის შემალონებლად ზუზუნებდენ.

გარეთ დახავსებული ღამე დამპალიყო და მთვარე  
კეთროვანის გასიებულ მუცელივით მოსიანდა ცაში.

უცრად ციცინო წამოიწია, ხელით ყარამანს მხარ.  
ში წაეტანა და თვალებში მიაცივდა.

— მე ბონდო მინდა, ბონდო!... — სთქვა მან უცნაურ  
მუდარით, მხ:რზე ხელი ჩამოუცურდა და მკლავში წაეტანა.

ყარამანს თავზარი დაეცა.

მან იგრძნო, რომ ყელში რალაცა ამოგორდა ქავი-  
ლით და აღრჩობდა.

აცახცახებულ ხელებით ციცინოს ხელი ჩამოიშო-  
რა, ბალიშზე წყნარად მიაწვინა და თმები გაუსწორა.

ციცინო მორჩილ ბავშივით დანებდა და გაყუჩდა  
ლოგინში.

— მეითმინე. რამენაირათ პატარაც მეითმინე და  
ჩამოვა! ახლა ალბათ გზაში იქნება... რამ შეგაშინა შე-

\*) წითელ მხალს სიცხიან ავადმყრფს ადებენ ხოლმე შებლის  
გასაგრილებლად.

ქალო, გული გეიმაგრე!...—სთქვა მან და თვითონვე უკვირდა, სად შესწევდა ამდენი სიმშვიდე ასეთ ლაპარაკის-თვის.

ციცინომ ლრმად ამოიოხრა და ხველა აჯტყდა.

ახველებდა დიღხანს ბოლოს, როგორც იქნა, ნახველი ამოილო და მძიმედ სუნთქვავდა.

სიჩუმე.

კრაქის სინათლეს ფარვანები და კოლოები ეხვეოდენ და ოთახში იდგა მათი გულისშემაწუხებელი წივილი.

— რა ვქნა აბა, რა?... შენ თითონ მირჩიე!.. ჩემი საშველი რომ არაა, ქე ვხედავ და შვილის ნახვა მაინც მომსწრებოდა. აგი უკანასკნელი დღეები არ გამმწარებოდა, კაი იყო, მარა საშველი რომ არ იქნა!—წამოიძახა მან უსაზღვრო მწლხარებით და დაქანცულმა თავი ბალიშჩე მოწყვეტით ჩაჰკიდა.

ყარამანმა თავი ვერ შეიკავა და ათრთოლებული მის ტუჩებს დაეკონა.

ციცინომ სუსტი ხელებით ასწია მისი თავი, თვალებში მაღლიერად მიაცივდა და დიღხანს უცქეროდა.

მერე ორი სუნთქვა შეერთდა და ყარამან ჰერძნობდა როგორ სწვავდა მის ტუჩებს ციცინოს სიცხით ანთებული ტუჩები.

კარგა ხანს იყვნენ ასე, მერე ციცინო მოსწყდა და გულამოვარდნილმა ქმარს შეხედა.

— ყარამან!...—სთქვა ციცინომ და სახეზე ალმური გადაჰკრა, შერცხა ქმრის სახელის ხსენება, მაგრამ მაინც ამბობდა, და უხაროდა ისე, თრთქოს პირველი სიყვარული ილვიძებდა მისდამი.— მე მალე მოვკვდები და ხომ გეყვა-



რები, შენ შემოგევლო ციცინო, ხომ?... ოო, რომ რიცოდგ  
რავა არ მინდა სიკვდილი, რავა არ მინდა!... არ მინდა  
და რა ვქნა, მე უბედური შვილმა!... წუხელ სიზმარში ვინც-  
ხა შავმა კაცმა შავი ნაბადი მომახვია!... მინდოდა მემე-  
ცილებია, მარა ვერ მევიძვრე!... არაა ჩემი საშველი, არა  
და მომეხმარე!...— დაიკვნესა მან უმწეოდ და ტირილი და-  
იწყო.

შორიდან ოდნავ ისმოდა მოთქმა-კივილი.

ჭრიჭინა ჭრიჭინებდა. ლია ფანჯრებიდან სიო  
უბერავდა, ჭრაქი ირხეოდა და ყარამანს მოეჩვენა,. თით-  
ქოს ოთახი დატორტმანდა.

იჯდა იგი გაშეშებული და თავს იკავებდა, მაგრამ  
მეტი ვერ შესძლო და მამაკაცურად უხერხულად აქვითი-  
ნებული გაიჭრა გარეთ.

დაეყრდნო მოაჯირს და დიდხანს სტიროდა.

იქ, უკან ციცინო კვნესოდა.

შორიდან მოთქმა-კივილი ისევ მოისმოდა.

სადღაც ძალლი აყმუვდა გულის შემაღონებლად.

ატირდა ძალლი უმიზეზოდ. უბედურება მოვიდა  
და თვალებში ჩახედა ყარამანს.

დაიკარგა იმედი გათენებისა.

მთვარე ისევ ოხრამლივით იღვრება.

ილანდება ყველაფერი.

მწიფე კიტრივით დაუშმურებულმა მთვარემ დახაშ-  
შა სანავარდო და კოლოები ბოროტად აზუზუნდენ.

დაფრინავენ საოუთნი ნაზი ფრთებით და დააქვთ  
ნემივით ნისკარტებით ციების შხამი.

შხამავენ ადამიანს, საქონელს, ხეებს და ყველაფერს,  
რასაც დააჯდებიან.

თართატობენ მთვარის სხივებზე და მლერიან ციუ-  
ბის მწუხარე სიმღერას.

ციებ-ცხელება ყვითელ ლორწოსავით დაიღვარა  
მიწაზე.

აციებს ყველაფერს.

წელგალუნული, რძეგამშრალი ცალი რქით მიწაზე  
დარჭობილი აკანკალებული ძროხები წვანან ქართაში  
და თვალთვან მსხვილი, მდუღარე ცრემლები ჩამოსდით.

შეციებული თხმელები ცახცახებენ, ვერ უძლებენ  
სენს და სკდებიან შუაზე, ლერწამივით იბზარებიან ზეით-  
გან ვიდრე ქვედმდე და ხმებიან.

გულჩათხრობილ ფშიარში დადას ყვითელი მავნე თეთრ  
სამოსში, ძიგძიგებს, ზმუის და არწყევს პირიდან ციების  
წალას.

ნარიონაში ჩაწოლილი ჭაობის ლორწით დახავსე-  
ბული უქმურთა-უქმური მლვრია თვალების კუსვით აფ-  
რთხობს დალანდულ ლამეს.

და ასე წავიდა ეს ლამე, როცა დილა ისე შორს  
სჩანდა...

---

## ქ ე რ ი გ ე ხ ე თ ე

### მ შ ო ბ ე ლ მ ი წ ა ზ ე

გათენდა, როგორც იქნა.

ციცინოს ალიონის ხანს ძლიერ ჩაეძინა.

სოფლის გოგო-ბიჭებს ხვადგები უკვე გაერეკათ საბალახოზე.

ბზე მოზვერივით აიმართა და მწველი ისრები ჩაუშვა სანავარდოშა.

ურთხმელის ბოკნებზე შემდგარი წიბლის ოდა ნაღვლიანად გამოიცეირებოდა.

ოდის ქვეშ წითელი ხავსით დალორწილი მიწა.

ოდის უკან ისლით დახურული ხულა, ბიჯგებზე შემდგარი სასიმინდე და წაქცეული ურემი.

სამზარეულო სახლზე გასული კვახის ლერწები და უზარმაზარი კვახები და კვატულები დაკიდებული.

ეზოში ფეხდაბორკილი, ზურგვადატყავებული გამხდარი ცხენი და დინგწაგრძელებული წუწკა ღორის ხვნეშა.

ხულის წინ ჭილოფუში შეხვეული შეციებული ბიჭის ძიგძიგი.

მოახლოვდა გვალვიანი შუადლე.

ყველაფერი გარინდებულია, მიმკვდარებული.

პაპანაქება სკასავით ზუზუნობს და ჭიჭინობელი ჭრიჭინი გულს აწუხებს.



გაშეშებულია ყველაფერი და ხურდება ჰაერი. ალხიანი სიცხეა და მალე სუნთქვაც გაჭირდება.

შარაზე დაყრილ ხრეშში გვალვა შაქრის სიტკბო-  
სავით ლიგლივებს.

შუკაში ჩაფენილ წალიკაში წიწილები კუჭუნით შემა-  
ლულან.

თხილებზე შემჯდარი წყლის ქაჯი წვერებს ივარცხ-  
ნის და სიცხისაგან გაბრუებული სულს იბრუნებს.

ლელეში იხვები და ბატები ჩაწოლილან და ნისკარტს  
წყალში აკრიკინებენ.

აორთქლდა ჭაობები და ოშხივარი ასდის გავარვა-  
ლებულ ჰაერში.

შორიდან ისევ ისე ისმის ვიღაცის მოთქმა.

დედალი გულს ალონებს ერთგული კაკანით.

ორპირს მიმავალი კულაშელი ურია თუ გამოჩნდება  
შარაზე ჯაგლაგი ცხენით.

ხვალ პარასკეობაა და საქონელი მიაქეს სავაჭრო  
კარავში დასაწყობად.

— აააი, ბუნდლა, ჯაგარი, კვერცხები, ვისა გაქს  
გასაყიდიი!..— ჰყვირის იგი და მიჩაქჩაქებს თოხარიკით.

ლამის უძილობით დაქანცული ყარამან გადმოდგა  
აივანზე.

პირი შხამივით აქვს გამოყოლილი.

ლონივრად გადააფურთხა.

— ლიზიკია!.. ლიზიკია!..— უძახის იგი მოსამსახურე  
გოგოს, რომელიც სამზად სახლში ქვის კეცში მჭადს  
აკეთებს.

— რას მიბძანებ, ბატონო?..— ეხმაურება მკლავებ-  
და კარწახებული მოახლე, დგება და კარის ზღურბლს  
მოადგება.

— ერთი ნეშო მომიტანე, შენ გაზღას, ავათმყოფს  
ბუზები მოუგერო, თვარა თვალები ამოჭამა, ი ნავარმა!..

ლიზიკიდ მიღის ბოსტანში ნეშოს მოსატეხად ფეხ-  
შიშველი, ამოვარდნილ თეძოებში ქანაობით.

ფეხის წვივები ზამთარში ცეცხლთან მიფიცხების გა-  
მო წითლად აქვს აჭრელებული.

ყარამან, ლიზიაკიას მოლოდინ ჰი, აივნის რიკულე-  
ბიან მოაჯირს დაეყრდნო:

— რა ეშველება, ბონდო რომ დროზე არ ჩამოვი-  
დეს?.. ქემაინც სიკედილამდე მეესწრო...

ჰეთიქრობს ყარამან და უეცრად წარმოუდგა, რომ  
აი, ციცინო მოკვდა, ზარია და ვიში. იგი დარჩა სულ  
მარტო, მიტოვებული ამდენ ჭირისუფალთა შორის, სულ  
უცხო და გაუგებარი ისევე, როგორც თვით მცვალებუ-  
ლი ციცინო, რომელიც რამდენიმე წუთს შემდეგ დაავი-  
წყდებათ აღაპზე.

ჭირისოფლი დაასხა, შეეშინდა და შუბლზე ხელი  
გადისვა.

საშველი არაა და აგია!..

ყველგან სიკედილი და ტრამა.

ციცინო ასეთ მდგომარეობაში.

ბონდო გადაკარგული.

ოჯახი ამოვარდნის გზაზე დამდგარი.

ოდის ყავარი შემოალპა. სამზარეულო სახლი ხე-  
ლიხლა დასახურავია. მოსავალი არ ივარგებს. გადახმა  
ყველაფერი. ძროხა არ იწველება. ქათამი ჭირმა გაწყვი-  
ტა და ორიოდე დედალი დადის ეზოში. სიმინდს, რაც  
არის, იმასაც ძალლი შეეჩვია და შეჭამა, ი მამალი გელის  
შესაჭმელმა!.. ძველი სიმინდი დაპეპლდა, ძალლის მეტი  
კაცი არ შეჭამს.

ლორებს უღელი ვერ აკავებს და გაოხრდა მოსიტების  
ხად გამზადებული ყანები.

იქნება ერთი-ორი იჯრა სიმინდი მოტეხილიყო.

ციცინო ხომ არაა საკითხავი!

მთელი ლამე თეთრად გაათენა.

ხან ბოდავდა, ხან ლაპარაკობდა. მერე რანაირად  
ლაპარაკობდა!.. გაახმო გულ მანგარა...

აკვიატდა აბეზარი ფიქრები და ხსნა არ არის  
მათგან.

შორს ისევ ისმის ვიღაცის მოთქმა და გულს აღონებს.

საწყალი კესარია თუ დასტირის შვილის ნაკვდავ  
ტანისამოსს.

კრუხი მთელი დღე კრუხუნობს და სწუხს, შეაწუ-  
ხა გული.

წიწილების წიაქმა წაილო ყურთასმენა.

ასე გავიდა შუადღე.

ოდა თონესავით გახურდა.

დადგა სალამო.

ვასაკა აკრუალდა.

ქართაში მოსული ძროხა ზმუის.

ბატები ხმაურობენ და ქათმები ფრთების ფათქუ-  
ნით აღიან ტყემალზე დასამუდრებლად.

ჭასთან ლიზიკია ნალომარ კარდალს ჰფეხეს.

გაძვალტყავებული ძუ ძალლი გადაყრილ ქერქებს  
კბილს უკაპუნებს.

იხვები ირგვლივ კვატეკვატებენ.

თვალგაუხელელი ლეკვები წქმუტუნით მიწაზე და-  
ბობლავენ და დედის ძუძუს ეძებენ.



ყანიდან დაბრუნებული გლეხები თუ ჩამორცვლის  
ურმის ჭრიალით და ორპირის ბოლაზში სამუშაოდ წასუ-  
ლი გლეხი თუ ბრუნდება შინ.

წისქვილი ოდნავ რახუნობს. წყალი გაშრა ლელე-  
ში და, საცაა ისიც გაჩერდება.

ყარამან იჯდა აივანზე.

სად წავა, როცა ციცინოს დღეები უკვე დათვლი-  
ლია!..

ბონდო მაინც ჩამოსულიყო!..

რამდენჯერ გაუგზავნა წიგნი, მაგრამ ალბათ არ  
მიუღია.

რა მწუხარებაა ირგვლივ!..

სად წავიდეს ახლა, რით უშველოს გაუბედურე-  
ბულ თავს, რით დაიხსნას თავი ამ მწუხარებისაგან!..

უეცრად ცხენის ფეხის ხმა მოესმა.

ყური მუგდო,—შარაზეა.

— ალბათ ინჯილერია,—ორპირს თუ მიდის!..

ფეხის ხმა თანდათან ახლოვდება, აი, ჭიშკარს მოუ-  
ხლოვდა და შეჩერდა.

— მაინძელი!..—იძახის ვიღაც.

ყარამან შეკრთა, გულმა რაღაც უაზრა, წამოდგა  
და კიბისკენ გაემართა.

— იქნებ ცოლოურიდანაა ვინმე!..—იფიქრა მან.

ზარმაც მუნიან ძალლმა მიკნავებული ყეფით წელი  
ძლივს აითრია.

— მაინძელი!..—დაიძახა ხელახლა ვიღაცამ და ხმაში  
მოუთმენლობა დაეტყო.

— მობრძანდით!..—გასძახა ყარამანია და ჭიშკრისა-  
კენ გაემართა.

ლიზიკიამ ქვაბს თავი მიანება, თეძოებში რწევით  
ალაგესაკენ წავიდა, ყარამანს გადაასწრო და სტუმარს ჩართო  
რო გაულო.

უცნობი ცხენიდან ჩამოხტა და ლიზიკიას სადავე  
გადასცა.

გაჩერდა და იცქირება იქით-აქეთ.

ათვალიერებს ეზოს.

ყარამანიც მიუახლოვდა.

გაჩერდა უცნობის პირისპირ.

დგანან... თითქოს თვალით ზომავენ ერთიმეორეს.

მასპინძელი სტუმარს და სტუმარი მასპინძელს.

ლიზიკია დგას და გაოცებული უცქერის ორივეს.

— მამა!..—დაიძახა ბონდომ.

— ბონდო!..—დაიძახა ყარამანმა და მამა-შვილი გა-  
დაეხვივნებ.

ლიზიკიას სიხარულის ტირილი აუტყდა და კაბის  
კალთით იწმენდდა ცრემლებს.

— ლიზიკია!..—ბრძანა ყარამანმა, - ოჯალეშს მოხა-  
ლე და ვახშამი!..

მამა-შვილნი განშორდენ და გვერდიდან უცქერიან  
ერთიმეორეს.

ყარამან აკვირდება შვილს.

— ღმერთო, რავა გამოცვლილა!..—ფიქრობს იგი.

ბონდო: მაღალი, გამხდარი, ხელ ფეხი, თითქოს ჭი-  
ნდისთავებით ჰქონდა მხრებზე მიბნეული, ისე ქანაობდენ.  
გრძელი, მოლუნული ცხვირი. დედის ეშხიანი თვალები  
და ამ თვალებში რაღაც უაზრო და დამაფიქრებელი. ტუ-  
ჩის კუთხეებს, თითქოს ვიღაც ეზიდებოდა. სიარული აჩქა-  
რებული, სულწასწრებული.

გრძელი თითები და მამასავით შუბლზე ხელს ისვა  
მდა ხშირად (მოდგმით თუ გამოჰყვა).

ტუჩები მსხვილი, ვნებიანი და ქვედა ბაგე უსიამო-  
ვნოდ გადმოკიდებული.

შემოხედვა ბლუ და უაზრო.

უყურებს ყარამან და იგი რაღაც ბნელსა და გამო-  
უცნობს მიუხვდა შვილს, მაგრამ არ იცოდა რას და თი-  
თქოს მტრული განწყობილება იგრძნო მისდამი.

ბონდომ რაღაც ბნელი მოიტანა, მას რაღაც საშინელი  
მოჰყვა თან.

ეს იგრძნო ყარამანმა.

ციცინო კინალამ შეიშალა.

ჰკოცნიდა, ეფერებოდა, ეხუტებოდა. ბოლავდა რა-  
ღაც უაზროს დედური გრძნობით ატიტინებული.

— შენ შემოგევლე, ბონდო, შენ გენაცვალე!.. მაკო-  
ცე, შენი ჭირი შეეყარა შენ დედას!.. ჩემო ხვითო, ჩემო  
ოქროს კაკალო ბიჭო, ასე უნდა დედას მიტოვება?.. ნანა, შენ  
შემოგევლე!..—ტიტინებულა ციცინო.

ყარამანმა ვერ გაუძლო ამ ამბავს და გულაჩუყებუ-  
ლი გარეთ გავიდა.

ციცინო ხან იცინოდა, ხან სტიროდა და გადირია  
ქალი სიხარულით.

— გიკვდები, შვილო, გიკვდები და შენ უნდა დამა-  
ყარო მიწა, შენ შემოგევლო დედაშენი!.. შენი ჭირი წე-  
ილო დედაშენმა!..

ბონდოს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო:

— დედა, შენ გენაცვალე!.. ჩემო დედია, ჩემო დე-  
დია!..—იძახდა იგი და ეხვეოდა დედას, ეალერსებოდა  
და მან იგრძნო რომ ციცინო უეცრად რაღაცნაირად

გარინდდა და ფერდაკარგული მკლავზე უძრავად გა-  
დაეკიდა.

— დედა!.. დედა!.. — დაიძახა შეშინებულმა ბონდომ.

ციცანომ მიბნედილი თვალები გაახილა, შვილს მო-  
სიყვარულედ ოდნავ გაულიმა, მერე აკანკალდა, აკანკალდა  
და ამდულრებული ბალიშებში ჩაემხო.

ბონდომ იგრძნო რომ იგი დიდხანს ვერ იცოცხლე-  
ბდა და გაშეშებული იდგა ერთ ადგილას.

შემოვარდა ყარამან, აყვავებდა, ეფერებოდა ციცი-  
ნოს განებივრებულ ბავშვით.

უეცრად მას ხველება ღააწყებინა, წასკდა სისხლი  
და გაავსო თითბრის ტაშტი.

ძლივს მოუწყვიტეს მარილიანი წყლით.

მერე მთლად დაოსებული მიაწვინეს ბალიშზე და  
ციცინოს მიეძინა მისუსტებულს პირზე ლიმილით.

ყარამან და ბონდო ფეხაკრეფით გამოვიდენ დარ-  
ბაზში.

ბონდომ დაიარა ყველა ოთახები, სალაროში და სა-  
ქვეშაგებოშიც შეიხედა, ილიმებოდა უკნაურად, უხაროდა.

აივანზე გავიდენ.

დასხდენ.

ჩამოვარდა ახირებული სიჩუმე.

ბაასი ვერ გაიბა.

ბონდო იჯდა და ფიქრობდა თავის წარსულ დღეებზე:  
ბავშობა გატარებული აქ, მერე ტფილისში.

უთვისტომობა, სიმარტოვე და დარდი სიხარულზე.  
მას არ უგრძნვია სითბო სულში. იყო მარტო თავის თავ-  
თან და ეშინოდა სხვების. მის სულში ბნელოდა, — სხვისი  
დახურული იყო.

მერე წავიდა პეტერბურგში და იქ მთლაზ გაღუნა.  
ერთხელ ჩამოიხედა მას თვალებში სიხარულშა, მაგ-  
რამ ისიც ჩაჰქრა.

ფრეილინა... M-He ფიჭი...

მერე... სიბნელე...

ვერ გასძლო...

ფრეილინა გაფრინდა თეთრ ოცნებასავით.

M-He ფიჭი კი მეტად მხურვალე იყო და გაუმაძრარი.

ვერ გაუძლო და გამოიქცა დედასთან, და აი დედა  
სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის...

მოვიდა ლიზიკია: ბატონი და ბატონიშვილი ვახშა-  
მხე მიიწვია.

ბონდო ლიზიკიას ხმის გაგონებაზე შექრთა. ერთ  
ადგილას დაფაცურდა, წამოდგა და ისევ დაჯდა, რატომ-  
ლაც ამოიოხრა და შუბლზე, სწორედ ისე, როგორც ეს  
მამამისმა იცოდა, ხელი გადისვა.

ყარამანს მოეჩენა, თითქოს ბონდომ მას გასცანა,  
ისე ნაცნობი და ნათესაური იყო ეს ხელის გადასმა და  
უსიამოვნებასთან ერთად რაღაც მტრული გრძეობაც დაე-  
ბადა შვილისადმი (ეს მეორედ). მერე ხელი ჩაიქნია და  
შვილს მიმართა:

— რა იყო, შვილო?

— არაფერი, მამაჩემო, არაფერი!.. — სთქვა მან ნალ-  
ვლიანად; წამოდგა, გულზე ხელები დაიკრიფა და აიგანზე  
გაიარა.

ხის ბაყაყები ნაზად კრუალობდენ.

სადღაც ტურა აკივდა, მას მეორე გამოეხმაურა, მეო-  
რეს მესამე და გაჩნდა ლამეში საზარელი კივილი, მათ ძა-  
ლლები აჰყვა და რამდენიმე ხნით დაყრუვდა ყველაფერი.



ბონდო გაჩერდა, მოაჯირს ვაღაეყრდნო და გასცემა-  
როდა ლამეს: რომნის ჭაობებილან რძის ორთქლივით აღგა-  
ნისლი, დაადგა სიმინდის ყანებს და სოფლისაკენ წამო-  
ვიდა.

შორს კიდევ ისმოდა ვიღაცის მოთქმა.

ბონდომ ყური მიუგდო და იდგა ისე დალონებული.

— ისევ ისეა... ყველაფერი... ისევ ისე... — ჩურჩულო-  
ბდა ბონდო.

ყარამან მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— წამოდი, შვილო, ვახშამი ჭამე, მოისვენე!.. და-  
ლალული ხარ!.. — უთხრა ყარამანმა, მაგრამ ბონდომ მამის  
ხელისაგან თავი გაინთავისუფლა და ისევ სიარული დაი-  
წყო. დადიოდა აიგანზე იქით აქეთ. ზურგზე ხელები დაე-  
წყო და წარბშეკრული ფიქრობდა რალაცას.

ყურები უცნაურად წიოდენ.

ყარამან გაკვირვებული უცქეროდა შვილს. კარგა ხანს  
იყო ასე ჩამოვარდნილი უხერხულობა. მერე ბონდო შე-  
ჩერდა, ტუჩზე თითი მიიღო და წყნარად სოქვა:

— გესმის, მამაჩემო, ვიღაცა მოსთქვამს...

— რა უყოთ, შვილო, მერე!.. აქანა სულ ასეა!.. აბა  
ჩვენ თავი უნდა მოგვეკლა აქამდის! — მიუგო ყარამანმა  
გაადვილებით, მაგრამ მიხვდა რომ მწუხარება კარგად ვერ  
დამალა, ბონდომ იგრძნო ეს, მაგრამ ხმა არ ამოულია, იდგა  
ისე. მერე ამოიოხრა და დაიწყო:

— პო და ამან აადულა ჩემი სული, მამაჩემო!.. ამ  
მოთქმამ მომსპო მე და გამანადგურა, წელში გამწყვიტა!..  
იქ, პეტერბურგშიც არ დაწყნარდა იგი და ხშირად მეს-  
მოდა ლამეებში ეს გულის ამადულებელი მოთქმა!.. რა  
ვქნათ, მამაჩემო, რა ვქნათ!.. — წამოიძახა ბონდომ და ან-  
თებული თვალები მარას მიაპყრო.

— შვილო, მერე მაგიზა იქლავ თავს?.. წამოდი, ფრთია..  
ხშამი გაგიცივდება, ნამგზავრი ხარ და მოსვენება გჭირია!..  
გაანებე მაგაზე ფიქრს თავი!.. ხომ გაგიგონია: ქვეყნის  
დარღი ბუმ იდარღა და თავი გოუსივდაო!..—სთქვა ყა-  
რამანმა ნაძალადევი გაადვილებით.

ბონდომ იგრძნო ეს ყალბი გაადვილება და გულში  
რაღაცამ გველივით უკბინა.

— არ მინდა, მამაჩემო, არ მშია!..—მიუგო მან და  
მერე განაგრძო:—მითხარ, მამაჩემო, გულზე ხელი დაიდე  
და ისე მითხარი, ხომ სტყუი, ხომ!.. მე ვიცი, მამაჩემო,  
კარგად ვიცი, რომ ბუს გარღა შენც დარდობ, მაგრამ  
გინდა მე მომატყუო!..

ყარამანმა თავი უხერხულად იგრძნო და გაჩუმდა.

— მამაჩემო!.. მამაჩემო!..—დაიძახა უეცრად ბონდომ  
ისე, თითქოს რაღაც დიდი მოაგონდაო.

— რა იყო, შვილო?

ბონდო იდგა, ტუჩები უკანკალებდა და დიღხანს  
ვერ დაიწყო, მერე, როგორც იქნა, შიშით დაკაკლულ თვა-  
ლებით მამას თვალებში ჩახედა და გველივით შემპარავად  
შეეკითხა:

— დედა რომ მოკვდეს, რა ვქნათ მაშინ?..—სთქვა  
მან და უეცრად გულში მოსკდა რაღაც ბალლამივით და  
ატირებული აივნის მოაჯირს დაეყრდნო.

ყარამან იდგა გაშტერებული და ფიქრობდა, წერე,  
თითქოს ახლა მიხვდა მთელი სისრულით ამ სიტყვების  
მნიშვნელობასო, გულში ხელი იტაცა, ოდნავ დაიკვნესა და  
აივნის სვეტს მიეყუდა.

— ციცინო!.. ციცინო!..—არ ამბობდა იგი,—ფიქ-  
რობდა და მომავალი უბედურება რომ არ ენახა, თავზე

ხელები წაითარა, იქვე ტახტზე პირქვე დაემხო და მხრე-  
ბმა კანკალი დაიწყეს.

კარგა ხანს იყო ასე...

ბონდო უცქეროდა მამას, მერე ნელი ნაბიჯით მიუ-  
ახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და სოჭვა:

— მამა!..

ყარამანმა თავი აიღო, შეხედა შვილს და გარინდდა.  
დიდხანს უცქეროდენ მამაშვილი ერთი მეორეს.

ბონდომ სცადა სიჩუმას დარღვევა.

— მამაჩემო!.. — სოჭვა მან ისევ ისე, მაგრამ ყარამანმა  
გააწყვეტინა, ტუჩებზე საოცარი იდუმალებით თითი მი-  
იდო და ოდნავ გასაგონად მიუგო:

— სსუუ!..

ბონდო ადგა, მამას მხარზე აკოცა.

— ძილი ნებისა, მამა! — სოჭვა მან და თავის ოთახში  
შევიდა.

ცოტა ხანს შემდეგ ყველას ეძინა.

არ ეძინა მხოლოდ ყარამანს.

იგი აივანზე იჯდა და ლამეს სდარაჯობდა...

## პერი გევაზე

### პ ა რ ა ს დ ე მ ბ ა

მეორე დღეს ბონდო გვიან ადგა.

პირი დაიბანა თუ არა, მაშინვე დედასთან გაჩნდა.  
ეფერებოდა დედას, თმებს უსწორებდა, ჰკოცნიდა.  
ციცინო მთლად მიიბნიდა შვილის ალერსიან ხელებ

ქვეშ

— ნანა, შენ შემოგევლო შენი დასამიწებელი დე-  
დია!.. — ამბობდა იგი ოდნივ გასაგონად. — რამხელა გაზდი-  
ლხარ, შვილო, ჩემო ოქროს კაკილო ბიჭო, გეიარე, შვილო,  
ერთი, გეიარე, მინდა შეგხედო!

ბონდო დადიოდა ოთახში, ელიმებოდა თავის თავზე  
და ციცინო ვერ ძებოდა შვილის კქერით.

მერე ბონდო მოსწყდა ადგილს, ლოგინთან ჩაიჩოქა და  
დაეკონა დედას. დიდხანს იყო იგი მის მკერდში ჩახუტე-  
ბული.

— ჩემო დედია, ჩემო ტკბილო დედია!.. შენთან ვარ,  
შენთან!.. — ტიტინებდა ბონდო, გულს ულელავდა დედას  
და დამჭერარ ძუძუებს უკოცნიდა.

ლიზიკია იქვე ბუხარს მიყრდნობოდა და გულაჩუყე-  
ბული სტიროდა.

შემოვიდა ყარამან დინჯალ, ლამის უძილობით თვა-  
ლებ ამოლურჯებული, შეხედა დედა შვილის ალერსს, მა-  
საკ გული აუჩუყდა, ერთ წუთს დაიბნა და ჩოხის ნაოჭის

სწორება დაიშყო. მერე, როცა დამშვიდდა, წელში გაიმარტინდა, ბონდოს მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— შვილო!... — სთქვა მან, — დღეს პარასკეობაა, ხომ არ გეიარ. პატარა საქმეც მაქვს!..

ბონდო წუთით ჩაფიქრდა, დედას შეხედა და უეცრად დათახებდა.

დიდიხანია არ ყოფილა აქეთ და გავლა უნდოდა.

როცა ის აქედან წაიყვანეს, ბავში იყო, ახლა ის მოწიფული ვაჟკაცი დაბრუნდა უკან.

ციცინომ ლიზიკიას მისი ხელით მოქსოვილი ახალი შინდისფერი ჩოხა-ახალუხი, ყირამანდული ხვანჯრიანი შარვალი, საცვეთები და ასირმული თივთიკის ყაბალახი გამოატანინა.

ბონდოს უხაროდა დედის ნახელავი. ჩაიცვა, გვერდზე ვერცხლით მოსევადებული მამა-პაპური ხმალი გადიკიდა. შუბლზე ხელი გადისვა, გრძელი სამაჯურები გადიკეცა და ოთახში თავმომწონედ გაიარა.

ციცინო უყურებდა შვილს და ვერ ძლებოდა მისი ცქერით. არ მოსწონდა, რომ რუსული წესით ბაკები შოეშვა, მაგრამ არაფერი უთხრა.

მერე მამა-შვილმა საჩქაროდ ისაუზმეს და გზას გაუდგენ.

მიდიოდენ ისინი ჩრდილებ ქვეშ ლელის პირად და ტირიფების ლორთქო შტოები ეალერსებოდენ მათ თმებს.

შეხვედრილი ხალხი მდაბალ სალამს აძლევდა, ცხენოსნები ცხენიდან ხტებოდენ და ისე ესალმებოდენ, მეურმეები ურემს გზის პირად აყენებდენ და გზას უგმნდენ.

მიდიოდენ ისინი ნელა.

ეზოებში მოსჩანდა ლობეზე გადაკიდებული წამის  
ნიფხავ-პერანგი, ყვითელი სუნელი და გარეცხილი ყაჭი  
გასაშრობად.

ბონდო ყველაფერს ყურადღებით ათვალიერებდა და  
მის გონებაში დგებოდა დავიწყებული საყანეები, ფშია-  
რები და ჭალები.

— ეს საყანე როდის გაჭრეს, ბაბა?.. — ეკითხება ყოველ  
ახალ საყანეზე და ყარამან უპასუხებს მოკლედ.

თუ უკანიდან ვინმე მგზავრი წამოეწეოდა, სოხოვდა:

— შეიძლება, ჩემო ბატონო, პატარა მეჩქარება!..

— მიპრძანდი, ბატონო!.. — უთმობდა გზას ყარამან  
და წამოწეული მგზავრი მიჩაჯაქებდა მათ წინ, მიიჩქარო-  
და ბაზარში და ბონდო უცქეროდა წინ გადასწრებულ  
მგზავრის ცხენის გავას, კუდს და ზურგზე გადავარდინილ  
ყაბალას.

ასე მითოხარიკობდენ ისინი შარაზე.

ბურულიან სახლებში ბოლი ამოდის და ფშალაზე  
ასხმული თუთუნი, ნიორი და წითელი პილპილი ჰკიდია  
სხვენზე გასაშრობად.

ორპირს მიუახლოვდენ, მოსახლეობა გახშირდა და  
დაიწყო სკაპცების ეზოები. რუსული ქოხები, ეზოები ბა-  
ლებით.

ენკენისთვის ცხელი მზე აჭერს და ადულებს ყველა-  
ფერს.

რიონი წყნარად მიდუდუნებს და ნაზად იჩხევიან  
წყლის ზედაპირზე კვატულებზე და ფელოზზე ზუთხის და-  
საჭერად ჩაკიდებული ანკესები.

ცოტა მოშორებით ცენიწყალი ეხუტება რიონს და  
წყნარი ღუდუნით მიეღინება სირიაჩქონით ფოთში,

აუარებელი ხალხი აწყდება პარასკეობას. მორიანის გვარი  
ტენილია ხალხით.

მოდიან ურმებით, ნავებით, ფეხით.

მოდიან პირახვეული დედაკაცები ყვერულებით, ბა-  
ტებით, კვერცხებით.

არის ულივილი და ყიუინა ბაზარში.

ჰყიდიან მუავე კიტრს, ყაჭს, წინდებს.

მოტანილია ყურძენი მრავალი ჯიშის: ჩხავერი, ალა-  
დასტური, ათინური, პუმპულა, ყურწითელა...

საჯავახოდან გადმოდიან გურულები, მოაქვთ ქვის  
კეცები, ახალ დალობილი კალათები, გოდრები, გილელი,  
თავსაბანი მიწა...

გორიცებით ხილი, გობებით ფელამუში, ქოთნებით  
მძალე და გულებით წყავის ღვინო.

იმერლებს: შეშა ანჯელიდან, ფიცრები, ბზე, თივა,  
სიმინდი, ხის ჯამები, კათხები, გობები.

ქუთაისიდან: ჩალვაღრები.

ტფილისიდან: ქართლ-კახელი მეურმეები და სპა-  
რსეთიდან წამოსული აქლემები, დატვირთული ბამბით, ქი-  
შმიშით, ინდის ხურმით, მატყლით, ნოხებით ..

სამეგრელოდან: ხვადგები, ნაბდები, ქეჩა, თუთუნი,  
ყაჭი.

ცხაკუნია მიხალეშვილი ბარჯგებს ტვირთავს და სა-  
ქონელს გზავნის სტამბოლში.

არის ფაცა-ფუცი, ყიუინა, დედაკაცების ურიამული,  
ვაჭრობა და ურიის რჯულის ფიცი.

მოდიან სასიძო ბიჭები ქალის გადასანახულებლად.

მაჭანქლები ფუსფუსობენ.

ხის ქოშებზე შემდგარი ქალიშვილები თვალებს ნა-  
ბავენ და ტანს მიარხევენ.

სკაპცებს გამოუტანიათ გამზადებული კარები, ფან  
ჯრები, წისქვილის მოწყობილობა, თაფლი, „კისლი შჩი“  
და ისინიც ჩაბმულან საერთო ფერხულში.

ბანძელებს მოუყვანიათ დაღშეცვლილი ნაპარავი ცხე-  
ნები, ხარები და ჩალის ფასა და ჰყიდიან.

მათი მეთაური მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმავი  
ტაია ჩიქვანი დაფაცურობს ყველაზე უფრო. ჯავრობს  
დალალებზე, მუშტარს ეჩხუბება, ოხრის ფასად უნდათ ყვე-  
ლაფერი.

ტაიას ჩქარა უნდა გაათავოს ეს სახიუათო ვაჭრო-  
ბა და მერე სახლში გაუდგეს.

ნეხვის, ტარანის და გამხმარი ფარგის სუნი აშძიმებს  
ჰაერს.

ხარაზები საცვეთებს ჰყერავენ.

მეფურნეები კრენდელებს და თეთრ პურს ჰყიდიან,  
მეგრელი ბიჭები ყიდულობენ პურს და მჭადზე აჭმევენ.  
ორპირში სდელს სიცოცხლე.

პატარა გემები ქშინავენ.

დუქნებში მოქეიფენი შეყრილან და ხრინწიანი მრა-  
ვალ-ჟამიერი ისმის.

დუქნის სვეტებზე მიბმული მოსართავმოშვებული  
ცხენები ჭიხვინობენ და ერთიმეორეს ჰყბენენ.

ურიების ყვირილი აყრუებს ყველაფერს.

გატენილია მათი საქონლით ორპირის სავაჭრო კა-  
რვები.

ჰყიდიან ფართალს, ფოლაქებს, ფერ-უმარულს, გუნ-  
და-ლახუსტაკს, ალიურებს, კაქილებს.

წამლებს: საყმაწვილოსას, უშვილობისას, შაქიკისას,  
უჟმურისას, ავი თვალისას...



ყარამან და ბონდოც აქ არიან.  
ივაჭრეს.

ეროვნული  
კიბელი

უკვე შეგვიანდა და გვალფამ დახუთა ჰაერი.

მზე ცეცხლის კრუხივით გაიფოფრა ორპირზე და გა-  
ხურდა ყველაფერი.

ცხენებისა და აქლემების აორთქლილი შატდი ას-  
რჩობს მათ.

დაიქანცენ და სიშშილიც იგრძნეს.

შევიდენ სადილის საჭმელა დუქანში.

ჯერ არც დამსხდარიყვნენ, რომ მოესმათ:

— აა, ბატონ ყარამანს ვახლავართ!. მობრძანდით,  
ბატონო, გვეწვიეთ!..

ყარამანმა მოიხედა და ხედავს,—აპოლონია, ადგი-  
ლობრივი აზნაურიშვილი, ასეთი გავრცელებული შაირი  
რომ მოიგონა:

„აგერ მოდის ერთი ქალი,

„კვერცხი მოაქ კალათშიო.

„წინამ რუსი შეეგება:

„— პაჩომ კვერცხი ფარაშიო?

„— დავჯდეთ და ვიანგარიშოთ,

„არ შეგიყვან ზარალშიო.

„დაჯდენ და იანგარიშენ,—

„რუსმა ნახა ბარკალშიო,

„ოკამინის ტალახშიო“ \*)

\*) ეს ლექსი იმდროინდელი მეტად გავრცელებული ლექსა.  
ის ყველამ იცოდა ორპირში. ოკამინე პატარა ადგილი იყო ორპი-  
რში შესავალ გზაზე, სადაც გაუვალი ტალახები იყო მუდამ.



აპოლონი დაჟინებით ეპატიუებოდა.

— მობრძანდით, ჩემო ბატონო, გვიკადოეთ!... მიუბრუნდა იგი უცნობ ბონდოს მოწიჭებით.

ყარამან მადლობას უხდის, მაგრამ თავაზიანმა უარმა არ გასჭრა და ემორჩილება.

შვილი მასპინძლებს გააცნო.

აპოლონი კინალაშ შეიშალა ბონდოს ნახვაზე.

სამჯერ ზედიზედ გადაკოცნა და კითხვა მოკითხვისა და მობოდიშების შემდეგ დასხდენ, როგორც იქნა.

თითქმის ყველა მთვრალია, მხოლოდ ერთად-ერთი სკაპეცი არ ის უხიზლად.

მას „კისლი შჩი“ უდგას წინ.

დაიწყო სადლეგრძელოები შემოსწრებულის.

ბონდო სკაპეცის გვერდით ჭის.

ღვინო დალია.

სჭამს საცივსა და ღომს.

მრავალ-უამიერი სჭექეს მასპინძლებმა.

მედუქნე დარბის და ფაცურობს.

ხან ღვინო მოაქვს, ხან საცივი, ხან ხარჩო.

— რავაა, ბატონო, ა?.. მალე რაცხარჯინიგზაა გვე-ქნება და არ მგონია კაი დღე დაგვაყენოს!..

— სწორეთ რომ გითხრა, ბატონო, ვერ გამიგია მაი ამბავი, ცხენი შით არ ემბება და კამბეჩი, რაფერ უნდა გეიაროს, არ მესმის!..

— რაცხაა ჩემო ბატონიშვილო, კაი ნაქნარი არა!.. რაცხა ეშმაკოულის სუნი უდის მაგ ამბავს!.. — დაუმატა გურიიდან ცხენის საყიდლად ჩამოსულმა თავადმა მაჭუ-ტაძემ.

ბონდო ჩუმად არის



არ ერევა მუსაიფში.

ლაპარაკობდენ ისინი ამ მთისას, იმ მთისას.

ლაპარაკობდენ სუჯუნელ ურია ცხაკუნია მიხალე-შვილზე, — როგორ გამდიდრდა იგი.

აპოლონს რაღაც ეყიდა სკაპეცისაგან და ახლა „მა-ყარიჩს“ შეექცეოდენ.

სკაპეცი იჯდა მოკუნტული, დამფრთხალი, ბასში არ ერეოდა.

ეტყობოდა, თავის კანში ვერ გრძნობდა თავს.

ბონდოს მოსვლაზე მთლად დაიბნა, ჩაიფუფქა.

ბონდო თვალ-ყურს ადევნებდა მას და თან ლვანოს შეექცეოდა.

უნდა გააბას სკაპეცთან მუსაიფი, მაგრამ ვერ ახე-რხებს.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩამოაგდო სიტყვა რუსე-თზე და სკაპეცი უეცრად დაფაცურდა თავის ადგილზე, ცმუტვა დაიწყო, მოიხედა და ბონდომ შენიშნა, რომ მის მიბუუტულ თვალებში რაღაც ცეცხლი დაინთო.

მას უხარია მოსკოვზე ლაპარაკი.

იგი თვითონ იქიდან არის.

მის წინ ნათლად გამოიხატა: ჭიტად-გოროდი, კრე-მლი, ტალკუჩკა, ორმოცთა-ორმოცი.

აიდგა სკაპეცმა ენა და გაიბა ხელჩართული ბასი.

აზნაურებს რუსხემწიფის ამბავი აინტერესებდათ.

ბონდო ელაპარაკებოდა სკაპეცს ხან რუსულად, ხან ქართულად.

ყარამანს თავი მოსწონდა შვილის რუსულით.

სკაპეცი საცოდავათ ამტვრევდა ქართულს და ყარა-მანს უნებლიერ ელიმებოდა, დანარჩენები ხმამალლა ხარ-ხარებდენ.

მეზობელ სუფრების ყურადღებაც აქეთ მოიქცა; კუჭუკ  
სკაპცები, თავის რწმენაზე იშვიათად ლაპარაკობდნენ, რა  
და ეს საინტერესო იყო.

ბონდოს ღვინო კარგათ ჰქონდა მოკიდებული.

თვალები ულიცლიცებდა და ტვინი უქრუოდა.

ყარამანს ცოტათი ესმოდა რუსული, ტფილისში ეს-  
წავლა, და, როგორც შეეძლო, უთარგმნიდა მეინახეთ.

ლაპარაკობდა სკაპეცი ნალვლიანად დედა-რუსეთზე,  
დედა-მოსკოვზე.

გაიტაცა იგი სამშობლოს ამბებმა, უჩვეულოდ მო-  
ცოცხლდა და სასაცილოდ ასავსავებდა ხელებს.

თვალებ მიბუჭული, ქოსა, დაპრანჭულ სახით.

— ეკ, ჩემო რუსეთო, ჩემო დედავ მშობელო!.. — ამო-  
იკვნესა მან და თავი ჩაჰვიდა.

— ჩვენ გაღმოვვასახლეს კავკასიაში ჭეშმარიტ რწმე-  
ნისათვის!.. — ამბობდა იგი აყბედებული, — მაგრამ ჩვენ მაინც  
ერთგული ვართ ჩვენი რწმენისა!.. ჩვენ გვძულს ხორცი,  
იგი მძორია ხრწნილებისათვის გაჩენილი, არ გვწამს თეს-  
ლი!.. ჩვენი სული ჩვენ მაცხოვართან მიიღოთვის!.. დიდება  
კონდრატი ქრისტე-მაცხოვარს!.. — დაიძახა მან სასოებით  
და ხელები ცაში აღაპყრო.

— სხეული ამძიმებს სულს!.. ხელს გვიშლის, რომ  
უზენაესს ვეზიაროთ და ჩვენ უარი უთხარით მას!.. ჩვენ არ  
გვინდა მიწა, გვძულს იგი!.. მიწა ცოდვილია და ცდუნე-  
ბით დატვირთული, მანკიერებით აღსავსე და ჩვენ მოვი-  
ცილეთ იგი, შევიბერტყეთ!.. ჩვენი სასუფეველი უმშიკვლო  
ზეცაშია!.. განა იმისთვის არ ეწამა წმ. კონდრატი სელი-  
ვანოვი!.. ჩვენ გვწვავდენ, ჩვენ გვავემავდენ, გვდალავდენ,  
გვაგდებდენ ნაობახში, მაგრამ ვერ გაგვტეხეს რწმენით

და სულით ძლიერნი!.. ეს ძალა ჩვენმა ქრისტემ მოგვანიჭა  
დიდება მის სახელსა და უკვდავება!.. განა იგი არ იყო  
ურწმუნოთა მიერ რომ ეწამა?.. სამი ღლე და ღამე ხაროში  
იწვა, ათი ღლე და ღამე პურის ყანაში იმაღებოდა, თო-  
რმეტი ღლე და ღამე საბძელში ღორის სალაფავ გეჯის  
ქვეშ ეგდო მისი წამებული წმინდა სხეული და განგებამ  
იგი მაინც უვნებლად მიიყვანა ქალაქ ტულამდე!..

სკაპეცი გაიტაცა ამბავმა და შეუმჩნევლად რუსუ-  
ლზე გადავიდა:

— Вся наша надежда на его пришествие для новаго  
царствия; его страды претерпенные им для спасения  
душ его милых детушек. Не сам ли батюшко говорит:  
„а прислал меня сам отец и матушка Акулина Ива-  
новна— великая мильйонщица. Прикащницы у ней были  
по всей вселенной, торговали да уж жили, не горевали,  
а только грех из себя выгоняли и на крест свой люди  
отдавали в руки иудеям“...— ლაპარაკობდა სკაპეცი არა-  
წმინდას და უველა ყურს უგდებდა განაბული.

დღურუვდა უველაფერი და სკაპეცის სიტყვები გამ-  
ხმარ ნაყოფებივით სცვივოდა ორპირის სამიკიტნოში. მო-  
ქეიფენი თავს იქნევდენ და ყურს უგდებდენ. მერე მოს-  
წყინდათ, არ ესმოდათ ამ საპყრიად დაცემულ სკაპეცის ბო-  
დვა. მათ უბრალოდ სწამდათ ღმერთა. დადიოდენ ეკლე-  
სიაში, ლოცულობდენ და სანთელს უნთებდენ ხატებს,  
დანარჩენის გამოძიებაში ისინი არ შედიოდენ და არც ეკი-  
თხებოდათ.

აპოლონმა ვერ მოითმინა და შეუტია სკაპეცს:

— კაი აწი, რუსო, გეყოფა, რას პრონტავ, თუ იცი!..  
აბა, ყმაწვილებო, ეს ღმერთმა გოუმარჯოს ..— მას უნდო-



და რუსხემწიფის სადღეგრძელო დაელია, მაგრამ არ და-  
სკალდა

გარეთ უცნაური ბლავილი მოისმა.

სტუმრები შეკრთენ და მათი ყურადღება ქუჩისკენ  
მიიქცა.

ბონდოს შეაურუოლა ამ ბლავილზე და იჯდა გა-  
შეშებული.

ყველა გაფაციცებით იცქირება გარეთ და ხელავენ  
ქუჩაში მოდის მთლად შიშველი გუჯუ ლაბახუა. ატყდა  
ხარხარი: დატვირთული იყო ის თავით ფეხამდე ჯოხე-  
ბით, ბელტებით, ჩაჩიებით, ქვებით და ბლავის შემხა-  
რაფად.

მისი მკერდი გოდორივით არის დაწნული და მო-  
დის აღერებული.

ქალები წივილით გარბიან, თვალებზე ხელს იფარე-  
ბენ და ფარდულებს უკან ამომალულნი ნატრობენ მის  
ლონიერ მკლავებს.

ხალხი ხარხარით ეხვევა.

— ვოუ, გუჯუ!.. გუჯუ ლაბახუა!.. — ეძახიან აქეთ-  
იქიდან.

გუჯუ დგას ანთებული, კბილებდალრჭენილი და ფშვი-  
ნავს კურატი მოზვერივით.

ბონდო წამოდგა.

შუბლზე ხელი გადისვა, თმები უკან გადიყარა და  
ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა.

მივიდა სულ ახლო და თვალებში ჩახედა.

ხალხი გარინდდა.

გუჯუ იდგა გახედნილ მოზვერივით მორჩილი ბონ-  
დოს წინ.



კარგა ხანს უცქეროდა ბონდო გუჯუ ლაბახუას წერა  
შლილ თვალებში, მერე შემოტრიალდა და ხალხმა დაი-  
ნახა რომ მას მიწის ფერი ედო.

მივიდა მამასთან და წყნარად სთქვა:

— წავიდეთ, მამაჩემო!..

მოუყვანეს ცხენები და შესხდენ.

ბონდოშ წასვლის წინ ერთი კიდევ მოიხედა, შეხედა  
გუჯუს, შეხედა სკაპეცს, ცხენს ქუსლი ჰკრა და არავის  
არ გამომშვიტობებია, ისე გაუდგა გზას.

კარგა ხანს ესმოდათ ბონდოს და ყარამანს გუჯუს  
ბლავილი, მაგრამ ბოლოს ისიც მიწყდა...

## ქარი მემვიდე

### დაღლილი სისხლი

ყარამან გაოცებული იყო ბონდოს საქციელით.

ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო რა ამოკითხა მან  
გუჯუს თვალებში.

ცხენებს ოფლი დასხა და მიირწეოდენ ნელა.

რამდენიმეჯერ გადახედა შვილს... უნდოდა გამოლა-  
პარაკებოდა...

ერთ ეზოსთან მოსახლის ძალლი მოასკდა ლობეს და  
ჰყეფდა გაკაპასებული.

ბონდო გამოერკვა. შეხედა მამას, გაულიმა საცოდა-  
ვად და ისევ წავიდა ფიქრებში.

ხმა არ ამოულიათ ისე მივიდენ სახლში.

ბონდომ შემოგებებულ ლიზიკიას სადაცე გადასცა  
და თავის ოთახისაკენ გაეშურა.

ნაშუადლევს მთელ ოდას ეძინა.

შარაზე ისმოდა პარასკეობიდან დაბრუნებულ ხალხის  
ყიყანი.

მოდიოდენ ნავაჭრით.

ზოგს ქოთნები მოჰქონდა, ზოგს ახლად მოპირუ-  
ლი თოხი, ზოგს ბუბლიკები და ჩითი.

ქალებს აკარწახებული კაბა წელში აეკრათ, მო-  
დიოდენ ფეხშიშველი და წულები, გზაში რომ არ გაცვე-  
თილიყო, ხელით მოჰქონდათ.

ყარამანმა ლიზიკიას ჭილოფი ეზოში ნიგვზის ქვეშ  
გააშლევინა, ცოტა ლვინოსაც ჰერძნობდა თავში და მიუ-  
ძინა.

მჩე უკვე გადახრილი იყო, როცა ბონდო ოთახიდან  
გამოვიდა.

პირი დაიბანა და დიდხანს უყურებდა, როგორ სწვე-  
ლიდა ლიზიკია ფეხებგაბიძგულ ძროხას.

რძე ძუნწად წკრიალებდა ქოთანში და მარგილზე  
მიბმულ ხბოს სული მისდიოდა.

ძროხა რძეს იპარავდა და ლიზიკია მუშტს სცემდა  
ცურში, რომ დამალული რძე გამოედინა.

ბონდო ეფერებოდა, ჰკოცნიდა ხბოს გონიერ თვა-  
ლებში.

მერე თავი მიანება და დედასთან წავიდა.

მუსაიფობდა დედა-შვილი ტკბილად და ისე დააღამ-  
დათ რომ არაფერა გაუგიათ.

ციცინოს მიეძინა.

ყარამან და ბონდო გავიდენ აივანზე.

აივნის წინ დარგული მაგნოლიები და გორტენზიე  
ბი ჰაერს აბრუებდენ და ალვის ხეებს წვერი ზეცაში  
მიებჯინათ.

ყარამან უცქეროდა შვილს და კრიალოსანს სთვლიდა.

უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ვერ ახერხებდა. მერე  
ყალიონს აბედი მისცა და გააბოლა.

ბონდოს აბედის სუნი ძლიერ უყვარდა და ლრმად  
ისუნთქავდა აბედიან ჰაერს.

ისხდენ და უცქეროდენ ლამეს, სანამ ლიზიკიაშ ვახ-  
შამზე არ მიიწვია.



შევიდენ დარბაზში და დასხდენ ვახშმარ. დაასხეს  
ლვინო და სვამდენ. ბონდოს იამა ტყემალში ჩაწყობილი  
შემწვარი ქათამი. რამდენი ხანია არ უჭამია!...

კოლოები აპუტუნდენ ჭრაქის ირგვლივ.

ბონდომ რამდენიმე კათხა ლვინო ზერიზედ დასცა-  
ლა და უცნაურად გაიღიმა. გულს რაღაც მოეშვა, ხალვა-  
თობას გრძნობდა და მომხიარულდა.

ყარამან აკვირდებოდა შვილს და ბონდომ უხერხუ-  
ლობა იგრძნო. უნდოდა ეკითხა, რათ უცქეროდა ასე  
გუჯუ ლაბახუას, ან რა ამოიკითხა, მაგრამ გადიფიქრა.

ბონდომ ქათმის ძვალს მოუთმენლად დაუწყო წუწნა,  
მერე გამოხრული ძვალი მიაგდო და ჩაფიქრებული იდა-  
ყვით სუფრას დაეყრდნო.

— თქვენ უმაღლური ბრძანდებით, თავადო ბონდო,  
უმაღლური!..

— რატომ, კნიაჟნა?..

— მე თქვენ მოგართვით ბახჩისარაის ბეისაგან ჩემ-  
თვის ნობათად გამოგზავნილი თურაშაული და თქვენ!..—  
სთქვა კნიაჟნა ტრუბანოვამ უნიან საყვედურით ფრან-  
გულ კილოთი და ტირილი აუტყდა.

ბონდო: ინით შეღებილ წვერებით.

კიბარისებში და შადრევნებში და-  
ძირული ბახჩისარაი და ჰარამხანის შავ-  
გვრემანი ქალები თრთოდენ ბეის ონა-  
ვარ და ვნებიან მკლავებს მოწყურებულნი.

მას არ შეუძლია აიტანოს ქალის ცრემლები და ამ-  
ბობს მუდარით;



— ნუ, კნიაუნა, ნუ!..

კნიაუნა ათროთოლდა და ბონდომ სიღრმეში იგრძნონ  
რომ ქალი ალერსს სთხოვდა.

— ნუ, კნიაუნა, ნუ!.. — ამბობდა იგი უაზროდ და  
წელზე ხელი შემოჰვია.

მისმა თითებმა კორსეტ ქვეშ იგრძნეს ქალის რბი-  
ლი და სალუქი სხეული.

კნიაუნა გაინაბა და ცრემლიანი თვალები მაღლიე-  
რად შეანათა.

ბონდოს სისხლი თავში აუვარდა... ოთახი ატრია-  
ლდა ზევით და სულთქმაშეკრული ნელა, ვნებით დაყურ-  
სული ეწეოდა ქალს თავისკენ.

სურვილით აკანკალებული ტუჩები მოუთმენლად მოე-  
ლოდენ კნიაუნას მარწყვისფერ ტუჩებს.

„რეზედა“ და ქალური სურნელება ვჩებას აფიცებდა.

კნიაუნა უახლოვდებოდა ტანდაყუდრული და, როცა  
ბონდომ სახეზე მისი სუნთქვა იგრძნო:

— თავადო ბონდო, თქვენ ლილი გაკლიათ საყ-  
ლოზე!..

ბონდო გამოერკვა.

ანთებულმა მოსწია საკინძე და შემოხეული საყელო  
ფეხრთით ესროლა.

კნიაუნას მაღალ თათმანიანი ხელი იდო როკოკოს  
სტილის პატარა შაგიდაზე და ჰერნ კალებდა.

ოო, როგორ სძულს მას ეს ქალი!..

ბონდო გამწარდა.

— მე თქვენ გაგიჟებით მომწონხართ, კნიაუნა!.. —  
ამბობდა იგი რაღაც უადგილოდ, ყალბად, თვითონვე ჰგრ-

ძნობდა ამ სიყალბეს, ეს კიდევ უფრო არაზეპლი მაცრდება.

და ვიღაც უზრდელის საყელო ეგდო სამარცხვინოთ  
იქ, კნიაუნას ფეხრთით.

— ღმერთო, რა დამემართა, რა დამემართა!.. — ფიქ-  
რობდა ის.

კნიაუნამ პატარა ხელები საცოდავად აასავსავა, რა-  
ტომლაც გაშალა მარაო და გაიქცა.

კრინოლინის საპნის ქაფივით აშლალ აშიებში გა-  
მოჩნდა მისი ლამაზი და მაგარი ფეხები.

ბონდო დარჩა მარტო...

— რას აპირობ ახლა, შვილო?.. — მოესმა.

თვალები მოისრისა, — ხედავს, — მის წინ მამა ზის.

— რა სთქვი, მამაჩემო?..

— რას აპარობ ახლა? — განუმეორა ყარამანმა.

— არაფერს, მამაჩემო!.. რას უნდა გაპირებდე?! —  
სთქვა მან გაკვირვებით და ღვინო დალია.

— მაინც?.. — არ ეშვებოდა ყარამან, — ცოლის თხო-  
ვას ხომ არ აპირობ?.. შენ ახლა დავაგვაცებული ხარ, —  
დროა ოჯახს მახედო!.. შენხელობაზე მე ოჯახის თავი  
ვიყავი!.. დედაშენი დღესაა და ხვალ არ იქნება, — ამას  
შენც ხედავ!.. არც მე შემიძლია, — მოვხუკდი!.. — ამბობს  
ყარამან და თან ღვინოს უსხამს შვილს.

ბონდო ჩაფიქრდა: ცოლი... ბონდომ ცოლი უნდა  
ითხოვოს... რათ უნდა ითხოვოს მერე?.. — იმიტომ რომ  
რომ დედა დღესაა და ხვალ არ იქნება.

მამაც მოხუკდა.

მაგრამ ბონდოს მაინც არ ესმის, რატომ უნდა ით-  
ხოვოს ცოლი!..



ბონდოს უყვარდა ბავშობისას ერთი ქალი... მაგრა მოდიოდა მზეთუნახავი და რჩებოდა მასთან გათენებამდის.

პეტერბურგში ნახა მან ერთი ქალი, მაგრამ კნიაჟნამ აასავსავა მაღალთათმიანი პატარა ხელები, რატომ-ლაც გაშალა მარაო და გაიქცა.

და კრინოლინის საპნის ქაფივით აშლილ აშიებში მოსჩანდა მისი ლამაზი და მაგარი ფეხები.

მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის ფრეილინა კნიაჟნა ტრუბანოვა გაჰყვა ვიღაც საეჭვო შთამომავლობის კირასირ გრაფ ვილიე დე-გრიფინს, თუ გრაფინს, ეს სულ ერთია.

მერე ბონდოს ჰერცონიდა m-IIe ფიფი...

მიატოვა იგი პეტერბურგის გათოშილ კუნძულებზე და გამოიქცა.

ახლა, ალბათ, მარტო სძინავს ამ სიცივეში m IIe ფიფის და ძიგძიგებს ლოგინში, ან-და მეზღვაურებს უკლავს მიწის წყურვილს.

ისინი დღე და ღამე ზღვაში არიან გემზე და, როცა ხმელეთზე გაღმოდიან, საოცრად ირწვევიან (გემზე ჰერცონიათ თავისი თავი), ფეხზე ვერ ჩერდებიან და m-IIe ფიფი აწვენს მათ თავის ლოგინში...

M IIe ფიფი..

ირემო მთასა მყვირალო, რას ჩამოვარდი ბარადა... ვერ მოსტაცა ნოხს მზეთუნახავი...

მზეთუნახავი დგას ოცნებასავით თეთრი და ნაზი მოგრძო ნუშის თვალებით...

ბონდომ გაშალა ხელები და უახლოვდება ქალს ფეხაკრეფით.

კედელზე მიკრულ ნოხს მიყრდნობილი მზეთუნახავი  
ელის ბონდოს მაღლიერ თვალებით...

— ღმერთო, შენ მიშველე!.. წმინდაო გიორგი, შენ  
მომეხმარე!.. — ლოცულობს. .

— ჩემო სიცოცხლევ!.. ჩემო სიცოცხლევ!..

მიღის ნოხისკენ ხელებგაწვდილი.

— რას შობი, ბატონო?!. — დაიძახა ლიზიკიამ.  
ბონდო გამოერკვა.

მზეთუნახავის მაგიერ ლიზიკია დგას კედელს ატმა-  
სნული უშნო და ბინძური.

მობრუნდა დარცხვენილი და ხედავს ზარდაცემულ  
თვალებით მოჩერებულ მამას.

— რა დაგემართა, ბონდო?

— არათერი, მამაჩემო, არათერი!.. — ამბობს იგი და  
ჯდება. — ალბათ ლვინო მომერია!..

— ნუ დალევ, შვილო, მერე ამდენს!..

ბონდომ ამოიოხრა, ხელი აგდებით აიქნია, დოქს წაჭ-  
კრა და კინალამ წააქცია.

— მეტს ალარ დავლევ!.. — სთქვა მან, შეხედა მამას  
და გაეცინა.

— ხომ არ გადირია!.. — გაულელვა ყარამანს.

— რა გაცინებს ბონდო?..

— ცოლი ვითხოვო, მამაჩემო, არა?.. ცოლი, ხომ,  
მამაჩემო. — სთქვა მან და შუბლი მოუთმენლად მოისრისა.

— რის მაქნისა ვარ მე?.. აბა შემომხედე!.. მშიშარა  
და დაჩიავებული!.. იცი, მამაჩემო, მე მინდოდა ერთხელ  
ქვეყნის დახსნა, — ამისთვის საჭირო იყო რუსხემწიფის  
მოკვლა, მაგრამ შემეშინდა!..

— რას ამბობ, ბონდო!.. — დაიძახა შეშინებულმა ყა-  
რამანმა.

-- ნუ გეშინია, მამაჩემო, დამშვიდდი!.. მე საკმაოდ  
მხრალი აღმოვჩნდი რომ ეგ ჩამედინა!.. მეშინოდა ღმერ-  
თის, მეშინოდა ჩემი თავის და რა ვიცი კიდევ რისი არ  
მეშინოდა!.. ვერ გავბედე და ასე გათავდა ეს ამბავი!.. გა-  
დავწყვიტე რომ სისულელეა ყველაფერი და ამ საქმის-  
თვის საჭიროა სხვა ხალხი!.. ახალ ქვეყანას ახალი ხალხი  
ჰქმნის!.. მე კი დაჩიავებული ვარ!.. ჩვენ შეგვიძლია წავი-  
დეთ, მამაჩემო!.. ახლა რკინიგზა მოდის და ჩვენ უნდა  
დავხუროთ მატიანე!.. ახლა სხვები მოვლენ ჩვენ ადგი-  
ლას, დაზიდულ ძარღვებითა და ახალი სისხლით,—უგვა-  
რო ხალხი!.. ჩვენ წავიდეთ, მამაჩემო, და ძველი დიდებით  
შევიქციოთ თავი!.. ჩვენ ახლა მოხუკი ბერიკები ვართ!..  
როგორ არის?.. მე ერთი ტირილი გამიგია ბერიკებისა  
ქალაქში!.. როგორ არის?.. ჰო:

„მღვდელმა ამიგო ანდერძი, წიგნს კითხუ-  
ლობდა გრძელსაო,

„ბოლოს ლოცვა გაათავა, მიწას მაყრიდენ  
ბევრსაო,

„მოვა ის გველი, წითელი, მოიღერებდა  
ყელსაო,

„ჯერ ხომ გადამძოვს ულაშმა, მერე წვერს  
მიჰყოფს ხელსაო.

„მას უკან ვიწყებ დაშლასა, დავემსგავსები  
მტვერსაო“...

— როგორ მოგწონს, მამაჩემო, ჰა?.. ხე!.. ხე!.. ხე!..  
ტრა-ლა-ლა!.. დავემსგავსები მტვერსაო!..



ყარამან უცქერის შვილს.

გადირია, ნამდვილად!..

თუ მთვრალია და ღვინო ალაპარაკებს?..

თვალები ამღვრევია და თავს კისერზე ვერ იჩერებს.

რაღაც რუსულ ბილშ სიმღერას ლილინებს.

— ბონდო!.. — დაუძახა ყარამანმა.

— Э е-ех ты, су-у-кин сын, ка-а-маринский мужик!

Заа-а-драл задницу, по у-у-лице бежиши!..  
— უპასუხებს იგი.

შეჩერდა. სიცილი დაიწყო.

— ბონდო!.. — დაიძახა უფრო ხმამალლა ყარამანმა.

ბონდო ისევ განაგრძობს.

მამამ არ იცის რა იღონოს, მაგრამ ბონდო ჩუმდება და პატარა ხანს წყნარად არის.

ყარამანს უნდა ღვინო დალიოს, ხელები უკანკალებს და კათხა ვერ აიღო.

— მამაჩემო!.. მამაჩემო!.. — დაიძახა უეცრად ბონდომ, ხელები ლოთურად აასავსავა, წამოდგა გაბრწყინვებულ თვალებით და იწყებს:

— მამაჩემო!.. ერთ ოქროსთმიან ალს შეუყვარდა ერთი წვივმაგარი გლეხი!.. ტყეში შეხვდა მას, შეუყვარდა და დანებდა ბალახებში.

— ყოველ დამე მოდიოდა ალი მასთან და იწვენ ხულის თავზე. ფაინა ერქვა ალს და მისი ძუძუები ცხელ აფუებულ კვერებივით ეკიდა მკერდზე. მენჯი მისი განიერი



იყო და ვნების გამაფიცხებელი. ოქროს თმებში ჰქვევდა გლეხს ალი ფაინა. გამდიდრდა გლეხი. ოქროში და ვერცხლში იჯდა იგი და ცხოვრობდა თავის ცოლთან ბედნიერი. და ერთხელ მთელი ლამის ტრფობით დაქანცულ ალს გლეხის მკერდზე მიეძინა და თავს დაათენდათ. ეძინათ ორივეს. ალ ფაინას ოქროს თმები ჩამოიშალა ხულის თავანიდან, დაცვივდა მიწაზე და ძროხის ფუნაში დაისვარა. აღრე ამდგარმა გლეხის ცოლმა დაინახა ისინი, თბილი წყლით გაუბანა ალს ოქროს თმები და ქმარს ბარაქად დააყარა. გრძნეულმა ფაინამ შენიშნა ეს და გული ჩაწყდა. მას მერე არ გაჰყარებია იგი გლეხის ოჯახს. წავიდა უბედური და თავისივე თვიურით მოიწამლა თავა. დალია იგი და მოიწამლა.

— როგორია, მამაჩემო, ა? ხომ მოგწონს! მე მიყვარს ალი ფაინა, მაგრამ ცოლი არ მინდა. იმიტომ რომ, შენ არ იცი, მამაჩემო, მაშინ ფაინა წავა და თავს მოიწამლავს. მე მუდამ მარტო ვცხოვრობდი იქ, გათოშილ პეტერბურგში და სულიკ გათოშილი მქონდა. შენ იცნობდი, მამაჩემო, ტატო ბარათაშვილს, ის ჭორიკანა იყო თურმე და შენ არ გიყვარდა. ის დიდი კაცი იყო, მამაჩემო, და იმასაც სულით ობლობა აწუხებდა. ძნელი არის მარტოობა სულისა, მას ელტვიან სიამენი სოფლისა. ეეჲ, მამაჩემო, მამაჩემო!.. მეც მიყვარდა იქ სიცივეში ალი ფაინა, მაგრამ ლილი არ აღმომაჩნდა საყელოზე და ის გაჰყვა წვივმაგარ ვაჟკაცს, ვიღაც მეჯინიბეს გაჰყვა იგი... ის საეჭვო გრაფი იყო... და მაინც გაჰყვა... იმიტომ რომ მას საყელოზე ყველა ლილები თავის ადგილას ჰქონდა... ხე!.. ხე!.. ხე!.. მე მრწამს ალი ფაინა განიერი მენჯით და წვივმაგარი გლეხი!.. ჩვენ კი ექსო' ია, ექსორია!..

სუფრაზე დაყრდნობილი ყარამან ყურს უგდებდა  
შვილს გარინდებული. მერე ვერ მოითმინა მდგომარეობა  
შეიცვალა და ღრმად ამოიოხრა.

— ლიზიკია! .

— რას მიბანებ, ბატონი? ..

— ბონდოს ლოგინი გაუშალე! .. დალალულია და მო-  
სვენება უნდა! .. რას დაგილია პირი და მიყურებ ხარხაში! ..

— ხე! .. ხე! .. ხე! .. რა კარგი ხარ შენ, მამა, რა კარ-  
გი! .. მე ალტაცებული ვარ შენით! .. მე დალლილი ვარ,  
მამაჩემო, დალლილი მგზავრობით! .. ხუმრობა ხომ არ არის  
ამოდენა გზა! .. მთელი ორი თვეა მოვჯახირობ! .. დალლი-  
ლი ვარ და მოვჯახირობ დალლილი კაცი დალლილი სი-  
სხლით! .. მერამდენე საუკუნეა, მამაჩემო, რაც ჩვენი სის-  
ხლი სდის ძალვებში? .. რას ამბობს ამის შესახებ საგვა-  
რეულო მატიანე! .. ხე! .. ხე! .. ხე! .. მე დალლილი ვარ და  
მაინც ვიცინი. ერთი კაცი, რომელსაც სიკვდილით დას-  
ჯა ჰქონდა გადაწყვეტილი, სახრჩობელაზე აყვანისას სქე-  
სობრივ ალტკინებაში მოვიდა და გაეცინა თურმე კისერ-  
ში თოკწაჭერილს. ყადს გაუკვირ და და ჰკითხა რა აცი-  
ნებდა, და, როცა მან უთხრა მიზეზი, ყადმა აპატია დანაშაუ-  
ლი, რამეთუ ძლიერი იყო მასში სიცოცხლის წყურვილი მეც  
მეცინება, მამაჩემო, მაგრამ მე არ მაპატიებს ყადი, რა-  
მეთუ მე ვიცინი ჩემს უილაჯობაზე და, თუმცა მე არავი-  
თარი დანაშაული არ მიმიძლვის, მაინც დამახრჩობენ! .. მე  
დალლილი ვარ, მამაჩემო, და იმიტომ. მე ვარ უინიანი,  
მაგრამ ბილწი და უთესლო. მე მიყვარდა ქალი პეტერ-  
ბურგში და, როცა მე უნდა დამეთრო იგი ვნებით და  
თავდავიწყებაში შემეყვანა, მე ვერ შევძელი ეს და მან  
შენიშნა, რომ ლილი მაქლდა საყელოზე! .. ხე! .. ხე! .. ხე! ..  
ასეთი ვარ მე, მამაჩემო! .. ხე! .. ხე! .. ხე! ..



ყარამან გაფითრებული უგდებდა ყურს.

— მე მიველ დღეს გადარეულთან, ჩავხედე თვალე.  
ბში და ვნახე რომ იგი გადარეული იყო უინით!.. გუჯუ  
ლაბახუა მოიტანს შუმ ვნებას!.. გუჯუ ლაბახუამ უნდა  
გვიხსნას, თორემ არა ჩვენი საშველი!..

ყარამანს მეტი არ შეუძლია. გულზე ცეცხლი მოე-  
დო და რისხვით ანთებული ფეხზე წამოიჭრა.

— ადექი!..— დაიყვირა მან და რატომლაც ლვინით  
სავსე დოქს ხელი მოჰკიდა.

მეორე ოთახიდან მოისმა გამოლვიძებულ ციცინოს  
კვნესა.

ბონდო შეკრთა. ფერი ეცვალა. ადგა კანკალით და  
დამნაშავე ბავშივით გაჩერდა მის წინ.

ყარამანმა შეხედა შვილს და ისე საბრალო და მო-  
რჩილი იყო იგი, რომ გულში რალაცამ ცხლად გაჰკაწრა  
და ხმას დაუწია.

— წადი, მოისვენე!..— სთქვა წყნარად და ხელით  
კარები უჩვენა.

ბონდო დაიძრა. გადადგა ნაბიჯი, შეყოყმანდა...  
უეცრად მოტრიალდა და დაემხო მამის წინ.

ყარამანმა წამოაყენა და შუბლში აკოცა. მამა შვილს  
შორის გალხვა ყინული.

— მაპატიე, მამა!..— სთქვა ბონდომ წყნარად.

— რა შვილო?..— შეეკითხა დაყვავებით და თვალე-  
ბზე ცრემლი მოადგა.

— მე რომ ასე ვარ!..

— ღმერთი გაპატიებს!..

— შვილობით!..

— ძილი ნებისა!..

ბონდო წალასლასდა ფეხების თრევით, მერე მო-  
ბრუნდა, ბავშივით შეშინებულმა მამას ქურდულად შეხედა  
და კარებს მიეფარა.

ყარამანს ისარივით მოხვდა ეს შემოხედვა.

ბონდოს მხდალი შეშლილი თვალები არ შორდე-  
ბოდა მის გონებას.

მწარე ტკივილით მოწყვეტილი ჩაჯდა სკამში.

ციცინოს ოთახიდან კვნესა მოისმოდა.

ღვინო დაისხა და სვამდა ზედიზედ. დასხამდა,—  
დალევდა და სვამდა ისე კარგა ხანს განუწყვეტლივ.

ფიქრები ბუჭებივით აირია თავში.

კოლოები პუტუნობდენ ჭრაქის ირგვლივ.

ყალიონს მოუკიდა და გააბოლა.

ბოლი ზარმაცად გაწვა სუფრაზე და ლვინიან დოქს  
შემოეხვია.

ფიქრები ბოლს აედევნა.

ციცინო მოვიდა მასთან თეთრი და ახალგაზდა,  
მკლავზე მძინარე ბონდო უსვენია.

მოვიდა და ყმაწვილი დედის სიამაყით ქმარს მკერ-  
დში მიეყრდნო და ტუჩები შეჰკრა ალერსიანმა კოცნამ.

ბონდოს სძინავს პატარა ანგელოზივით დედის  
მკლავზე ჩვილსა და უმანკოს.

უეცრად ყარამანს რალაც ფათური მოესმა.

გამოერკვა.

წინ ისევ სუფრა და მოჩუზუნე კოლოები.

მობრუნდა და ხედავს ლია კარებში ბონდო ლიზი-  
კიას აკავებს, ლროვინის გაშლას არ აცლის, ჰკოცნის, ემუ-  
დარება რალაცს და იცინის ბილწად დორბლმორეული.

ყარამანმა თვალები მოისრისა,—ისევ ის სურათი.



წამოგარდა და უცქერის.

თმის ძირებში სიცივე შეიჭრა.

— გლეხი და აღი ფაინა!..

— თავადი და გომბიო ლიზიკია!..

— გლეხი და აღი ფაინა!..

— თავადი და გომბიო ლიზიკია!..

მოეშვა.

მხრები აიჩეჩა, გულზე ხელები დაიწყო და, თით-ქოს რაღაც ძვირფასს, დაუფასებელ, საუნჯეს იხუტებსო, მელავები მოუჭირა და ნელი ბარბაცით გარეთ გავიდა.

---

## ს პ რ ტ მ ე რ ვ ა

### ბონდოი გადარეული

მეზობლები მოდიოდენ ციცინოსთან ძლვნებით.

ულოცავდენ შვილის ჩამოსვლას და ამდენი ხნის ნატვრის ასრულებას.

ბონდო სტუმრებთან არ გამოსულა.

ციცინო ბოდიშს იხდიდა რომ იგი ვერ ნახავდა  
მათ: — დალლილი იყო შორეულ მგზავრობით.

მასთან იშვიათად თუ ვინმე მივიღოდა.

ეშინოდათ სენის და, როცა ალაგეზე გადავიდოდენ,  
ტანისამოსს გაიბერტყავდენ: სახლში არაფერი გაჰყოლო-  
დათ.

ამას ჰერძნობდა ციცინო, მაგრამ არავის ამჩნევი-  
ნებდა.

მოსულები ფრთხილად ისხდენ და ცდილობდენ მა-  
ლე მოემიზეზებინათ წასვლა: სადილი იყო მუშებისთვის  
გასაკეთებელი, ბავშვს ძუძუს ჭმევა უნდოდა, ოჯახი იყო  
უპატრონოდ დატოვებული, ქათამი იყო დასაპურებელი.

მთელი ორი კვირა იყო ბონდო ჩაკეტილი ოთახში  
და ყარამანი შიშობდა არ ჩახუთულიყო ამ გავანია სიცხით  
გახურებულ ოდაში.

საჭმელი ლიზიკიას შეჰქონდა და ხედავდა, რომ  
ბონდო კისრამდე წიგნებში იჯდა.

წმ. გიორგის ხატთან თაფლის სანთელი ენთო და  
რამდენჯერ შეესწრო მხურვალედ მლოცვას.

ლოგინთან მუდამ გადაშლილი სახარება იდო.

ლიზიკიამ არ იცოდა კითხვა და ევონა რომ ყოვე-  
ლი მსხვილტანიანი წიგნი ან სახარება იყო, ან-და დავი-  
თნი.

მაგიდაზე ეწყო ძველი ხელთნაწერი წიგნები და ქა-  
ლალდები საგვარეულო წიგნთსაცავიდან: კარაბადინი,  
ეფუთი, მარხვანი, სამთვარიო, წიგნი თუალთად.

ყარამანს არ მოსწონდა ეს ამბავი.

ბერად ხომ არ აპირობს შედგომას!..

ციცინო ეძახდა, სტიროდა, მაგრამ ბონდო არ გა-  
მოდიოდა.

მთელი დღე-ლამეები ისმოდა მისი სიარული ჩა-  
კეტილ ოთახში და არავის იკარებდა.

როდის ისვენებდა, ან იძინებდა, კაცმა არ იცოდა.  
შეშინებული იცქირებოდენ მის ოთახისკენ.

ხალხი დაფრთხა.

არავინ მოდიოდა.

რა ხმები არ დადიოდა.

ამბობდენ, რომ იგი გადაირია ნამეტანი სწავლით.  
ზოგი ხატს აბრალებდა, ზოგი უჟმურს.

— რაცხა ხვთის რისხვა თუ არაა მაი ოჯახზე, აპა  
რავაა!.. — ამბობდენ სოფელში.

— ცოდვამ უწია, ბეჩა, ცოდვამ!..

გუჯუ ლაბახუაც მოაგონდათ, გადარეული გუჯუ,  
ყარამანს რომ უკანონოდ შეეძინა მაკრინესაგან.

ყარამანმა, სინიდისი რომ დაეშოშმინებინა, ვიღაც  
ნაყმევ ლაბახუას მიათხოვა მზითვით ფეხმძიმობის დროს.

მაკრინემ ვერ გაუძლო იჭვიან ქმარს, მონაზენად  
ალიკვეცა და დარჩა გადარეული გუჯუ უპატრონოდ.

ასეთი იყო სოფლის აზრი ამ ოჯახზე.

სოფელი ბორგავდა.

თავის უბედურების მიზეზადაც ყარამანის მოდგმას  
სთვლიდა, მაგრამ ეშინოდა.

შიში და მორიდება ყარამანისადმი ჯერ კიდევ არ  
გამქრალიყო.

გუბერნატორი კოლიუბაკინი მეგობარი იყო მისი.  
კალუბაკინის პანჩური კი საქმაოდ განთქმული იყო ყველ-  
გან.

ერთ ლამეს, როცა ყველას ეძინა, ბონდოს ოთახი-  
დან კივილი მოისმა.

შეშინებული ყარამან შევარდა ოთახში და ხედავს:  
ლოგინში ნახევრად წამოწეული ბონდო ხელებს ასავსა-  
ვებს და სახარებით ვიღაცას იგერებს.

ლოგინთან მიდგმულ სკამზე სანთელი პარპალობს  
და მისი ლანდი საოცრად ირწევა კედელზე.

— რა დაგემართა, ბონდო?...—დაიძახა ყარამანია.

ბონდო შეკრთა, მოიხედა. გააგდო ხელიდან სახა-  
რება და მისკენ გაექანა.

— მიშველე, მამაჩემო, მიშველე!..—იძახდა იგი შე-  
შლილ თვალებით და ძრწოლაატანილი მამას მკერდში  
ეხუტებოდა.

ყარამანმა გადასწყვიტა რომ საქმე წასული იყო.

— ასე მოდის ყოველ ლამე და ვილუპები, მამაჩემო,  
ვილუპები!..

— ვინ, შეილო?..

— ის, მამაჩემო, ის!..



— ვინ ის?..

— ის, მამაჩემო, ის, პასასკეობაზე რომ გნახეთ...  
ყარამან მიხვდა ვისზე ელაპარაკებოდა.  
შუბლი შეიკრა.

მერე:

— დამშვიდღი, შვილო, ნუ გეშინია!.. — უთხრა და-  
ყვავებით და ლოგინთან მიიყვანა.  
ჩამოსხდენ.

— მეშინია, მამაჩემო, მეშინია!.. — იძახდა იგი შე.  
ციებული და კბილებს არაკუნებოდა.

ტუჩები და ფრჩხილები ლაინივით ჰქონდა ვალურ-  
ჯებული.

— რა ვქნა, მამაჩემო, რა ვქნა!..

— დაწეჭი, შვილო, დაწეჭი!.. — ურჩია ყარამანმა.

ბონდო დამორჩილდა. გაეხვია საბანში, მაგრამ ვერ  
დამშვიდდა. კანკალით ლოგინზე ვერ ჩერდებოდა.  
ბოლოს, როგორც იქნა, მიეძინა,

ხანდახან წამოაბოდებდა, შეაურულებდა და ისევ  
გაყუჩდებოდა.

ყარამან უცქეროდა შვილს და მხოლოდ ახლა შენი-  
შნა, რომ იგი მთლად ჩამომხმარიყო.

სადღაც წრომი იძახდა ბნელად.

ოთახში დუმილი იყო.

მიიხედ-მოიხედა, — ბერის სენაკი მოაგონდა.

მოწამეთა... დავით და კონსტანტინე...

პატარა ბონდო ერთგულად გაძვრა სამჯერ წამე-  
ბულთა კუბოს ქვეშ და სასოებით ლოცულობდა, პირ-  
ჯვარს იწერდა პატარა მსუქან ხელებით. ევედრებოდა  
ღმერთს გაზრდას, ბეღნიერებას და დედ-მამის სიცოკ-  
ხლეს:

— ჭმინდაო დავით და კოშტანტილე, მიჩობელე ჩემი  
კაი დედია და ბაბა, შაშახელო და დიდი ქაჩი გამჟალ-  
დე!..—ლოცულობდა იგი და ყარამან მოსიყვარულე თვა-  
ლებით შესცემოდა შვილს.

ბონდოს თავი მოსწონდა თეთრი საცვეთებითა და  
პატარა ვერცხლის ხანჯლით.

სულ მთლად პატარა და შესაქცევი მსუქან მტრები-  
ვით უჯდა ბერს კალთაში და შუბლშეკრული უცქეროდა.

არ მოსწონდა ბერი შავი წვერებით.

— რვა ბოჩიასავით აქს წვერები!..—ფიქრობდა იგი,  
უნდოდა წვერებში ჩატყრენოდა, მაგრამ თავი შეიკავა. იცო-  
და, მამა არ მოუწონებდა ამ საქციელს, თორემ ძლიერ უნ-  
დოდა ერთი მაგრა დაეპუტა ეს გაჩეჩილი წვერები.

ბონდო მღვდელსა და ღმერთს რევდა ერთიმეორე-  
ში და ეგონა ღმერთს უჯდა კალთაში.

არ ეგონა თუ ასე გლახა იყო ღმერთი.

მამა უკეთესი იყო და ღონიერი.

რატომ ეს კაცი უნდა იყოს ღმერთი და მამა არა!

მამამ იცის ბევრი საოცარი ამბები, ამ წვერებცან-  
ცარა ღმერთმა კი საქმე გაუჭირა ჭკუის სწავლებით.

უიმოსოდაც მშვენივრად იცის, რომ დედია და ბაბა  
უნდა უყვარდეს!

სხვა რომ არა იყოს რა, ისინი ბონდოს დედია და  
ბაბაა!

არ ესმოდა, რა საჭირო იყო ამისთვის ამდენ გაუ-  
გებარ სიტყვების ხარჯვა

აშინებდა ეშმაკით, კუპრიან ქვაბით, მაგრამ ბონდო  
ზის თავისთვის არხაინად თა სროლიათავა არ იშინია!



საკვირველი ხალხია ეს დიდები!.. მუდამ გაუგებ  
რად უნდა ილაპარაკონ ისეთ უბრალო რამეზე, რაც დღე-  
სავით ნათელია და ყველამ კარგად იცის!..—ასე ფიქრო-  
ბდა იგი და უეცრად ხედავს რომ ბერი დაიხარა და  
ჰკოცნის.

მთლად დააკაწრა სახე წვერებით.

ბოდოს გული მოუვიდა.

არ უყვარდა, როცა ჰქოცნიდენ, და გაკაპასებულ  
კატასავით წვერებში ჩააფრინდა.

მთლად დააპუტავდა, მაგრამ ვამამ არ დააცალა!

ბონდო ბევრს ფიქრობდა ქვეყნის შესახებ და არ  
ეგონა თუ ორპირსა და ტყვირს იქით იყო რამე.

მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ნახა,  
რომ ყოფილა კიდევ ქუთეისი, მოწამეთა და ქვეყანა მა-  
ინც არ ილეოდა.

ეგონა:

დიდი რომ გაიზრდებოდა საჯავახოს მთაზე კიბეს  
აიტანდა, ცას მიადგამდა და ლმერთთან აძვრებოდა, სწო-  
რედ ისე, როგორც ოდის თავანზე აძვრება ხოლმე ნი-  
გვზის ჩამოსატანად.

იცოდა: დედასთანა კარგი ქვეყანაზე არავინ იყო.

მამა ყველაზე ღონიერი იყო.

ბონდო რომ გაიზრდებოდა, ისევე ღონიერი იქნე-  
ბოდა და ასთავიან მდევებთან წავიდოდა საომრად.

გადმოაბრუნებდა მათ ბუდე-ბუნავს და გამარჯვე-  
ბული დაბრუნდებოდა დედასთან სისხლში დასვრილ ხმლი-  
თა და მდევის მოჭრილი თავებით. არ აცოდა მხოლოდ,  
როგორ უნდა მოეტანა ამდენი თავები. ალბათ უჩემს წა-  
ილებდა.

ყველაზე უფრო უკვირდა რომ, დედ მამისა და ღმერ-  
თს გარდა იყო კიდევ ვიღაც რუსხენწიფე, — რომელიც  
მთელ ქვეყანას მწყემსავდა.

ვერ გაერჩია: თუ იყო რუსხენწიფე, რას აკეთე-  
ბდა ღმერთი, და, თუ იყო ღმერთი, რას მაქნისი იყო  
რუსხენწიფე.

ბონდოს არ უყვარდა სხვა ბავშებივით ტიტინი.

მუდამ მარტო იყო და ფიქრობდა თავისითვის.

ხანდახან ისეთ რამეს ჰკითხავდა დედას, რომ ციცი-  
ცინომ არ იცოდა რა ეპასუხა.

— სოლომონ ბძენი იქნება, ქალბატონო, სოლომონ  
ბძენი!...—ეტყოდენ მეზობლები.

— ღმერთმა გაგიზარდოს, ქალბატონო, რავალი დედ-  
მამის შვილია, გლახა რომ იყოს!—ეუბნებოდენ პირფერო-  
ბით თავწაკრული დედაკაცები.

ციცინო სიხარულით გულში მიიკრავდა შვილს და  
უინიანად ჰკოცნიდა.

ბონდო შუბლს შეიკრავდა: ეჯავრებოდა, როცა ჰკო-  
ცნიდენ.

რა დროს მისი კოცნაა! ის მდევებს უნდა ებრძო-  
ლოს და მას პატარა გოგოსავით ჰკოცნიან!

ყარამანი იდგა და უცქეროდა მოსიყვარულე და კმა-  
ყოფილი ბედნიერი ღიმილით ცოლ-შვილს.

ის ბონდო, იქ რომ იყო პატარა ქულაჯით, უდრის  
ამ ბონდოს, აქ რომ წევს ავაღმყოფი და სუსტი.

და ყარამანმა საოცარი სითბო და სიბრალული იგ-  
რძნო მისდამი.

სადღაც მამლებმა გათენების იყივლეს.

ყარამან გამოერკვა. შეხედა შვილს, ლრმად ამონ-  
სუნთქა და შუბლში ფრთხილად აკოცა.

წამოდგა და ფეხაკრეფით გარეთ გავიდა.

ლამე გაცრეცილიყო.

ბჟოლები და მაგნოლიები ტყვიისფრად მოსჩანდენ  
და დაცვარულ ფოთლებში დაგროვებული ნამი თქაფუ-  
ნობდა წვეთად დაცემული.

აივანზე რქიანი შავი ლოქორა მიცოცავდა უზარმა-  
ზარ დახვეულ ნიუარით ზურგზე და ვერცხლის ძაფივით  
გრძელი ლორწო მიიზიდებოდა შეულებავ იატაკზე.

უძილობისაგან თავი ტყვიასავით ეკიდა კისერზე.  
გაიარა.

ნოტიონ სიო ალერსიანდ უგრილებდა გახურებულ  
შუბლს.

სასიმინდეები უზარმაზარ კიდობნებივით სცურავ-  
დენ რიონიდან წამოსულ კვიმში.

სადღაც ძროხის ბლავილი მოისმა და ტყემალზე დამ-  
ყუდრებული ქათმები მოფრინავდენ ძირს გულგახეთქილ  
კაკანით.

შუადღე იქნებოდა, ბონდო რომ ოთახიდან გამოვიდა.

გაბრწყინვებულ თვალებით მივიდა დედასთან და  
შუბლში აკოცა. დაჯდა მის გვერდით და პატიებას  
სთხოვდა.

ციცინო მკერდში იხუტებდა შვილს, ჰკოცნიდა.

ბონდო ნიკაპზე ხელს უსვამდა და ეალერსებოდა  
დედას.

ციცინო უცქეროდა შვილს და ვერ სცნობდა.

ორ კირაში საოცრად გამოცვლილიყო.

გამხდარი, წვერმოშვებული, დამშვენებული.

არ უყვარდა ყბებზე დატოვებული ბაკები. სძულდა  
რუსული წესები და რუსული ტანისამოსი.

ბონდოს ტუჩები უკანკალებდა და ყბას უჭერდა,  
რომ რამენაირად თავი დაეძლია და კანკალი შეეჩერებინა.

ხანდახან ტანში შეაფრიოლებდა

ციცინომ იგრძნო, რომ რაღაც ღრღნიდა მის გულს.

მოჰევია კისერში ხელები, მოსწია და ოვალებში გაუ-  
მაძლრად ჩააცივდა.

— შვილო!... — სთქვა მან ალერსიანად და ბონდო მი-  
ხვდა, რომ დადგა დრო... თავი უხერხულად იგრძნო და  
გაყუჩდა.

— შვილო!... — გაიმეორა დედამ კანკალით, თმაზე ხე-  
ლი სიყვარულით გადუსვა და ბონდო გაინაპა: მან იგრ-  
ძნო უსაზღვრო სიხარული, რომ იგი პირმშო შვილი, სის-  
ხლი და ხორცი იყო, ამ ტკბილი ქალისა, დედას რომ  
ეძახდა, და კანკალი დაიწყო.

— რა გაწუხებს, შვილო, რა გიდაღავს გულს?.. მი-  
თხარი, შენ შემოგევლო შენი დასამიწებელი დედია, მი-  
თხარი და, იქნება, უწამლოთ რამე!.. უსაშველო ხომ არაა,  
შე კაცო!..

— არაფერი, დედია, არაფერი!.. — ძლივს ზოახერხა  
ბონდომ, თვალებზე ცრემლი მოადგა, შერცხვა და თავი  
მის მკერდში დამალა.

— ხომ არ გიყვარს, შვილო, ვინმე? — შეაპარა ფრთხი-  
ლად და საქმიან კილოთი ციცინომ.

ბონდო შეკრთა. წამოდგა. მოუთმენლად შუბლზე  
ხელი გადისვა.

— არა, დედია, არა.. — დაიძახა მან ცრემლმორეულ  
თვალებით, დამჭენარ მკერდში სახით ჩაეხუტა და მისი  
ავადმყოფი, გამხდარი ხელები კისერზე შემოიხვია.



კარგა ხანს იყვნენ ასე ჩახუტებულნი ხმის ამოწურავა  
ლებლად.

მერე ბონდომ აკოცა დედას და წამოდგა.

წელში გაიმართა, გაიწოდინა.

— კარგათ იყავი, დედია!...— სთქვა მან მოუხერხებ-  
ლად აკოცა და გასწია დარბაზისაკენ.

ციცინომ მოსიყვარულე თვალები გააყოლა. ეს იგრ-  
ძნო ბონდომ და ისეთი სიხარულით გაივსო მისი გული,  
რომ გაფრინდებოდა ეგონა.

დარბაზის ყოველი კუთხე დაიარა.

ათვალიერებდა კედელზე დაკიდებულ ძველ იარა-  
ლებს, აზარფეშებს, ჭრელი თუნუქით მოჭედილ პატარა ზან-  
დუკებს...

მერე ბაბუამისის სურათის წინ გაჩერდა და უც-  
ქეროდა.

უცქეროდა ღიღხანს დალონებული.

თვალები ცრემლებით აევსო.

მოიწმინდა და იდგა თავდახრილი.

დიდი ოტიას სურათი სასტიკად დაცქეროდა შვი-  
ლიშვილს

ოდაში მყუდროება იყო.

ეზოდან მოისმოდა ცხენის ძოვა.

სადღაც მელელვია იძახდა ტკბილად.

ბონდო იდგა მორჩილი.

მოსცილდა სურათს.

მივიღა პეპუ მეუნარგიას მოჭედილ წმინდა გიორგის  
ხატთან, დაემხო და ლოცულობდა მხურვალედ.

დაიკარგა ყველაფერი.

ლოცულობდა სასოებით და გულს მოეშვა.

უეცრად:



— მობძანდი, ბატონო, საჭმელი მიირთვი!..

— არ მშია!.. ნუ მაწუხებ!..— მიუგო მოკლედ გულმო-  
სულშა ფეხზე წამოიჭრა და გაბრაზებული გარეთ გავიდა.

ჩაირბინა კიბე და ეზო დაიარა.

საოითაოდ დაათვალიერა ატმები, მსხლები, მერე  
რაღაც მოაგონდა და ბოსტანში გადავიდა. მიწამდის შტო-  
ებდაშვებულ ლელვის ძირას გაჩერდა.

აყრილი თხილები ლელვის ფართო ფოთლებში და-  
ბურდულიყვნენ.

იქ, შორს, წარსულში:

ვიღაც შავებში ჩაცმული ქალი მოვიდა დედასთან  
სტუმრად.

რაღაცას უამბობდა გულსაწვავს.

ბონდო ყურს უგდებდა, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

ქალი ბევრს სტიროდა და ბონდოს შეეცოდა ეს შა-  
ვებში ჩაცმული ქალი.

თან პატარა ფერმკრთალი გოგონა ახლდა:

სახელი მისი ხათუნა იყო.

მაყვალივით შავი და მოგრძო თვალები ჰქონდა ხა-  
თუნას და რატომლაც ხეთიშობლის ხატი მოაგონდა, დე-  
დას ოთახში რომ ეკიდა.

ხათუნა!

ბონდოს ელდასავით მოხვდა ეს სახელი: შეიძლე-  
ბოდა შიგ გახვევა, რბილი იყო იგი და საამო ძვირფას  
ბეწვეულივით.

სუსტი იყო ხათუნა, მშიშარა და ეს კიდევ უფრო  
ახარებდა ბონდოს.

— აკოცე, შვილო, დაიას, აკოცე!..— უთხრა დედამ.

ბონდომ ლოყაზე აკოკა, მერე მოჰკიდა შელი და  
სათამაშოდ წაიყვანა.

უკანა ეზოში გავიდენ.

საცეხველზე ჩამოჯდენ და უცქეროდენ ოქროსფერ  
ბატის ჭუჭულებს.

ბონდომ ერთი დაიჭირა და ხათუნას კალთაში ჩა-  
უსვა. დოდო ბატი სისინით მიეტია ხათუნას, გაგრამ ბონ-  
დომ ჯოხით მოაცილა იგი და შორს გააგდო. ხათუნა ში-  
შითა და სიხარულით კანკალებდა. ბონდო რალაც სხვა-  
ნაირად ჰერძნობდა თავს და მის გულში დაიბადა უცნა-  
ური სურვილი ხათუნას მფარველობისა. ის ქალი იყო,  
სუსტი; და ბონდომ რატომლაც ბედნიერი თვალებით  
შეხედა მას. ხათუნამ იგრძნო ეს, გაწითლდა და თავი  
მორცხვად დახარა.

— წავიდეთ!... — სთქვა ცოტა ხანს შემდეგ ბონდომ  
და საცეხველიდან ჩამოხტა.

ხათუნა გაჰყვა ბონდოს და ბოსტანში გადავიდენ.

ბონდომ ვარდი მოსტეხა და გულზე დააბნია. მერე  
ისინი მივიდენ ლელვებთან, მიწამდე დაშვებულ შტო-  
ზე ჩამოსხდენ და ქანაობა დაიწყეს.

სიო აფრიალებდა ხათუნას შავ თმებს, ბონდოს ლო-  
ყაზე ხვდებოდა და მან იგრძნო უცნაური სიამე.

ყარამფილის საამო სურნელება მოჰკონდა სიოს და  
ბონდო მოუყვა:—

იქ, შორს, ცხრა მთას იქით აქვს მინანქრის სასა-  
ხლე. სასახლეს არტყია ქვითკირის გალავანი. გალავანში  
არის მაღალი ბროლის კოშკი და კოშკში დამწყვდეული  
ჰყავს მზეთუნახავი. გალავანს ცხრათავიანი მდევები და  
გველეშაპები სდარაჯობენ.



ხათუნა გაიწია და ბონდოს უნდობლად შეხედაა მე-  
რე ისევ მიუახლოვდა და მძიმედ სუნთქვას, აღბათ ეშინია.

— მერე არ გეშინია, რომ შეგჭამონ?.. — ამბობს ხა-  
თუნა ოცნებით გაშტერებულ თვალებით და შტოდან ჩა-  
კიდებულ ფეხებს იქნევს შესაქცევრად.

— არა, მე იმათი ბატონი ვარ!... — მიუგო თავმომ-  
წონედ ბონდომ.

— მე მაქვს ნიშანი და ისინი ამითი მცნობენ!..

— აბა მაჩვენე!...

ბონდომ მკლავზე სახელო აიწია და იქ, სადაც  
ლურჯი ძარღვი ინაკვთებოდა, აჩვენა პატარა ხალი.

— მზეთუნახავს ისეთივე მოგრძო და შავი თვალები  
აქვს, როგორც შენ!.. — ამბობს ბონდო და ხათუნამ თა-  
ვი მხარზე ნაზად ჩამოადო.

ბონდომ წელში ხელი შემოჰვია, რომ არ გადავარ-  
ღნილიყო, და კიდევ უფრო გააქანა ლელვის შტო.

ხათუნას შეეშინდა, კისერზე ხელი შემოჰვია და  
შეკრდში მიეკრა.

უეცრად ბონდომ აკოცა ხათუნას და შერცხვა. თვი-  
თონაც არ იცოდა როგორ მოხდა ეს.

ხათუნა შეკრთა, შტოდან ჩამოხტა, მიწაზე ფეხი  
დაარტყა და წითლად ალეწილმა დაიძახა:

— გლახა!... — და გაბუტულმა ტუჩები გაიბერა.

ბონდო ჩამოხტა, მივიდა ხათუნასთან და თავი და-  
ლუნა. იდგა ისე მორჩილი და დამნაშავე მის წინ.

შერიგდენ. მერე ისინი ისევ იჯდენ ლელვის შტოზე  
და ლოყამიდებულნი ქანაობდენ.

და იყვნენ ისინი ასე გაყუჩებული.

მერე ხათუნა თავის დედამ სახლში წაიყვანა და  
ბონდომ ტირილი დაიწყო, მაგრამ ხათუნა თურმე ნოხში  
დამალულიყო და იმ ღამითვე მოვიდა მასთან.

ასე მოდიოდა იგი ყოველ ღამე და ბონდო თანდა-  
თან ხმებოდა.

(...ქალაქში გაიგო რომ ხათუნა ყვავილით მომქვდა-  
რიყო).

ბონდო გამოერკვა.

იქვე ბოსტანს გადაღმა წისქვილი რახუნობდა.

აიწია მკლავზე სახელო და ხალი, რომელიც ბაგშო-  
ბისას უფრო ქვევით იყო, იქ, სადაც ძარღვი ლურჯად  
ინაკვთებოდა, — ახლა ზევით აწეულიყო.

ალბათ, იმიტომ რომ — გაიზარდა.

გაიღიმა და წისქვილისაკენ გადავიდა.

გაჩერდა კოდთან და უცქეროდა, როგორ ლურღუ-  
მელიობდა შიგ წყალი.

და მას მოაგონდა ვალანსიენის აშიებში აქაფებული  
კრინოლინი.

კრინოლინის საპნის ქაფივით აშლილ აშიებში გა-  
მოჩნდა კნიაუნას ლამაზი და მაგარი ფეხები.

ხათუნას პატარა ფეხები ჰქონდა და წვივები გარე-  
დან ქალურ სილბილით მომრგვალებული.

დოლაბი ხმაურობს და ბონდომ იგრძნო ატაცება.

მან ვერ მისცა კნიაუნას საქმაო ვნება და ქალმა  
სთქვა:

— თავადო ბონდო, თქვენ ლილი გაკლიათ საყე-  
ლოზე!...

ბონდომ ქალს ხელი ჰქონა და იქით მიაგდო.

ახლა იგი არ გრძნობს სიძულვილს მისდამი.

ის ისე ლამაზი იყო და ცარიელი!....

ბონდოს უხარია, თითქოს სისხლი მღერის ძარღვებში. თავი მძიმდება და ზარხოში ერევა. მუცელი შემოჰერა და საღლაც შორს წყალი შეუის. არაფერი ისმის გარდა შეუილისა.

ტრიანონის ბაღში მაღალ წინდებიანი მარკიზი თეთრ პარიჟში გულზე ხელებ მიჭერილი სიყვარულს ეფიცება მარიონეტულ კრინოლინს და მან იგრძნო რომ დაჰკრა საათმა და უნდა მოშორდეს შადრევანს.

ვერსალში აფეთქდა მაშხალები და ძვირფასი ქვები წაეკიდა მოწმენდილ ლაუგარდს.

ცა ვატტოს მარაოებივით არის გადაღელილი და გადახსნილი.

რაღაც აწვება ყელში და ნეტარებაა ირგვლივ.

მარაოები ირწევიან, მარაოები ირწევიან და მარაოებს იქით მოსჩანს მზეთუნახავის ნუშივით მოგრძო ტკბილი თვალები.

— ღმერთო მიშველე!.. წმინდაო გიორგი, შენ მიპატიე!..—ღოცულობს ბონდო ტორტმანით, შუბლში ხელი იტაცა და გაქანდა ბნელ სივრცეებში გადაქნეული.

წყალი პირში აწვება.

ბნელა და საღლაც მოსხლეტით დარეკეს...

მეწვესქვილემ სულზე მოუსწრო.

ამოიყვანა და მიწაზე დაასვენა.

ხალხი მოგროვდა მის ძახილზე და უცქერიან როგორ იგრიხება ბონდო მიწაზე თავგასრესილ გველის წიწილივით.

ყველა დაიწვა მისი ცოდვით.

დედაკაცები პირჯვარს იწერენ.

— ვაი შენ დედას, შეილო, რა ვაჟკაცი წამხთარ-  
ხარ!.. — ჩურჩულებენ ისინი.

მოვარდა ყარამანიც. თშებს იგლეჯდა, დარბოდა  
აწყვეტილივით, მოსთქვამდა:

— ვაი ჩემი უბედური დღის გაჩენას, ვაი ჩემ თავს!..  
ხნიერი გლეხები ამშვიდებდენ ბატონს.

მთელმა სოფელმა მოიყარა თავი.

უცქეროდენ შეწუხებულნი.

ცოტა ხანს შემდეგ ბნედით შეპყრობილი ბონდო  
მობრუნდა.

გაახილა თვალები. მიიხედ-მოიხედა.

შეგროვილ ხალხს შეხედა და მიხვდა რაც სჭირდა.

წამოწევა გააპირა, მაგრამ ვერ შესძლო და ისევ  
მიწვა.

ყარამან მივარდა, წამოაყენა და გულზე მიიყრდნო.

ყველას ნაღვლიან მორჩილებით გადახედა, თავი  
ჩაიქნია და ჩოხის კალთით წვერზე ჩამოლვრილი უჟუ  
მოიწინა.

დახედა მიწას: მიწაზე მისი თივთიკის თეთრი ყა-  
ბალახი ეგდო და თავთით სამი ჯვარი იყო მოხაზული.

პირჯვარი გადიწერა და უეცრად რაღაც ამოგორ-  
და, მოაწვა ყელში და თვალები ცრემლით აევსო.

— წავიდეთ, მამა!.. — სთქვა ოდნავ გასაგონად და  
წყნარი ნაბიჯით გაჰყვა მთლად სველი.

სველი ყაბალახი კისერს ამძიმებდა, მოიძრო და მა-  
მას გადასცა.

— რა მეშველება, მამაჩემო, რა მეშველება!.. — დაი-  
კვნესა მან და შუბლზე ხელი აიფარა.

ყარამანს პირში ნერწყვი გაუშრა.



მიპყვებოდა შვილს წელმოწყვეტილი. გვიცილოთია  
ბონდო შედგა, სახეზე ხელი ჩამოიშორა და შეხედა  
მამას.

მამა უცქეროდა შვილის წამებულ თვალებს.

— ხომ მაპატიებ, მამა?..

— ნუ გეშინია, შვილო!.. ღმერთია მოწყალე!.. — და  
იგრძნო რომ სისულელეს ამბობდა.

— არა, მამაჩემო!.. ღმერთს მე დავავიწყდი!.. არ  
ვახსოვარ!.. გავტყდი, მამა, არ შემიძლია!.. ხატი ჩემკენ  
არ არის და ეშმაკი!.. ვლოცულობ, მაგრამ, ეეჲ!.. — თავი  
ჩაიქნია.

— ჩემი სული დამძიმდა ცოდვებით!.. ცოდვებით,  
რომელიც მე არ ჩამიდენია!.. რისთვის უნდა ვზღო მე,  
მამაჩემო, ის ცოდვები, რომელიც ოდესლაც ჩემს მამა პა-  
პას ჩაუდენია!.. მე მინდა, მამა, სიცოცხლე და სიცოცხლე  
ჩემი გაძალლებულია!.. მე მინდა, მამა, სიყვარული და ნი-  
ათი არა მაქვს!..

ყარამანმა კანკალი დაიწყო.

— დამშვიდდი, მამაჩემო, დამშვიდდი!.. მე უკვე შე-  
ურიგდი ბედს!.. — ეუბნება ბონდო და მერე განაგრძობს:  
— ჩემი სისხლი დალორწილია უუმურით!..

— თავადო ბონდო, თქვენ ლილი გაკლიათ საყელო-  
ზე!.. — სთქვა კნიაჟნამ ფრანგულად და ბონდომ მოიცილა  
მისი სახე.

— მე ლილი მაკლია, მამაჩემო, ლილი და სხვისი  
ცოდვები მაინც უნდა ვზიდო!..

ყარამან გაოცებული უცქერის შვილს.

— ეს არაფერია, მამაჩემო, არაფერი!.. ასე მითხრა  
მე ერთმა ქალმა!..

მიღიან ნელა.

— მამაჩემო, არის ერთი გამოსავალი!.. განედეთ მაზე  
ვფიქრობდი, როცა ჩავიკეტე!.. გახსოვს მამაჩემო, რა  
სთქვა სკაპეცმა ორპირში?.. —ხორცი სულს ამძიმებსო!..  
ბაბუაჩემმა მიანდერდა მე ავხორცობით დალლილი სისხლი  
და უნდა მოვისვენო!.. ოო, ძნელია, მამაჩემო, ძნელი!..  
უმანჯოება კრავისა და სასოება წმინდანისა!.. ქრისტემ  
სთქვა: „არიან საჭურისნი, რომელნიც მუცლითგან დე-  
დისა თვისისისად საჭურისად იშუნეს; და არიან საჭურისნი,  
რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭუ-  
რისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვისნი სასუ-  
ფევლისათვის ცათასა. რომელ შემძლებელ არს დატევნად,  
დაიტიენ!“

ყარამან ყურს უგდებდა და არაფერი ესმოდა მისი  
ლაპარაკის. მოჰყვებოდა შვილს კრიჭაშეკრული და დალ-  
ვრემილი.

ბონდოს, სახლში მიყვანისთანავე გამოუცვალეს ტა-  
ნასამოსი.

იწვა იგი შუადლემდის.

მერე ადგა, გავიდა გარეთ და უეცრად, ცამ ჩაყლა-  
პა, მიწამ უყო პირი, კაცმა არ იცოდა.

ეძება ყარამანმა, ეძება,—ვერ იპოვნა.

ორი დღის შემდეგ სკაპცების № 96 საინვალიდო რო-  
ტის პოლკოვნიკმა იაგორ გეგიძემ შეატყობინა, რომ იგი  
ორპირში გაპარულიყო და სკაპცებთან ცხოვრობდა.

წავიდა ორპირში.

ნახა,— ივანე რუსთან იყო.

— არ მომექარო!.. არ მომექარო!.. — იკივლა ბონ-  
დომ მამის დანახვისთანავე ხელების საესავით და ყარა-  
მან გაშეშდა კარების ზღურბლზე.



მოვარდა ივანე რუსი, ბონდოს ფეხრთით დაემხო და  
აცახცახებული მოწიწებით ფეხებს უკოცნიდა და და და და

ბონდომ წიხლის კვრით იქით მიაგდო, წამოვარდა  
და თმაგაწეწილი უკანა კარებში გაიჭრა.

ბევრი ეძება ყარამანმა, მაგრამ ვერ ნახა.

ივანე რუსისგან გაიგო: ბონდოს სკაპცების ქრის-  
ტედ ელიარებინა თავი და დალონებული სახლში და-  
ბრუნდა.

ციცინო შვილს თხოულობდა.

ეძახდა, სტიროდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა იგი და თან გუ-  
ჯუ ლაბახუა მოიყვანა.

სოფელში გავარდა ხმა, რომ ბონდო გადაირია:

— ბონდოიე გადარეული!..

— ბონდოიე გადარეული!..

— ბონდოიე გადარეული!..

## ქ ა რ მ გ ე ს ხ ე

### ს კ ა პ ც ე ბ ი

სკაპცები გადმოვიდენ ორპირიდან და მოეღვნენ სა-  
ნავარდოს.

მათმა სხეულმა არ იცის რაა ვნება.

ელიან მაცხოვარს, კონდრატი სელივანოვს, რომე-  
ლიც ისევე უნაყოფო იყო და სახედაპრანჭული, როგორც  
ასი წლის დედაბერი.

ზოგი დურგლობს, ზოგი ვაჭრობს, ზოგს სკა ჰყავს  
და ზოგი წისქვილებს აშენებს ცენიწყალზე.

სისხლი ძმარივით დამჟავდა ძარღვებში.

დაძრწიან სოფელ-სოუელ: მარანში, საჭილაოში,  
ილორში, ქოსნათში, სანავარდოში...

ქოსნათი აივსო ქოსა ხალხითა და დაუეტურებულ  
მცხოვრებლებით.

ქონდრის კაცები და ცვედანი ხალხი დაეუფლა მი-  
დამოებს.

ორპირმა წაპბილწა ახლო-მახლო სოფლები.

შეუსია უბადრუკი საჭურისები.

იგი მუდამ ახალ უბედურებას უგზავნის ამ სოფ-  
ლებს.

ცხაკუნია მიხალეშვილმა აქ მოიმჯო ოქროს ყანები.

აქედან ჰეზავნის იგი სტამბოლში რუსის ვაჭრის სუ-  
როვცევის აბრეშუმით დატვირთულ გემებს.



წყეულ იყავნ შენ, ორპირო, ბეღლებ დალრქენილო  
და ქარავნებით დატვირთულო!..

სკაპცების შეხებაზე საჭურისდება ყველაფერი.  
დააბერწეს სანავარდო.

ნივთები გამოფიტულია, სიტყვა ცარიელი, სიცოც-  
ხლე უაზრო.

მოხეთქილია წინ ყველა გზები.

მოჰკლეს ლმერთი.

აღარ არის მრავალძუძუებიანი კიბელე.

— უფალო ფალლოს, შეგვეშიე!..

ტრამამ და ნგრევამ მოიცვა სანავარდო.

უფალლო ლმერთია მათი უფალი.

უშვილოები ისე დადიან, როგორც გადაბერებული  
დედალი მგლები.

სკაპცები სისინებენ ყველგან.

არ არის საშველი!..

— არული თქვენ, საჭურისებო!..

— წყეულ იყავნთ თქვენ!..

ელანდებიან: კონდრატი სელივანოვი. ყაზახი ში-  
ლოვი.

დასუნსულებენ კაცობადაკარგულნი.

არც ენა ესმის მათი სანავარდოს, არც რწმენა.

ქადაგება მათი გამხმარ ნაყოფებივით სცვივა სა-  
ნავარდოში.

მოდის კონდრატი სელივანოვი მოციქული უქმურთა-  
უქმურისა.

მოდგმა არ გააჩნიათ და მომავალი.

გაწყდებიან და ხსოვნა მათი ამოიფშვნიტება მეხსი-  
ერებიდან.

გას მერე, რაც ერთი სკაპცის ქალი დაორსულდა,  
შეშფოთდენ სკაპცები.

სქესმა გაიელვა მათ ოვალებში.

მაცხოვარმა ბონდომ დაამძიმა ნაყოფით სკაპცის  
ქალი და მიატოვა.

გველის წიწილი შეიპარა სკაპცების კრებულში.

გველის წიწილი ფალლუსივით აღერებული.

დაფრთხენ და ლოცულობენ:

Дай, господи, Иисуса Христа,  
Дай нам, сударь, сына божия,  
И помилуй, сударь, нас,  
Сошли нам духа святого утешителя!..

ტრიალებენ და ისმის ზარხოშიანი კივილი;

— მაცხოვარო, მოგვიტევე!..

— უზენაესო, შეგვინდე!..

მანკიერება დასადგურდა მათ კრებულში.

ვაი შენ, სკაპცის ქალო!..

სქესი კიდევ სცოცხლობს შენში!..

— მოჰკალით გველის აღერება!..

— Вот тебе меч, ты будешь у многих древ сучья  
и грехи сечь и лепость изгонять!..

— მოჰკალით სქესი!..

— მოჰკალით ფალლუსი!..

— მოიკვეთეთ იგი და გადაუდგეთ ჯერ კიდევ თბი-  
ლი ძალლებს შესაჭმელად!..

მოედო ღვთის რისხვასავით ეს ამბავი სკაპცებს და  
სკაპცები დაიბნენ, ზარდაცემულ თვალებით იცქირებიან.

გუჯუ ლაბახუას ლანდი ღაადგა მათ ვნებით გუ-  
ხვინებული და შარავანდედით მოსილი.

ფალლუსი გაცოცხლდა.

— თავს უშველეთ, სკაპცებო, მოსპეთ იგრ, ძირშივე  
აღკვეთეთ, რამეთუ წაწყდა უჯიშო და უჯილაგო მოდგმა  
სკაპცებისა!..

გავარდა ეს ხმა მეხივით და ერთ დღეს მოვიდა ერ-  
თი მოხუცი სკაპცი, შემახიდან, თუ ბაქოდან, კაცმა არ  
იცოდა, და სოქვა:

— Ходил я по всем кораблям и поглядел: но все  
лепостью перевязаны, братья и сестры; того норовят,  
где бы брат с сестрой посидеть!.. Лепость весь свет  
поедает и к Богу итти не допускает!.. И потому мно-  
гие в погубной лепости: пророки—пророчества, учи-  
тели—учительства, угодники и подвижники своих под-  
вигов лишились!.. Удаляйтесь злой лепости!.. Уж змею  
бить, так и бей поскорее до смерти, покуда на шею  
не вспрыгнула и укусила!..

შეიქა მითქმა-მოთქმა, ჩურჩული, მიეთ-მოეთი სკა  
პცებში:

— Сам пророк пришел!.. Теперь наш конь бел  
и смирен!..

ფული უნდათ სკაპცებს, ფული რწმენისათვის წა-  
მებულთათვის და იმას ეველრებიან უფალს.

მოხუცმა შემოიტანა ახალი წესი დაკოდვისა, კიდევ  
უფრო სასტიკი და ფალლუსი მოკვდება სამუდამოდ.

ნეტარებს ხლისტი კონდრატი სელივანვი, ნეტა-  
რებს ყაზახი შილოვი, ნეტარებს ხვთიშობელი მატუშკა  
აკულინი ივანოვნა.

გახურებულ შანთით სწვავდენ ვნებას და თაგას-იგორაულ დავდენ.

ელოდენ ქრისტე მაცხოვრის,—ცვედანი ხლისტის კონდრატი სელივანოვის აღდგომას, სუზდალის ეჭვთიმე მხსნელის მონასტერში რომ გარდაიცვალა.

არ სჯეროდათ მისი სიკვდილი.

— Мы ждем его всяко времячко, суду-глаголу небесному, обогреты сердца наши нутренны!..

— დიდება ხლისტ კონდრატი სელივანოვის სახელს!..

— დიდება მრავალწამებულ ყაზახის შილოვის სახელს!...

— ნეტარება ხვთიშობელ მატუშკა აკულინა ივანოვნას!..

ჰელობენ ფერხულში ჩაბმულნი, ტრიალებენ თავდავიწყებით.

თავბრუ ეხვევათ.

ზოგი იქცევა, მაგრამ დგებიან და ისევ ტრიალებენ.

ირხევა თეთრი პერანგები და სარწმუნოებრივ ცეცხლით ანთებულნი, ბოდავენ რაღაც საოცარს, ჰერიკიან რაღაც სკაპურს სეჭტანტურ ენაზე, უაზროს და გამოსაჭრისებულს.

რადენიე მწვერვალს აღწევს.

ისმის ისტერიული კისკისი.

დადგა კორიანტელი თეთრი პერანგების, დატრიალდა დაბალჭერიანი ქოხი უზარმაზარ რუსულ ღუმელით და გულშემოყრილნი ტორტშანობენ, კვნესიან, კისკისებენ და ბობლავენ იატაკზე.

ექსტატიური ოხვრა აყრუებს ყველაფერს.

კონდრატი სელივანოვის, — დამჭერარი ყრმის წმინდა  
ლანდი დაადგა მათ ნათელით შემოსილი.

მისი ღვთაებრივი ირიბი მონლოლური თვალები დას-  
ცქერის მათ მოსიყვარულედ.

შარავანდედი აბრმავებს სკაპეცებს.

უნდათ წამოდგენ და თაყვანი სცენ, მაგრამ თავ-  
ბრუ დახვეულნი, სამღვთო. ცეცხლ მოდებულნი წელს  
ვერ ითრევენ და ეცემიან.

ოხრავენ:

— Хлещу, хлещу,

„Христа ищу!

,Выйди, Христос, на наружу,

„Вынеси нам денег на нужу!..“

თაყვანს სცემენ ღმერთს უკვდავსა და წმინდას.

დაკოდილი ღმერთია მათი უფალი.

არიან მხოლოდ ისინი და მათ შემდეგ არავინ.... .

არავინ იქნება მათი გაგრძელება.

თავისით დასწურავენ უთესლო მოდგმას.

სისხლი მათი რიონის ჭაობებივით არის დალორ-  
წილი.

შემოხედვა უშმური და უსიცოცხლო.

მეგრელი ქალები ეხუმრებიან, მაღალ ხის ქოშებზე  
ტანს მიარხევენ ვნების ამნთებად.

— მოი, რუსო, მოი! — ეძახიან ისინი და თვალს  
უშვრებიან.

— Суета!. Суета!.. Суета!.. — წრიპინებენ სკაპე-  
ბი და ხელებს უმწეოდ ასავსავებენ.

კისჯისებენ გამაღიზიანებელ კმაყოფილებით მეგრე-  
ლი ქალები, იცინიან მათ უმწეობაზე.



ვინ ხართ თქვენ, თესლგამხმარნო?..

საიდან მოხველით?..

საით მიხვალთ?..

ლაბადებულხართ თესლით და უარყავით თესლი,  
რომელმაც შეჰქმნა მიწა, დედა ჩემი და მშობელი!..  
მე ვეკონები დედამიწას!..

იგი დედაა ჩემი და მე ვწოვ მის ნოყიერ მსუქან  
ძუძუებს!..

ლმერთი ჩემი ადგილის დედა!..

თაყვანს ვცემ ვობის და ბოჩის.

ღიღება შენ, ფალლუს!..

ღიღება შენ, მრავალძუძუებიანო კიბელევ!..

კოპალავ შენ დაგვიფარე!..

გუჯუ ლაბახუა მოდის აჭიხვინებული და ვაი თქვენ,  
სკაპცებო, ვაი თქვენ, უბადრუკო საჭურისნო!..

მოდის ფალლუსი უფალი სიცოცხლისა!..

მოდის გუჯუ ლაბახუა და სისხლი მაჭარივით სდულს  
ძარღვებში.

მოდის ლაბახუა, რომლის მოდგმა ბახუსითა და  
ღვინით არის დატვირთული.

— ლაბახუა!.. ბახუა!.. ბახუა!..

— გუჯუ ლაბახუა!

— ღიღება ლაბახუას, ღიღება ფალლუსს!..

შენ წინ წევს დაბერწებული მიწა სანავარდო.

მაკეა იგი უუმურითა და ტყირპით.

შენ განაშორე მას ტყირპი უუმურისა და გაანაყო-  
ფიერე იგი!..

მოგაქვს შენ სხეულით ხვატი და თაკარა ვნება!..

სიმხურვალე თესლისა და სიცოცხლე ნაყოფისა!..



„მეფეო დედაო,  
„დედაო უღვთო!..  
„უშმური, ან-ბან, დადგომილი დადგა, —  
„მომავალი მოვა!..  
„ჰეიზე, ჰოიზე!...  
„ებეჭე, სებეჭე!..  
„გახილე კიდობანი, —  
„ქალი და შვილი დადგა!..“ \*).

---

\*.) ქალების შელოცვა.

## ქ ა რ ი გ ე პ ი

### M A L ' A R I A

დაყურსული ღამე.

არსად ნათელი.

შორს აბალლამებული სისხლის ტბორი მიიზიდება.

დედამიწამ გააღო საშო და სწყურია თესლი.

გრააფის ბუშტუკიდან მოგორებული კვერცხი ელის  
სპერმატოზოიდს და ციმციმებს.

კოლოები ესევიან მას და ანაყოფიერებენ პლაზმო-  
დიებით.

ვერძის ტროპიკი ეჭირება ვიწრო სარტყელივით და  
ვნებას აგუჩებს.

რიონის დენა ამძიმებს დუმილს.

რიონის, რონის რომ ეძახდენ რომაელები.

სილრმეში ისმის ბალლამის დენა.

არტერიებს დააქვთ თხრამლი და პლაზმოლიები.

ავხორცი მსუქანი ბაყაყები ხითხითებენ და თათე-  
ბით ხორთუმ მომარჯვებულ კოლოებს იგერიებენ.

აბოტებული მწვანე გომბეშოები ტბის თეთრ შრო-  
შანებს გულისპირს უხსნიან და ლორწავენ ყვითელი  
ხაშმით.

ვიქტორია რეგია აბრუებს ჰაერს.

ჭობში ჩაწოლილი უქმური წყალს აკურკუშებს.



დალორბლილი ბუშტები სკდებიან ხავსმოდებულ  
წყლის ზედაპირზე.

ფანტასტიური კოლოები დაათრევენ ხორთუმებს.  
მწუხარედ ზუზუნობენ: — Mal'aria.

პლაზმოდიებით გატენილი დედოფალი ანოფელესი  
დათარფატებს მარმაშის ფრთებით.

ტანაქავებულს სწყურია სისხლი და ეძებს ხორცს  
ბალლამის ჩასაქცევად.

ციებით დალორწილი, ბნელ, სტალაქტიტებივით  
ამართული კიბარისები და ქოქოსები ირწევიან ტყირპიან  
ლამეში.

ლელიანში ბუნაგად მიგდებულ ბეჭემოტს დაესია  
კოლოები, შხამავენ და ბლავის გამწარებული.

ყვითელი სატურნი არწყევს სამსალას და ლპება  
ყველაფერი.

კირჩიბი დაესო ღამეს და სისხლით სივდება.

ასე ღამე დაყურსული შუალამემდის.

შუალამით ბინძურ ძონძებივით დაკიდებულ ღრუბ-  
ლებში გამოჩნდება ნავახშმი მთვარე და აფრენილი თეთ-  
რი მხედარი გაშლის ყაბალახს.

წამოვა თოვლი ქინაქინის.

ათოვს ყველაფერს და დამფრთხალი კოლოები იმა-  
ლებიან ლელიანში.

პლაზმოდიები გაიგურენ სისხლის ბურთულებში.

ქინით დამწვარი ავი უშმური აიმართება კეთროვა-  
ნიგით.

დალორწილ ტანზე ალპება ხორცი და დგება სუნი  
გახრწნილი მძორის.

დამონბილ შკლავებს ოლაპურის ცაში და ჩაჭმულ  
პირიდან აღმოხდება გოდება.

ზმუის უქმური და ქინაქინით ითოვლება  მიდა-ზოგა.

გველხოკერები სოროებში მიძვრებიან.

ქინის სიმწარით თვალდამწვარი ბაყაყები სცვივიან წყალში და იძირებიან ტბის ნალექში.

საშოში ისმის:

— ბონდო!.. ბონდო!.. ბონდო!..

ლოცულობს ბონდო:

— წმინდაო გიორგი, შენ გამყარე უქმურთა-უქმური!..

ისმის:

— ბონდო!.. ბონდო!.. ბონდო!..

გამოეღვიძა,—ოთახშია და ლიგინში წევს. თვალე-ბი მოიშმუშნა.

წელი სტკივა, თავბრუ ეხვევა.

— რა საშინელი სიზმარი იყო!..—იფიქრა მან და მამას შეხედა.

— რავა ხარ, შვილო?..

— რა მიჭირს!..—უპასუხა.

ოფლად გაღვრილა.

მზე ამოსულა.

ისმის დედლის ტვინის ამომჭმელი კაკანი.

— დედა რავა?

— ვერაა კარქათ!..

ბონდო გაჩუმდა უყურებს მამას.

ყარამანმა ყალიონი ამოილო, გატენა თუთუნით, გააბოლდა და ნაღვლიან თვალებით მწუხარედ შეხედა შვილს.

ბონდოს შეეცოდა მამა, თვალები მოაცილა და ჭერს  
დააკვირდა: ჭერში ეკიდა ბუზებით შეფენილი ტრიკის  
შტო.

ყარამანმა შუბლზე ხელი დაადო.

— სიცხე გამონელებულა!.. კარქად იყავი..! — სოქვა  
მან, ღრმად ამოისუნოქა და წყნარი ნაბიჯით გავიდა გა-  
რეთ.

ბონდო უცქეროდა შტოზე შესეულ ბუზებს: ზუზუ-  
ნებდენ.

ცრთი ბუზი აჯდა მეორეს და ისე დათრინავდა.

აირია ბუზები და მას მოეჩვენა, რომ ეს შტო ჰკიდია  
მის ტვინში და ბუზები მის თავში ირევიან.

მაცხოვარი ბონდო...

ფეხებზე კუცნა და მისი ნაბანის ნაკურთხ წყლად  
ალიარება.

ფერხულია ირგვლივ.

ირევა თეთრი ხალათები და ისმის სექტანტური  
გალობა.

ვილაც ქალი წაქცეული იატაკზე და ფეხებს უკოცნს.

ბონდო ჰგრძნობს ნაცდურ ქალის ცხელ ტუჩებს  
ფეხზე.

სისხლი თავში აუვარდა, დატრიალდა ყველაფერი,  
არის თავდავიწყება, ვნება ყელში აწვება და, როცა გა-  
მოერკვა,—სკაპცის ქალთან იწვა.

სკაპცები ფუსფუსებდენ და დაშვრთხალ [თვალებით  
უცქეროდენ ქრისტე მაცხოვარს.

— ბატონო, ვინცხა სკაპცის ქალია!..

გამოერკვა,—შეხედა ლიზიკიას.

— ვინცხა სკაპეცის ქალს უნდა შენი ნახა, ვერ  
მევიცილეთ!.. — ეუბნება ისევ ლიზიკია.

ბონდო მიხვდა:

ეს ის არის მაცხოვარმა ბონდომ რომ ჭეშმარიტი  
რადენიე აგრძნობინა.

ტანთ ჩაიცვა და ოფლშეუმშრალი, მისუსტებული  
გავიდა სტუმართან აივანზე.

ქალი იდგა დამფრთხალი და თავშლის ყურს სრეს-  
და მოუთმენლად.

ბონდო უცქეროდა და გულში ჰგრძნობდა ხვადის  
უცნაურ კმაყოფილებას.

ქალი კანკალებდა, მერე მოსხლეტილი ფეხებში ჩაუ-  
ვარდა.

— Пожалей, меня, голубчик!.. Помилуй меня,  
барин ты мой, ненаглядный!.. Не гони меня!.. Бей  
меня, колоти, христосик ты мой милый!.. — молитвенно  
ქალი და ფეხებს უკოცნიდა, ეხვეოდა.

ბონდო იჯდა კუშტი და შუბლშეკრული.

სკაპცის ქალმა იგემა ვაჟი და ამიერიდან ვერ იცო  
ცხლებდა იგი უმისოდ.

სკაპცის ქალი სთხოვდა სიყვარულს, რომელსაც იქ,  
ორპირში უკრძალავდენ და გამოიქცა.

მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის ფრეი-  
ლინაშ უსაყველურა:

— თავადო ბონდო, თქვენ ლილი გაკლიათ საყე-  
ლოზე!..

სკაპცის ქალი კმაყოფილი იყო მისით.

სკაპეცს თუ ეყოფა მისი ვნება!..

სიბრაზით მოსწია საყელო, შემოიხია და იდგა გან-  
რისხებული გაღელილ მკერდით.

— ვინ!.. ვინ!.. ვინ!.. — იქივლა მან და ფეხსეუ წა-  
მოიჭრა. სხვა ვერაფერი მოახერხა, გული ყელში მოაწვა,  
საკინძე შემოხეული და მისუსტებული კედელს მიეყრ-  
დნო.

სულს ძლიერს ითქვამდა.

ქალი ადგა აცანცახებული. ტორტმანით ჩაიარა კი-  
ბე და ნაცემ ძალლივით ალაგეზე ტიროლით გადავიდა.  
ბონდო ჯარჩა მარტო.

იჯდა.

ისევ აირია თავში ეს აბეზარი ფიქრები. თავი ჯიუ-  
ტად გაიქნია და ოთახში შევიდა. გადაყარა ყველა სასუ-  
ლიერო წიგნები, გადაშალა ი. კანტის „წმინდა გონების  
კრიტიკის“ ფრანგული ექზემპლიარი და დაიწყო კითხვა.

სალამოთი გაიგო: ვიღაც სკაპცის ქალს თავი დაეხრ-  
ჩო რიონში...

— ღმერთო, შენ აცხონე მისი სული!.. — სთქვა მან  
მწუხარედ, პირჯვარი გადიწერა, წამოდგა და ოთახში  
გაიარა.

მერე დაჯდა და ისევ „წმინდა გონების კრიტიკის“  
კითხვა განაგრძო.

## კარი მათერიალი

კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი

ა. უფმურთა-უფმური

ციცინო უკანასკნელ მდგომარეობაში იყო.

წუთით-წუთზე მოელოდენ მის გათავებას.

ჩამოვიდენ ჭირისუფლები.

ყარამან ჩამოხმა ჯავრით, დაღნა.

დადიოდა ფრთამოტეხილ ბებერ ყორანივით ჩუმი  
და მორჩილი.

ლოცულობდა ყოველდღე.

საღლაც გაჰქირა მისი ჯიშიანი გოროზი გამოხედვა.

ხანდახან თუ წივილოდა ორპირში და ქოსნათის „ოტკის ზაოლში“ გამოხდილ არყით დაითვრებოდა.

სძულდა ორპირი, მაგრამ მაინც ვერ ელეოდა.

რკინიგზა დღე-დღეზე დაიწყებდა მოქმედებას და წივილით დასწერდა სოფლის სიმართლეს.

გლეხები გადიოდენ სამუშაოზე და ბრუნდებოდენ იქიდან გარდაქმნილნი.

ანთებულ იმედებით უბრუნდებოდენ კერიას, რომ მერე სამუდამოდ მოსწყვეტოდენ მას, ამ წყეულ სოფელს, საღაც ხსნა არ იყო და საშველი.

უშვილობა გახშირდა.



ციებით იყვნენ დედაკაცები წამხდარნი და ტყის-  
პით დამაკებულნი.

ვაჟებს უნარი არ ჰქონდათ ქალებთან დამოკიდე-  
ბულებისა.

ურიები ჰყიდდენ შვილოსნობის წამალს, მაგრამ და-  
ბერწებულ დედაკაცებს და უნაყოფო ყმაწვილებს საშველი  
არ დაადგათ.

ორპირი ნახევარზე მეტი წყალმა წაიღო.

ყოველდღე ჰქონდა ცენიწყალი უზარმაზარ ფლა-  
ტებს და მიჰქონდა.

მკითხავები აფუსფუსდენ.

გარათელიხე მარჩიელი დადის და ულოცავს ავაღ-  
მყოფებს უქმურთა-უქმურისას

ულოცავს ბონდოს:

სახელითა ღვთითა,

მამითა,

ძითა,

სულითა წმინდითა

მოგილოცავ დღესა ღვთისასა!..

წამაყენე ბონდოსა!..

მე ვარ მლოცავი,—

ქრისტე მხსნელია!..

წამაყენე ლოცვა ჩემი.

ბონდო ქრისტისია,—

ქრისტე მისია!..

ბეჭდით შებეჭდილი ვარ! .

ცხრა ხატო, ცხრა კლიტოსანო, —

აკობე სახელი ხარო,—

მომებმარე!..



მაცდურო, ჩამომეთხოვე,  
არ ვარ შენსა ნებასა!..  
მამა მაცვია,  
ძე მარტყია,  
სულიშმინდით ვარ შემოსილი!..  
წმინდაო გიორგი,  
შენ მიბოძე  
შენი დაშნა და სარტყელი,  
ამოვილო  
და შემოვკრა,  
გავაყრევინო თმა წვერი  
უუმურთა-უუმურსა!..  
წმინდაო გიორგი,  
შენ გამყარე უუმურთა-უუმური!..

• . . . .  
მე ვარ მლოცავი,  
ქრისტე მხსნელია!..

• . . . .  
ელუსამედს ყანა მქონდა,  
ყანაშიდა ლოდი იდვა,  
ლოდსა ქვეშე დევი იწვა,  
ცალთა  
თკალთა  
წყალი უდგა,  
ცალთა  
თვალთა  
ცეცხლი ენთო.  
ლეიქა წყალი,  
ლეიქო ცეცხლი,—



დეეფსო თვალი და ყური  
ბონდოსა ავი თვალით შემხედვარეს!.

ეს ივანე ანგელოზი:— (მივდიოდი მე  
დღესა ლვთისა გზასა,  
შემწვრთა წითელი კაცი).  
შემოეყარა წითელსა კაცსა წმინდა  
გიორგი:

— სად მიხვალ შენ, წითელო კაცო?..  
არ გაგიშობ მე, წმინდა გიორგი, ბონდოსა ავ-  
თაგანს!

თვალთა ლახვარი!..  
გულთა ბოძალი!..  
ვაი და ვუი!..  
ქვაი და კუი!..  
ასკილისა კილი,  
წმინდა გიორგის  
ლახვარ-ბოძალი  
ბონდოსა ავთაგანს!..\*)

---

\*) სოფ. ორპირში ჩაწერილი უფრურის შელოცვა.

## ბ. უჩა-ლართამ-ბატონი \*)

გვალვა ზუზუნობს.

გულშელონებული ბაყაყები ტბის დალექილ მწვანე  
ლორწოში განართხულან და გრილდებიან.

მყუდროებაა და სიცხე.

ტბის ლელიანი არ მოძრაობს.

დამპალ წყალმცენარეებში ჩაწოლილი უფშრთა-უფ-  
მური მწვანე ბუშტეის აკურჯუშებს წყლის ზედაპირზე.

გვალვა ჩაემხო ყარამანის ოდის გვერდით ამწვანე-  
ბულ ბოსტანში: დააცხრა კიტრებს, ნესვს, ომბალოს, ჭი-  
ნძს, ღრაბეზე გასულ მწარე ხაპერებსა და ფელოზს.

მძაფრი სურნელებაა ავარდნილი და თვრება ყვე-  
ლაფერი.

ლობეზე მიბმულ თხას გატენილი ძუძუები ბაყვებში  
ამოუდვია, ტასწოლია, რძე მიწაზე წვეთავს და ზარმაცი-  
ცოხნით თვალები ელულება.

ანწლებიდან გამომძვრალ გველს რძის სუნი ეცა და  
ანერწყვებული მიცურავს მისკენ.

თხილებ ქვეშ ნოტიო ჭურებთან ახურებული გომ-  
ბეშო გაბარდლულა და გრილდება.

ღვინის ამოსალებ ხრიკაში ჩამწყვდეული გვალვა ზუ-  
ზუნობს კრაზანასავით.

\*) სამეგრელოში გველს პირდაპირ არ იხსენიებენ (ტაბუ), მას  
უჩა-ლართამს უწოდებენ, რაც ქართულად შავჩოხოსანს ნიშნავს.

მწიფე კიტრები და ნესვები წვანან მიწაზე და უბარ  
რებიან ხაშმითა და ციებით.

ხვატი ყვითლად ასიებს მათ. მწიფდებიან უქმურთა-  
უქმურის ვნებიანობით. გატენილი არიან ტყირპიან ლორ-  
წოთი და ქვირითით.

ზოგი საშოსავით ბილწად გადახეთქილა და გაღმო-  
ულვრია ბიწიერება ბალლამისა და თესლი ციებისა.

წვანან ისინი სურნელოვანნი და მანკიერნი.

აღერებული ყარამფილი ოქროს ქვასავით ბზინავს  
მზის ნიალვარში.

მაკდება დედამიწა უქმურთა-უქმურით.

გაგანია შუადღე გადაირია ბოსტანში.

მზეზე დაწოლილი შეციებული ალი ძიგძიგებს, კბი-  
ლებს არაკუნებს და ჰევებს გალურჯებულ ძუძუებს, მკო-  
ვებს და ფეხებს თმაში, დალვრილ ოქროსავით რომ ბზი-  
ნავს მზეზე.

მაღალ ეკლის ჯაგში ახლად რქაამოჭრილ ჭინკა-  
კოლოები დაესია, ჰევენენ, შხამევენ და საცოდავი მოს-  
თქვამს გამწარებული, იქექება, იფხანს დაკბენილ გამხდარ-  
ბარკლებს.

ლობის ძირებში აყრილი ანწლი და წალიკა აფი-  
ცხებს გახელებულ მაღალ შუადღეს.

თაკარა სიცხე დამბლასავით დაეცა მიწას.

დადგა გველის ამინდი, გველის შუადღე.

მაღლა, სულ მაღლა, ცის კენწეროზე, ჭიმ-  
ჭიმელში აწიდულა ოქროს კლდეები.

მათი კალთები ზოდებად მისცურავს ძირს  
ნაპრალებში.

ცა ლურჯ კათხასავით ახურავს სეტებს და  
ზედ გადმოკიდებული მწიფე ბროწეული რეინ  
გადაფატრული მზე ჰეთანტავს სისხლისფერ ლა-  
ლებს.

იისფერი ვენახი ეტმასნება პიტალო კლდე-  
ებს და ქარვის ტკბილი მტევნებითაა დატვირ-  
თული მისი ლერწები.

ყურის სილომესავით არის გარინდებული  
ყველაფერი.

დაყურსულია ჰაერი და დრო წუთით შე-  
ისვენებს ოქროს სერებზე.

უცრად მოსკდება ღვარი იისფერ გვე-  
ლებისა.

ივსება ყველაფერი.

გველთა ზმორებით იტვირთება მიდა-  
მოები.

ოქროს ქედები ვერ უძლებენ მათ სიმ-  
ძიმეს და იზნიქებიან შტოებივით.

იისფერ გველთა მტევნებით დაიყუწება  
ჭიმჭიმელი და ამართული იისფერ კაბით შე-  
მოსილი უნასი გველი მობრძანდება დინჯი  
რონინით.

ოქროს ფაფარი შარავანდედათ ჩამოკ-  
ლვრია ქერტიან ყელზე.

კუდზე აღერებულს მოაქვს ოქროს საწმი-  
სზე დასვენებული ანთებული ხვითო.

მზე დატორტმანდება, მწიფე ნაყოფივით  
მოსწყდება ზეცას და ჩავარდება ხვითოს გუ-  
ლში.



დენას არ უჩანს დასასრული.

მოირხევიან იისფერი გველები, მოარწე-  
ვენ ზანტად მიწაზე დასვენებულ სხეულებს და  
ანერწყვებულნი ატანტალებენ გაპობილ ქუჯნას.

უნასი გველი დასვენებს ოქროს მაღ-  
ლობზე ძვირფას საწმისს.

ააღერებს თავს ბრძენი ქურუმი და თვალ-  
დაწკურული დაზვერავს სერებს.

და მისი თავი მოსჩანს იქ, სადაც მზე  
ეკიდა.

გველები ნებივრად იქვარქნებიან ოქროს  
მტვერში და უსაზღვრო მოლოდინით იკბენენ  
სხეულს.

უეცრად გატყდება წელში უნასი გველი,  
აიტაცებს ძვირფას ხვითოს და ააგდებს ცაში.

გველები სისინით აედევნებიან, წამოეწე-  
ვიან და ცაში გარინდებულ ხვითოზე მისე-  
ულნი, სწოვენ გაუმაძლრად, სწუწნიან ნებივ-  
რად და მათ სხეულებზე მოწანწკარობს სი-  
ტკბოება თაფლისა და ნექტარისა.

გაჩნდება ჟუჟუნი იისფერ სხეულებისა.

ირწევიან და ნებივრად იქნევენ კუდს.

ცეკვავენ და მათი კისკასი ალივლივებს  
(კის ლაჟვარდს).

ხვითოს ბზინვა ნიმბივით აფენია გველის  
თავებს და წმინდანებივით ინაბებიან წვრილ-  
ტანიანნი.

მოფრინდებიან უხმოდ მსუქანი ოქროს  
ფუტკრები, დაესევიან დატკბილულ გველებს,

სწუწნიან მათ ტანს, იტვირთებიან ხვითოს  
მტვერით და გაბრუებულნა ფართქალობენ,  
სცვივიან ცაზე.

გველები კუდების ზანტი ქნევით იგერი.  
ბენ მათ, და ისინი მაინც ჯიუტაღ ესევიან  
გაუმაძლარნი და ტკბილის მოყვარულნი.

ხვითო თაფლად დნება ცაში და უეცრად,  
საიდან არ იყოს, იელვებს თეთრი ყაბალახი  
და მოცელილი გველები მიწაზე დასცვივიან.

— წაიღეს ხვითო!

— არ არის ხვითო!.. — გავარდება ხმა და  
ქეჩოაყრილი, გასნატული გველები დაინახავენ  
ოქროს სერებზე თეთრ ყაბალახით აფრენილ  
მხედარს.

ბნედაშეპყრობილი მზე ცოფს აყრის დედამიწას.

ცხელ ბალლამივით იღვრება ყეჩამანის ბოსტანში  
და ჩაახმო სურნელოვანი ცერეცო. ალერებული მზესუმზი-  
რა ვერ ძლება ალმურითა და პაპანაქებით.

ასეთ შუადღით აიმართება გველი გვალვაში.

დიდი გველი სანავარდოზე და მისი ჩრდილი გადა-  
წვება ყარამანის ოდას.

სვეტივით ატყორცნილი აელგარებს მზის თუსლივით  
ანთებულ ხვითოს.

თვალდაწკურული იცქირება ყელმოლერებით.

ჟინატეხილი სცემს კუდს მიწაზე და დედამიწა იპნი-  
დება ვნებაანთებულ დედაკაცივით.

თავალებული შეეგებება მზის გაღმოყრილ ძუძუებს და  
სწოვს გვალვას, სოვრება ალმურით.



გახელებული მზე ჰქბენს მის ქერტიან სხეულს.

ტანი მისი ეუვნებივით არის ასხმული.

მიწის სუნი ასდის...

იგი შავია, შავჩოხოსანი, აღსავსე სიბრძნითა და  
ბოროტებით.

ასე სდგას გველი სანავარდოზე, რომელ არს მოცი-  
ქული და ცხადება წმ. ფალლოსისა.

შუადღის გუგუნში შემოვა იგი ყალყზე ამდგარი,  
ვით მოჩვენება, და აიმართება შავჩოხოსანი შუა ოდაში.

— რა გინდა შენ, უჩა-ლართამი?..

გველი დგას ამართული და სტეხს ბონდოს წკვარამ  
ოვალებით.

ბონდო გააგდებს ძველ კარაბალინს:

— ქიქემალუ სირენე!..

ვად-და ბოროტი ოვალიწკურია!..

შიაკონია,

დამიწერია,

დამიკარქია

გვერ მაწამალადა!.. —

საღალიოში გვერშაპია, —

წყარ იყოს, ლვინ იყოს, —

თუდუმალი თუ არ დალია,

თუ არა მოციქულია!..\*)

სამჯერ იკივლებს სულწასწრებული და გველი იგი,  
უჩა-ლართამ-ბატონი იშმუშნება, —  
ჰქრება მისი ლანდა.

\*) გველის შელოცვა



არ არის გველი.

ბონდო, კედელს ატმასნული, ზარდაცემულ თვალებს  
აცეცებს.

— არ არის გველი!..

— არ არის გველი!... .

— მაშ რათ არის გველის სუნი ოდაში?!.

— დასუნულია ყველაფერი, დასუნული! — და გულ-  
შელონებული გაიშლება იატაკზე იქ, სადაც დიდი გველი  
იყო ამართული.

ბოსტანში ისევ ისე ბორგავს თაკარა სიცხე და სუ-  
ნელის მოსაკრეფად ჩასული ლიზიკია ჰერძნობს. რომ  
გვალვამ დაპკრა თავში.

— ვინა ხარ შენ?.. — შეეკითხა იგი მთვრილი, მიბ-  
ნედილი, და სიღრმეებიდან მოესმა ჭიხვინი ანთებული და  
სიახლოვე წმ. ფალოსისა.

მოხლებში მოხხლეტილი და მორჩილი მძიმე სუნ-  
თქვით წაწვა იქვე.

უსაზღვრო მოლოდინით გაშალა ხელები, გაშალა  
ფეხები და მან გუჯუ ლაბახუა იგრძნო მკლავებში.

წევს იგი განაბული მწითე კიტრებში და ნეტარე-  
ბით უსმენს, როგორ რექს დედამიწა დიდი გველის კუ-  
დის ჟინიან დარტყმით:

— ფალლ!.. ფალლ!.. ფალლ!..

— მოდი, გუჯუ, მოდი, ჩემო სურვილო!.. — ბუტბუ-  
ტებს ლიზიკია და წევს მწითე კიტრებში სუნთქვაშეკ-  
რული...

## გ. ქვა უშვილობისა — სულეიმანი

იყო და არა იყო რა.

ლვთის უკეთესი რა იქნებოდა!?

იყო ერთი ყორანი.

ყვანჩალა იყო მისი სახელი.

ჩხაოდა ისე დათარსულად, როგორც არცერთი ყორანი.

ნავსი იყო იგი და ყიამყრალი.

ალიონზე ავარდებოდა და დასჩხაოდა სანავარდოს.

— გძლიე!.. გძლიე!.. — მიაძახებდენ პირდაბანილი

ფეხშიშველი თხის მწყემსები.

დედაქაცები სწყივლიდნენ მას.

მოსპო სანავარდოში წიწილები.

სინსილა გაავლო.

უიღბლო იყო ყვანჩალა.

სულ მთლად ყმაწვილი დაქვრივდა იგი.

დიდხანს იტირა უბედური ქმარი, მაგრამ გაზაფხულმა მაინც თავისი გაიტანა.

ერთ დღეს, როდესაც ის მინდორში გატანილ ცხენის ლეშს აძლებოდა, ნახა ერთი მამალი ყორანი.

შავი იყო იგი, ურწყვი შავი.

და ყვანჩალას მოეწონა მამალი.

ჩაქუნა ერქვა მამალ ყორანს.

გულმა ტოკვა დაუწყო.



კუჭში სიმაძლრე სასიამოვნოდ უღიტინებდა.

ნისკარტი ცხენის ძუაზე გაიწმინდა და კოპტია ეშ-  
მაკობით ოვალები მიულულა.

სისუფთავე უყვარდა ყვანჩალას და არშიყობა.

მამალმა გაღმოხედა და მერე ისევ განაგრძო ჭამა.

მას ღვიძლის დიდი ნაჭერი ჰქონდა გასათავებელი  
და არ ეცალა.

ყვანჩალას გული ელეოდა.

იდგა და მოუთმენლობით ადგილზე ფეხის მონაც-  
ვლებას მოუხშირა.

მამალი გაძლა, როგორც იქნა, და სულელურად გა-  
დმოხედა ყვანჩალას.

ყვანჩალას მეტი არ შეუძლია, გოგმანობს ერთ ად-  
გილას და სულგანაბული ელის მის მოახლოვებას.

— რა კარგია მისი ზურგზე შეჯენა!..

— ის ისე ვნებიანად სჩხავის!..—ჰერობს იგი და  
ვნებით ტვინგათხელებული უცდის ჩაკუნას.

ყორანმა დაიჩხავლა.

ფრთები ააფათქუნა, გაისწორა და მერე გამოემარ-  
თა მისკენ.

ცალ ფეხზე ბუქნით ჩაუარა ყვანჩალას, ჩამოუარა...

იფოფრება ვნებიანად, ღულუნობს და უეცრად შეა-  
ხტა ზურგზე.

ყვანჩალა გაინაბა მის ქვეშ, ბოლო ასწია და შეცუ-  
რდა თავდავიწყებაში.

და ასე დაიწყეს მათ ერთად ცხოვრება.

ერთ მაღალ ალვის ხეზე გაიკეთეს ბუდე.

ყვანჩალამ ჩასდო შიგ კვერცხები და მოკრუხული  
დააჯდა.



გამოსჩეკდა პატარა ბახალებს და ღისტკებებოდა  
შვილების ალერსით.

გამრავლდებოდა ყორანთა მოდგმა.

ჩაკუნას მოჰქონდა სარჩო.

ყვანჩალა მსუნავად სჭამდა და ძვლებს ბუდიდან  
ჰყრიდა.

უკარებელი კრუხი გახდა იგი.

მუდამ კრუხუნობდა, სწუხდა.

ქმარი ვერ ეკარებოდა.

დიდ ამბავში იყო ყვანჩალა, თითქოს ქვეყნის ბედ-  
ნიერებას აჯდა.

ხანდახან გაფრინდებოდა წყლის დასალევად და ქმარს  
დააჯენდა კვერცხებზე.

ლამით ჩაკუნას მის გვერდით ეძინა შტოზე და ძიგ-  
ძიგებდა შეცივებული.

ერთ დილით გაფრინდა მისი ქმარი და სალამომ-  
დის დააგვიანდა.

ყვანჩალას გული ელეოდა სიმშილით.

წყურვილით პირი გაუშრა, მაგრამ ბუდეს ვერ ჰშო-  
რდებოდა.

გაცივდება, კვერცხები და არ ეყოლება ბახალები.

მას კი ისე უნდოდა დედობა!

ბევრი ითმინა, მაგრამ ვერ გასძლო.

ამოგარდა ბუდიდან.

გაფრინდა წყლისკენ, დალია და ისევ მოფრინდა  
ქაქანით.

ქმარი მაინც არ სჩანს.

ზის და უცდის.

— რამე ხომ არ დაემართა?.. — ჰუიქრობს იგი დაინახა მოფრინავს ჩაკუნა და მოაქვს ნისკარტით, ამირანის გულ-ლვიძლი.

ყვანჩალა ჩხავის სიხარულით, უშნოდ პირს აღებს, იფოფრება ბუდეში და ჭყლოპინობს უშნოდ.

მეტად უყვარდა ჩაკუნას ცოლი.

მოუტანა ამირანის გულ-ლვიძლი.

ყვანჩალამ დაუწყო წიწკნა და მსუნავად ჰქანქავდა  
მს.

და ასე შესჭამა სანავარდოს ყორანმა ამირანის გულ-  
ლვიძლი.

ტკბილი იყო იგი, მეტად ტკბილი.

ჩაკუნა ტკბებოდა მეულლის სიხარულით და უამბო  
როგორ მიაგნო ამირანის ქვაბს გერგეტის მთაში.

შეკვე შებინდდა.

ყვანჩალა ყურს უგდებდა ამბავს და ნაზად ჩაეძინა  
ბუდეში.

ასე ცხოვრობდენ ისინი ბედნიერად.

მოვიდა დრო კვერცხების გამოტეხვისა, მაგრამ არ  
იჩეკებოდენ.

ყვანჩალას თავზარი დაეცა.

ავარდა ზევით და ნისკარტის რაკუნით დაუწყო სინ-  
ჯვა.

მერე ისევ დააჯდა და უცდის.

სამ დღეს უცადა და, როცა მაინც არ გამოტყდა,  
მაშინ გაფრინდა ჩაკუნა სულეიმანის ქვის საპოვნელად.

ორ დღეს უცადა ყვანჩალამ ქმარს, მაგრამ იგი  
მაინც არ სჩანდა.

მესამე დღეს ისიც გაფრინდა.



ბევრი ითრინა, თუ ცოტა,—მიადგა ურთ პიტალოკ  
კლდეს. და ნახა ჩაკუნა ისრით განგმირული.

იქვე მის გვერდით სულეიმანის ქვა ეგდო.

შორს კი სერებზე ყაბალახ გაფრიალებული თეთრი  
მხედარი მიფრინავდა. საღლაც კლდეებში ისმოდა ამირა-  
ნის კვნესა და ჯაჭვების ჩხარუნი.

იტირა ქმარი, იდარდა...

მერე თვალები ამოჰკორტნა, შეჭამა, მაგრამ არ  
იყო გემრიელი.

აიტაცა სულეიმანი და წამოვიდა ბუდისკენ.

ჩააგდო ბუცეში თუ არა, —კვერცხები დასკდენ.

ნახა, —დალაყუბულიყვნენ.

ყვანჩალამ ერთი შესჩავლა და გულგახეთქილი ალ-  
ვის ხის კენწეროზე შემოჯდა..

სიო არხევდა ალვის ხესა და საცოდავად მოფუყუ-  
ლი ყვანჩალა ქანაობდა

მის ქვეშ გადაშლილიყო: სანავარდო, ორპირი, სა-  
ჭილაო, ქორეისუბანი და მისი მიდამოები.

ბავშები ქოიოდენ ეზოებში.

ხბოები კუნტრუშობდენ ქართაში.

წიწილები წიაქობდენ ბოსტანში.

და გამწარებულმა ყვანჩალამ დასჩხავლა ნავსიანად  
სანავარდოს, მერე ჩავარდა ბუდეში და შეაჩვენა ქვა სუ-  
ლეიმანი.

დააბედი მას უშვილობა და უნაყოფობა.

სულეიმანი გამწვანდა, დაჰკარგა ფერი და მისი და-  
ნახვა მოშლილა დედაკაცებს, წაახდენდა ვაჟქაცებს.

გამოიტირა ყვანჩალამ ბეჭი ზა, უკვე გამოკრუხებუ-  
ლი, გაფრინდა ახალი ქმრის საძებნელად.

ალვის ხე გაახმო უნაყოფობის ქვამ.



ბუდე ჩამოლპა ხეზე.

უშვილობის ქვა დავარდა მიწაზე და მოიწვა მის  
ირგვლივ ბალახი.

მას მერე დაბერწდა სანავარდო.

უშვილობა მოედო ახლო-მახლო სოფლებს.

ფეხმძიმეებს მუცელი ეშლებოდათ.

მაკე საქონელი უდროოდ იგებდა.

კვერცხები სკდებოდა საბუდრებში.

სკაპცების ამინდი დაღვა სანავარდოში.

ასეთი ბეღი მოუტანა ყვანჩალა ყორანმა სანავარ-  
დოს.

— ყვაა!.. ყვაა!.. ყვაა!.. — დასჩხავის იგი ნიშნის მო-  
გებით და ქოქოლას აყრის ქვეყანას.

— გაგიხმა ყბაა!. — მიაძახებენ სოფლის დედაკაცე-  
ბი და იფოფრებიან, იკრულებიან მონაზვნებივით...

## ქარი გეორგესა

### შ ე ც ხ ა დ ე ბ ა

ერთ მთვარიან ღამით სულ უბრალოდ მოკვდა ცი  
ცინო.

ამოისუნოქა, შეაურუოლა და გათავდა.  
გაჩნდა წივილი.

რალაც ცივი და ბასრი გაფრინდა სივრცეებში.

როცა კიცინო მოკვდა, ერთი ვარსკვლავი მოსწყდა  
ზეცას და მოქნეულ ჟინულილივით ჩაჰერა რიონის ჭაო-  
ბებში.

— ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. — წიოდენ ჭირისუფ-  
ლები.

— რა მიქენი აი, შე ქალო, რავა დამლუპე!.. — მოს-  
თქვამდა ყარამანი და შუბლში ხელს იცემდა.

— დედია!.. დედია!.. დედია!.. — ბლაოდა ბონდო..

---

## ქარი მესამეთა

### ს ა ტ ი რ ა ლ ი

მეორე დღეს მაწვიერები მოარულ სენივით მოედ-  
ვნენ ყარამანის მოყვრებს, ნათესავებს.

იყო შავების კერვა და ჭირისუფლების სამზადისი.

მედავითნე მიცვალებულთან მთელი ღამე და-  
ვითნს აბრუნებდა.

ისმოდა გაბმული ბუტბუტი და ბონდო ვერ იძი-  
ნებდა

— რა ვქნა მე ეხლა, რა ვქნა!.. — მოსთქვამდა ყარა-  
რამანი.

გასვენების დღე დაინიშნა.

ყარამანს არაფერს ეკითხებოდენ.

რასაც ეტყოდენ, ყველაფერზე თანახმა იყო.

ტირილის დღემაც მოაწია.

გაჩნდა ორპირში ურმების ჭრიალი.

მოპქონდათ: პური, დოში, ბრინჯი.

ციცინო ეზოში გამართულ კირავში ესვენა.

ბონდო და ყარამან გულხელდაკრეფილნი დასცე-  
როდენ ცხედარს.

მეზარეები ჭიშკართან ზარით ეგებებოდენ ჭირის-  
უფლებს და გულის შემაღლებელ გალობით მიაცილებდენ  
მიცვალებულის კარავამდე.



იყო კივილი და მოთქმა.

ჭიშკართან ზარის ჩამორცვამ გული შეაღონა.

მატირლები არ იღეოდენ.

ბონდოს მეტი არ შეუძლია.

— როდის გათავდება, ნეტავ, ეს ამბავი და დარჩება მარტო!..

მატირლები გადასარევად სტიროდენ.

ფოტინე გვაძაბიხემ ყველას გადააჭარბა.

მისმა მოთქმამ დათუთქა გული.

ჭირისუფლები ჩამოდიოდენ ცხენებით და ხელში ეკავათ შინ გაკეთებული კაცის სიგრძე თაფლის სანთლები სამფეხზე და ანთებული უინულილები.

ქალებს ვერ აკავებდენ.

თმებს იგლეჯდენ, დაიხოკეს ლოყები და სისხლი ღვარივით მოდიოდა.

— რა დეგემართა აი, შენ ბედდამწვარო, რა დეგემართა!.. ვაა ვა!.. ვაა ვა!.. ვაა-ვა!. რავა ვარ შენს მერე ცოცხალი!.. ვაა-ვა!.. ვაა ვა!.. ვაა-ვა!..

ყარამან ზმუის ნიათგამოლეული.

მამაკაცები შუბლში ხელის ცემით მიატირებენ მამა-შეკალს, მერე განზე გადგებიან და, ერთი მეორის კითხვა მოკითხვის შემდეგ, ბაასობენ დარბაისლად მიცვალებულის ლირსებებზე, ჭირნახულზე, რკინიგზაზე.

შორი სოფლებიდან ჩამოსულებს ეკითხებიან იქაურ ამბებს, ლაპარაკობენ ამინდზე, მამულებზე და ნაცნობ-მეგობრებზე.

ეზოში დვას მკვდრისა და საკმეველის სუნი.

ფუსტუსია და წრიალი



ერთ ადგილის სუფრა გაუშლიათ და შემოსხვარი  
ხალხი მაღიანად ილუქმება.

მერიქიფენი ლვინის დასხმას ვერ აუდიან.

არის თევზის ძვლის წუწნა და ლომიან თითების  
გალოკვა.

ზოგი დგება და მის ადგილს მაშინვე სხვები იჭერენ.

საპატიო სტუმრებისათვის მოინალები ცალკე სეფას  
ამხადებენ.

მშიერი აზნაურები ულვაშებს იგრეხენ და თან სუფ-  
რასკენ თვალებს ქურდულად აპარებენ.

თუ სადმე სოფელში ძალლები იყო, ყველამ აქ მოი-  
ყარა თავი.

აჩქარებულ მზარეულებს და სუფრის გამშეყობთ ფე-  
ხებში ედებიან და არის წყევა-კრულვა:

— დეილუპე, ძალლო, აქიდან, შე მამალი გელის შე-  
საჭმელო!..

ცხენებს მოსართავებს ხსნიან და უნაგირებს აბინა-  
ვებენ.

სამზარეულო სახლში ლობიოს კმაზავენ, ჩოგან ჩა-  
რჭობილ ლომს აშუშებენ, თევზს ჰერშავენ, ფლავს ამზა-  
დებენ.

ბოსტანში თხილებ ქვეშ ჭურებს ხდიან და ლვინოს  
კოკებში ასხამენ.

მეზობელი გოგო-ბაჭები დატანტალობენ და მზად  
არიან გაძლენ აღაპზე, მერე მოაგროვონ ნარჩენი პური,  
ფლავი, დოში, ცახოცში გახვიონ და სახლში გააქანონ.

უეცრად ჭიშკართან კივილი მოისმა.

ხალხმა მოიხედა.

მოდის ტასია გადარეული ფეხშიშველი და შეიქნა  
მხიარული ჩოჩქოლი და გადალაპარაკება.

ახლო-მახლო სოფელში ის იყო ყველა მრცვალებულის ჭირისუფალი.

ყველა მკვდრებს იგი სტიროდა.

სულ ერთი იყო მისთვის ვინ იქნებოდა.

სამაგიეროდ ქელებში გაძლებოდა, დათვრებოდა.

კუბოს საზიდავ მიტკალს გამოითხოვდა და იმით იმოსებოდა, ეხვია ტანჩე სუდარასავით და სოკოებივით დაბებერავებულ ფეხებით სამარიდან ამოსულ შეშლილ მკვდარს ჰეგვდა.

დადიოდა სიკვდილის მოციქულივით ყველგან.

საცა გაჩნდებოდა, — იქ მიცვალებული იყო.

დადიოდა ყველგან სიკვდილის ლანდივით და მისი მოვლენის ყველას ეშინოდა.

თუ საღმე სოფელში ჩაიარდა, — დედაკაცები შევ ქმნიდენ ჩოჩქოლს:

— ტასიე გადარეულმა ჩეიარა, — ვან მოკვტა, ნეტაი?

— ფური მაგის თავს უა სიკვდილი!.. — იტყოდა მეორე და გვერდზე გადააფურახებდა.

მართლაც, იმ დღეს მოვიდოდა ხმა, რომ მეზობელ სოფელში ვიღაც მომკვდარიყო.

ახალგაზდები დასცინოდენ.

— ტასიე მევიდა, ტასიე გადარეული!.. — გაჩხდა ჩურჩული და თავშეკავებული სიცილი.

მღვდელმა პანაშვილი გაათავა.

ციცინო გაასვენეს.

მიირწევა კუბო სოფლის ორლობეში

სასაფლაოზე გაჩნდა წივილი, გულის შელონება.

ყველამ თავ-თავის მკვდარი მონახა და სტიროდენ საფლავებზე დამხობილნი.



ციცინოს წესი აუგეს, უკანასკნელი მიწა მიაყრეს  
და გათავდა, როგორც იქნა, ეს ამბავი.

ხალხი გამობრუნდა.

ქალიშვილებშა და ყმაწვილ კაცებმა დაპარგეს მი-  
ცვალებულის მორიდება და მოდიან კისკისით.

მოათრევენ ტყირპიან მუცლებს.

ყველა ზაფრანასავით არის გამოყვითლებული და  
გამოთაყვანებული.

წინ დარბაისელი ქალები მიღიან.

უკან მამაკაცები.

შავი ფლასით თავწაკრული ყარამან მოღის მშენა-  
რე შვილზე დაყრდნობილი.

არის ბაასი ციცინოზე.

ყველა ქებით იხსენიებს:

— ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო, ბერა, ცი-  
დან ჩამოფრენილი!..

— რა მადლიანი ხელი ქონდა მერე, საცოდავს!..

— შვილის დარღმა ქე მეინელა, მაი უბედურიშვი-  
ლი!..

— ქემაინც ლირსი იყოს მაი წყეული და გადარე-  
ული!..

— რაცხა ხვთის რისხვა ქე კი უნდა ეკიდოს მაი  
ოჯახზე!.. აპა რავაა, ბერა!..

— არ შერჩენ, ბერა, არ შერჩენ!..

— დიდი ბატონის ცოდვამ უწია, დიდი ბატონის!..  
არ აპატია ღმერთმა, მისი სამართლის ჭირიმე!..—ჩურჩუ-  
ლობენ დედაკაცები.

უკან ბონდო და ყარამან მოღიან.

წინ ყმაწვილ კაცები ტასია გადარეულს ელაზლან-  
დარებიან.



ბონდომ შეხედა ტასიას და ტუჩები ჩაიკვინიტა.

— სიკვდილი, სიკვდილი, ტასია გადარეულო, შენ  
თავს!.. ცაჲეა ალბათ გამოკერებული ეს წყეული!.. რა  
მოკლავს მაგას!.. მოხუცებულებს ასე ახსოვთ თავის სიყ-  
რმიდან.

დააქვს სხეულით ხრწნილება და სინოტივე სამა-  
რისა.

ციებისგან ნიათგამოლეული გოგო-ბიჭები ხმაურო-  
ბენ, არშიყობენ და მათ არშიყობას არა აქვს შნო და  
ლაზათი.

სკაპცებიც აქ არიან და დამფრთხალ თვალებით უც-  
ქერიან ბონდოს, მათი მყუდროება რომ ასწერა და წაწ-  
ყმიდა ქრისტეს წმიდა ხომალდი.

ფუსფუსობენ დაჩიავებულნი და სასაცილონი ჯარის-  
კაცის მუნდირებში. ტასია გადარეული კისკისებს, მხია-  
რულადაა.

რა უჭირს,—მისი ამინდია!.. მოსავალი კარგი აქვს.

მოღის ბონდო მწუხარე და ჩაფიქრებული.

შეჩერდა.

— დავილალე, მამაჩემო, არ შემიძლია!.. — სთქვა მან  
ოდნავ გასაგონად და ამ სიტყვების შემდეგ კიდევ უფრო  
იგრძნო მოქანცულობა.

ფეხზე ძლივს სდგას.

— გამაგრდი, შვილო, გამაგრდი!.. — უპასუხა ყარა-  
მანმა და შვილს უნუგემოდ შეხედა.

ბონდოს თვალები უცნაურ ნალვლით შესცეროდენ  
მას და ყარამან შეშფოთდა.

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?.. — შეეკითხა  
იგი ფერმკროლი.

— რა ვქნა, მამა, რომ არ შემიძლია... — სურავი მინ  
ჩურჩულით და არეული თვალებით მიიხედ-მოიხედა.

სკაპცები მოდიოდენ მიბუუტულ თვალებით და ბონ-  
დოს გაეცინა.

— ვაი შენ, სკაპცის ქალო!.. სქესი კიდევ სცოც-  
ხლობს შენში!.. მოჰკალით იგი, რამეთუ წაწყდა უჯიშო  
და უჯილაგო მოდგმა სკაპცებისა!.. — იძახდა სისხლგამ-  
შრალი მოხუცი სკაპცე და ხელებს ბაირალივით შლიდა.

ბონდო იყო ქრისტე სკაპცების.

და მან აჩუქა სკაპცის ქალს ჭეშმარიტი რადენიე,  
მან აცხოვნა იგი და აგრძნობინა სიტკბო ვაჟის ალერსის.

სკაპცის ქალმა იქმარა მისი ვნება, — კნიაჟნა ტრუ-  
ბანოვამ გულში ხელი ჰქონა და გაფრინდა კირასირ გრაფ  
ვილიე დე-გრიფინთან.

გრაფმა შეიგდო იგი ათქვირულ ცხენზე და გაფრინ-  
დენ ვერსალის ბროლის სასახლეებში.

ცხენის ნალი წკარუნობდა ბროლის ფილაქანზე და  
ფლოქებში ცეცხლი ეტებოდა.

ბონდო დარჩა მარტო დაღლილი სისხლით.

— სისხლი!.. სისხლი!.. სისხლი!.. — ჩურჩულებდა იგი  
და უცქეროდა ცხენის ფაფარში ჩაფრენილ კნიაჟნას გა-  
შლილ კრინოლინით.

— სისხლი!.. სისხლი!.. სისხლი!..

— რას ამბობ, შვილო?.. — შეეკითხა ყარამან.

ბონდო შეკრთა, თვალები შოიშმუშნა და შეხედა  
მამას.

გაიღიმა.

მერე:

— სისხლი დაიღალა, მამაჩემო, სისხლი!..



— კაი ახლა, შვილო!.. — უსაყვედურა მამამაშული გორგონა  
— სისხლი, მამაჩემო, სისხლი დამეავდა ძარღვებში!..

ყარამანმა დამფრთხალ თვალებით გიიხედ-მოიხედა,  
შეეშინდა რომ არავის შეენიშნა.

უეცრად ფშვინვა მოისმა და შუკის მოხახვევში გა-  
მოჩნდა მთლად შიშველი გუჯუ ლაბახუა.

მისი მკერდი დაწილ გოდორივით არის კუნთბ  
გატენილი.

წინსაფარის მაგიერ ბინძური ძონძები აფარია.

— გუჯუ ლაბახუა!.. არიქა, ტასია, შენი ქმარი მო-  
ბძანდება, შენი ქმარი!..

— მოდი, გუჯუ, მოდი!..

— სიძეს გაუმარჯოს, სიძეს!.. — ელაზლანდარებიან  
ახალგაზდები და თან უახლოვდებიან.

— გვაცხონე, გუჯუ, გვაცხონე!.. — დაუძახა მას ვი-  
ლაცამ ოხუნჯურად და გუჯუ დაიპრანჭა, აბურდლულდა  
დათვივით.

ალიტინებული ქალები კისკისებენ.

გუჯუ დგას კუნთებ გატენილ ბარკლებით და, თი-  
თქოს მიწიდან ამოზრდილა, ისეა მიწაზე დაბჯენილი.

ბონდოს შეაურუოლა და დამფრთხალ თვალების  
ცეცება დაიწყო.

— რა დაგემართა, შვილო?.. — ეკითხება მამა.

— არაუერი, მამაჩემო, არაფერი!.. — უპასუხებს იგი  
გარინდებული და თვალებს გუჯუსკენ აცეცებს

„რეზედა“ და ქალური სურნელება აბრუჯებს მას.

— მე თქვენ მოგართვით ბახჩისარაის ბეისაგან  
ძლვნად გამოგზავნილი თურაშაული და თქვენ!.. — ამბობს



კნიაჟნა ტრუბანოვა საყვედურით და მწიფე ჰტამირო  
შეპუდრულ სახეზე ალმურმა გადაჰქრა.

ბონდომ თავი შეარხია და მოიგერა.

გუჯუ დგას სისხლიან თვალებით.

— მოი, ბეჩა, გუჯუ, მოი!.. — დაუძახა მას დაყვავე-  
ბით ვიღაც ახალგაზდა ქალმა წკრიალა ხმით და გუ-  
ჯუს შეაჟრუოლა.

ვნებაანთებულმა დააღო პირი და იბლავლა. შემზა-  
რავად.

იზმუვლა ატეხილ მოზვერივით, მკერდში მუშტი და-  
იკრა, უცნაურად დაიპრანჭა და წინსაფარი აიწია...

და იდგა სატანასავით ვნებააყეფებული, ბლაოდა .  
და ეძახდა დედალს.

ქალები წივილიტ გარბოდენ.

მამაკაცები დაიბნენ.

ბონდო მამას აეტმასნა და შუბლზე ათროთოლებული  
თითები გადისვა.

— მამა!.. მამა!.. მამა!... — დაიკვნესა მან და თავს  
მოწყვეტით აქანავებდა.

— მომიტევე მამა!.. მომიტევე!.. — დაიძახა მან და  
გუჯუსკენ გაექანა. ერთი შეჩერდა, შეტორტმანდა მოჰე-  
და მამას და მერე უეცრად ისევ მოსწყდა, გაიქცა და მუხ-  
ლებში ჩაუვარდა გუჯუს.

— გუჯუ!.. გუჯუ!.. გუჯუ!.. შენ შეგვეწიე, გუჯუ,  
შენ დაგვიფარე!.. — ბლაოდა იგი ხელაპყობილი და ფე-  
ხებს უკოცნიდა, თაყვანს სცემდა გუჯუ ლაბახუას.

ხალხი გამოერკვა.

მისცვივდენ ბონდოს და საყვედურობდენ.

სთხოვდენ მოსცილებოდა.



მოვარდა მე-96-ე სკაპცების საინვალიდო როტის  
პორუჩიკი ზეენიგოროდსკი და ამშვიდებდა.

ბონდომ მოიხედა.

თმაგაწეწილმა ამღვრეულ თვალებით შეხედა პორუ-  
ჩიკს და უკან მოაწყდა.

— Скопец!.. Скопец!.. Марш отсюда, скопец!.. —  
ჰყვიროდა იგი და ხელები შეშლილივით აასავსავა.

პორუჩიკი დაიბნა.

ხმა არ ამოულია.

გაკვირვებულმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა, ჩუხონურ  
რუსულით რაღაც ჩაილაპარაკა და მოსცილდა.

ხალხი შემოეხვია გუჯუს.

დაუწყეს ცემა.

ბონდო მის საშველად მიიწევდა, მაგრამ გააკავეს.

სცემდენ გუჯუს წიხლებით, ლობიდან გამოძრობილ  
სარებით.

სთელავდენ ფეხებით და გუჯუ ბლაოდა დაჭრილ  
ნადირივით.

ბოლოს, როგორც იქნა, გაუსხლტა ხელში და ნა-  
ცემ ვაყასავით გაიქცა ჭიხვინით, კადავარდა ყანებში და  
დაიკარგა სიმინდის შრიალში.

გულშელონებული ბონდო ვიღაცის მკლავზე გადე-  
სვენა.

იქვე მეზობლის ეზოდან წყალი მოარბენინეს და  
მოასულიერეს.

ბონდომ მიიხედ-მოიხედა, შუბლზე, ჩვეულებისამებრ,  
ხელი გადისვა და მწარედ, ნაღვლიანად მამას გაულიმა.

მერე წამოდგა და დაფრთხალ თვალებით მიიხედ-  
მოიხედა (თითქოს ვეღაცას ექებდა), და, როცა ვერ ნა-  
ხა, თვალები მოისრისა, წელმოწყვეტილი მიეყრდნო მა-  
მას და გაპყვა ლასლასით....

## ქართ მეთოთხმეზე

### კულტური მარჩივი

სოფელი შეშთოთდა.

გაჩნდა მიეთ-მოეთი.

ხალხი ააყაყინა ბონდოს საქციელმა.

უხუცესი გლეხები გაგზავნეს კულაშში მარჩიელთან.

ყველა მოუთმენლად ელოდა პასუხს.

რა ექნა სოფელს!..

სხვა გზა არ ჰქონდა.

სოფელი გაწყდა.

არ იყო ოჯახი, ერთი ან ორი. წევრი არ გამოჰქოლებოდა და ვინმე ლოგინად არ ყოფილიყო ჩავარდნილი.

არ იყო კომლი, რომ კუბო არ გატანილიყო.

დაბრუნდენ მარჩიელთან გაგზავნილი კაცები და მოახსენეს სოფელს, რომ აქედან უნდა აიყარონ.

რომ ეს ადგილი არის უუმურთა-უუმურის და მაისის გველის, წითელ გველთა მეფის, ნასახლარი და საბრძანებელი.

რომ ეს მიდამოები გაჩენილია ქვეწარმავალთა და-გვალულ ზმორებისათვის.

მარჩიელი ამბობდა, რომ აქ ქვა ქვაზე არ დარჩე-ბოდა.

სანავარლოს ავი სულები დაეპატრონენ.

ტრამა და ნერევა მოიცავს მას და, კისაც თავის  
შველა უნდა, მოშორდეს ამ ადგილს.

მოდის ნარიონა:

ბაყაყებით, გველებით, ყანჩებით, ხაშ-  
მით, უქმურით, იყოლილით, საწერელით, შე  
შლილობით, სიკვდილით, ცხელებით, მაჯლა-  
ჯუნით, ავი თვალით, უშვილობით, თუთაშით,  
შაკიკით, ნეკრესის ქარით, ფილენჯის ქარით,  
ბატონებით, საყმაწვილოთი, შენახვდომით.

ჭაობები მოედება ბთელ არე-მარეს.

სოფელმა გადასწყვიტა აიყაროს, მაგრამ დღეობა  
მოახლოვებული იყო და ნადლესასწაულევისათვის გადა-  
იღო.

ბატონთან გაგზავნეს მამასახლისი.

ყარამან, დახვდა მას მორჩილი, წელგატეხილი და  
პოხუცებული.

სოფელი ეკლესიას თხოულობდა.

ყარამანმა ნება დართო, თუ ეფისკოპოსი დასთან-  
ხმდებოდა.

ყველა სამზადისში იყო უკანასკნელ დღეობისათვის  
და მერე ასაყრელად.

შიშველი ბალლები ხტიან, უხარიათ და ძლივს და-  
თრევენ ტყირპით გაბიზინებულ მუცლებს.

გადაწყდა: დასახლდენ ქოსნათის მახლობლად იქ, სა-  
დაც ახალი რკინიგზის სადგური ეს-ესაა მოთავდა.

იქ რკინიგზაა, იქ სამუშაოა.

წყეულიმც იყავნ შენ, სანავარდო!..

## ქართ მეთეთხმეტე

### ვ გ. გ რ გ ა მ ა შ ო

ბონდო სახლში იყო.

არსად მიღიოდა.

მთელი დღეები იჯდა ოთახში და კითხულობდა.

ერთ დღეს მან ვიღაც საეჭვო ხალხი მოიყვანა ორ-პირიდან: — რუსეთიდან ჩამოსულიყვნენ.

ერთი ჯაყელი იყო, გადაგვარებული, ქართულს ძლივს ახერხებდა, მეორე ებრაელი და მესამე პოლონელი.

ისხდენ ისინი ბონდოსთან ჩაკეტილ ოთახში და მთელი ლამე რაღაცას ედავებოდენ.

ყარამანს არ მოეწონა ეს ხალხი. მას არ ესმოდა კარგად რუსული, მაგრამ ცოტა მაინც გაიგო.

ის მიხვდა, რომ ამ ხალხს რუსებმწიფის მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი.

უნდოდა შევარდნილიყო, ეყვირა, მაგრამ გადიფიქრა.

დილამდის დავობდენ ისინი და ალიონზე გაგული-სებული წავიდენ, — საუზმასთვის არ მოუცდიათ.

დარჩა ბონდო დაფიქრებული.

ყარამან შევიდა მის ოთახში და ნახა მაგიდაზე და-უჭრელი წიგნები ელაგა დასტად.

ერთზე უზარმაზარი ობობა ეხატა რუსული წირწე-რით, მეორეზე ძლივს ამოიკითხა:



„Разсказ о четырех братьях“.

Да бѣлъ дилъ а рвѣлъ біоц ეშуом: ზედ ზარი ეხატა და  
იქვე მსხვილი რუსული ასოებით ეშერა: „Колокол“.

კიდევ იყო წიგნები, მაგრამ გამოვიდა აკანკალე-  
ბული.

შეეშინდა.

ისინი არაფრით არ ჰვავდენ იმ რუსულ წიგნებს,  
მას რომ უნახავს.

ეს წიგნები არ ჰშორდებოდა მის გონებას და მო-  
სვენება დაჰკარგა.

ბონდო აივანხე დადიოდა დაფიქრებული. არაფერი  
უჭამია. მერე შევიდა ოთახში და ლიზიკიას დაუძახა, და-  
ანთებინა ცეცხლი ბუხარში და ყველა ეს წიგნები შეჰყა-  
რა შიგ.

ავარდა ბოლი.

სოფელს უკვირდა ბოლი ამ გაგანია სიცხეში. ნა-  
შუადლევს ცხენი შეაკაზმინა და გადავარდა ორპირში.

ყარამანს მობეზრდა მისი ძებნა და თავი მიანება.

ზუალამისას დაბუნდა ბონდო და წყნარად შევიდა  
თავის ოთახში.

ტანთ გაიხადა და დადის პერანგის ამარა.

ყორანივით ბნელი ღამეა. სადლაც შორს წრომი  
იძახის ბნელად. სანთელი ოდნავ ბუუტავს, წმ. გიორგი  
აფრენილა ხატის კანდელზე და თეთრად ანათებს თეთ-  
რი მერანი.

აფორიაქდა ბონდოს სული.

მოგონებები აირია.

უცხო სტუმრები, მოსულნი იქმდან, არ ასვენებდენ  
მის გონებას. მოვიდენ ისინი ცივ სანკტ·პეტერბურგიდან  
და მოიტანეს უთვისტომობა.

დაბნელდა სულში. საშველი არაა ამ სიბნელეში,  
სადაც მივიღა ყველგან სიბნელე დახვდა, ყველგან მიღოდა  
ტოა. დაწვება და მასთან წვება ეს სიმარტოვე მოსიყვა-  
რულე ცოლივით. გაივლის და აედევნება ორეულივით.

იქაც მარტო იყო.

ენატრებოდა დედის კალთა.

მოვიდა დედასთან და დედამ მიატოვა იგი. მოკვდა.  
პანაშვიდი გადაიხადეს და გათავდა ყველაფერი ისე,  
თითქოს ეს ასე უნდა მომხდარიყო. მხოლოდ სულში  
სტკივა რაღაც.

— რომ ვერ ნახა მოსვენება?..

დადის:

— ერთი... ორი... სამი... ხუთი... შვიდი და ნახე-  
ვარი... .

კრილი ერთგულად კრილავს კედელს და ისმის:

— ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!..

— რა გინდა, შენ?.. — ეკითხება იგი ხმამალლა და  
თავისივე ხმით გამოერკვა.

— რა საძაგლობაა მარტო ლაპარაკი!.. — დაიძახა  
ისევ ხმაზალლა და მუშტი მოჰკუმშა.

— ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!.. ჩუ-ჩუ!.. — ისმის დაუინებით.

— ჩუმად ვარ, მაგრამ რომ არ მეძინება'.. — წამოიძა-  
ხა მან სასოწარკვეთილებით და გაიზმორა.

დასწვა საეჭვო წიგნები. ზედ ობობა ეხატა, — უზარ-  
მაზარი ბობორიკა და ბუზი. მის ოთახშიც არის ობობა,  
მაგრამ აქ ბობორიკა და კოლო.

კიდევ დარჩა ბონთოს იჭიდან მოტანილი წიგნები.  
ეს წიგნები მოიტანა მან სიბნელიდან. ალბათ იმათაც  
ბუზარი მოელის.



სოფელს სძინავს.

საღლაც შორს ძაღლის ყეფა ისმის მიყოფებულად.

წინ ბნელა. ბნელოდა უკანაც, პეტერბურგში რომ  
დასტოვა.

მის უდიდებულესობის საიმპერატორო კარის ფრეი-  
ლინას უყვარდა ბონდო.

ფრეილინა ცხოვრობდა თეთრგრანიტიან პეტერ-  
ბურგში, თეთრ მარმარილოს სვეტებიან სასახლეში, იქ,  
სადაც საამირაპორო შპიცი გაყრილიყო ცაში და წინ  
ზღვაში იღესესვის რაველინი ავართნილიყო.

კნიაჟნას უყვარდა ყველაფერი ნათელი. მაგალითად:  
ვერსალის ბროლის გრაფინები, კარგად გაუთოვებული  
და გახამებული საცვლები, თეთრი კედლები, ფრაუეს სა-  
მოვარი, მელხიორისა და სევრის ჭურჭელი და ლაპარაკი  
იმაზე, რაც ყველასათვის ნათელი იყო და ნაცნობი.

— როგორ ბრძანდებით, კნიაჟნა?.. — ეკითხება ბონ-  
დო აღგზნებული.

— კარგად, მხოლოდ უძილობა მაწუხებს!.. ვიღაც  
თეთრი მხედარი მოდის ჩემთან ყოველლამე და მაში-  
ნებს!.. — უპასუხებს კნიაჟნა კაპრიზით და მოსულელო თვა-  
ლებით ისე უცქერის, თითქოს ის იყოს ამაში დამნაშავე.

ბონდო:

— მიიღეთ ბრომი და მოისვენებთ!.. ან-და Uernex-  
Montreux-ში წაბრძანდით და ყურძნით იეჭიმეთ!..

— დღეს ხუთშაბათია, არა, თავადო?.. — აწყვეტი-  
ნებს ქალი.

— გახლავთ... - მოუჭრა მოკლედ. — დოლში ხომ არ  
აპირებთ?.. იქ იქნება გრაფ ვილიე დე-გრიფინ.. — შეაპარა  
ბონდომ შხამიანად.



— მე ძლიერ მიყვარს დოლი, მაგრამ უბეჭურება  
რომ მოხდეს!.. — ამბობს კნიაჟნა ფერშემქრთალი.

— მაგისგან არავინაა დაზღვეული!..

— თქვენ აუტანელი ბრძანდებით, თავადო!.. — უწყება ქალი უინიანად, მარაო მოულერა და მერე ლაპაკობს კნიაგინდა ბორშჩაკოვის ოჯახში განართულ სპირიტიულ სეანსებზე, სადაც მკვდრები ისე ლაპარაკობდენ, როგორც ცოცხლები, მერე მასსონებზე, მერე ოპერის მომღერალ ქალ M-IIe მიმის შესახებ, მაგრამ მალალ წინდებიანმა და წითელ ლივრეაში გამოწყობილმა ლაქიამ მოართვა სადარბაზო ბარათი, კნიაჟნამ ბარათი აიღო, თვალებზე ლორნეტი კოპწიად მიიღო და წაიკითხა:



### გრაფ ვილი ღი-გრიფინი

— სთხოვეთ მობრძანდეს!..

ასე ეშინოდა კნიაჟნას ყველაფერ ბნელის, თუმცა მას ვიღაც თეთრი მხედარიც აწუხებდა ბნელ ლამე-ებში, მაგრამ ეს ალბათ იმიტომ, რომ მას უყვარდა ყვე-ლაფერი თერთი და თეთრ კედლებში კარგად არ ეძინა.

ბონდომ იგრძნო რომ სასწორი კირასირთა პოლკის როტმისტრ ვილიე დე-გრიფინმა გადაჰსრა, გარდა ბან-ქოსი, ცხენებისა და ქალებისა რომ არაფერი ესმოდა ქვე-ყანაზე.

ასეთი იყო კნიაჟნა ტრუბანოვა.

ბონდომ მას საქართველოდან მზის მაგიერ სიბნელე მოუტანა.

ბონდოს გენეალოგია იკარგებოდა საუკუნეთა სიღრმეებში.

კნიაუნას საგვარეულო შტო ნათელი იყო.

მისი წინაპარი იყო „ტრუბაჩისტი“ (ამას ის, ღვთის წინაშე, მალავდა და ალბათ იმიტომ სძულდა ყველაფერი ბნელი) და, როცა ის ბუხარს სწმენდდა სასახლეში, რატომლაც მოეწონა იმპერატრიცა ეკატერინეს და უბოძეს თავადის ხარისხი...

ერთი სიტყვით, ასე იყო:—კნიაუნამ მიატოვა ბონდო.

ერთ დღეს კნიაუნამ აჩუქა ბონდოს ბახჩისარაის ბეისაგან ნობათად გამოგზავნილი თურაშაული და ბონდომ შემოჰვევია ხელი.

ქალი გრძნობდა წელზე ვაჟის მაგარ ხელებს და ტანდაყუდრული ნებდებოდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც მის მოლოდინით აცახცახებულ ტუჩებს უახლოვდებოდა ვაჟის ტუჩები, მან იგრძნო აცრუება და შენიშნა, რომ ბონდოს ლილი აკლდა საყელოზე (ალბათ მლელვარების დროს თუ ასწყდა) და სთქვა:

— თავადო ბონდო, თქვენ ლილი გაკლიათ საყელოზე!..

ბონდო შეკრთა, თვალები უაზროდ ააცეცა, მერე ქალს ხელი ჰკრა და უკან მიაწყდა.

კნიაუნა შეშინებული უცქეროდა მას.

ბონდო იდგა თავდახრილი და კნიაუნამ იგრძნო რაღაც ზიზლი მისდამი, მას დასანახავად ეზარებოდა იგი და მზად იყო ფეხის ბრახუნით გაეგდო გარეთ...

— სირცხვილი!.. სირცხვილი!.. — ჩურჩულებრდა კნიჟა  
ნა და ოვითონ არ იცოდა რა იყო სირცხვილი.

ფეხრთით ეგდო საყელო... გაშალა მარაო და გა-  
იქცა.

ბონდო დარჩა მარტო შერცხვენილი და წელგაწ-  
ყვეტილი.

უფრო დაბნელდა.

ავი ზე ხირხნიდა ტვინს.

ეპილპესიამ დალორწა ხერხემალი.

— ღმერთო!.. ღმერთო!.. ღმერთო!.. — იძახდა იგი  
და თმებში ხელებით ჩაფრენილი დარბოდა ოთახში.

ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, შფოთავდა და არ  
იცოდა რა ექნა.

დაისხა არაყი და გადაჰკრა ზედიზედ, მაგრამ მაინც  
არ ეშველა.

ფრეილინა გაჰყვა კირასირ გრაფ ვილიე დე-გრი-  
ფინს, თუ გრაფინს, ეს სულ ერთია (კნიაჟნას საოცრად  
უყვარდა ვერსალის ბროლის გრაფინები), და ახლა გრაფს  
აჩუქებს ბახისარაის ბეისაგან ძლვნად გამოგზავნილ თუ-  
რაშაულს.

მას ოქროს გალუნები აქვს და აქსელბანტები.

როცა კადრილს ცეკვავს, დეზები წკარუნობენ და  
მთლიად ბრწყინავს. ამას გარდა მას კოკობი ულვაშებიც  
აქვს, ასე რომ, როცა ის ჰეოცნის კნიაჟნას, ულვაშები  
ეალერსება მის ნაზ სახეს.

ერთი სიტყვით, კნიაჟნას უყვარს გრაფ ვილიე დე-  
გრიფინი, თუ გრაფინი, ეს სულ ერთია, და ბონდო დარ-  
ჩა სიბნელეში.

ერთ მაღალწოდების რაუტზე, სადაც კადრილი ირ-  
წეოდა კრინოლინებში და ბროლის გრაფინებში, ვილიე



დე-გრიფინმა ხელი გაუწოდა კადრილისათვის და კნიაუნა გაჰყენა გრაფს მაშინ, როდესაც ერთი წუთის წინ უარი უთხრა ბონდოს.

ბონდო აენთო, ბრაზი ყელში მოაწვა და ქავილით ალრჩობდა.

თვალთ დაუბნელდა და უეცრად იგრძნო, რომ ფეხით შუა დარბაზში გადმოშვებულ კანკელზე ეკიდა. სტეარინის წვეთები ეცემა თბილად და ყველაფერს უკუღმა უცქერის.

დირიეორი უცნაურად ჰკიდია დამხობილ კრინოლი. ნებში და ისმის საოცრად:

— A vos places!..

— A droit!..

— A gauch!..

გრიალობს პატარა თეთრ აივანზე ორკესტრი. იორეგვა კადრილი აშიასავით. სადღაც ლეიბ-გუსარი ანთია წითლად წითელ მაუდში. გრაფინები ჰგორავენ კრინილონებში და ისმის დეზების წკრიალი.

ბონდომ ტკივილი იგრძნო შიგნით. ვერ აიტანა. დაავლო ხელი უზარმაზარ დივანს, ასწია ზევით და ისროლა იქ, სადაც მუცელგაბერილი გრაფინები გორავდენ თეთრ კრინოლინებში.

გაისმა შუშების მსხვრევა და კრინოლინები რაღაც გასაოცრად აფარფატდენ ისტერიულ კივილში.

ბონდო დგას, არაფერს ხედავს. სულში ისევ სტკიგა რაღაც და სწოვს. რისხვით ანთებულ თვალებით, ჭყონდიდელის ზვიადობით შემოტრიალდა და გარეთ გავიდა.

სასახლის წინ დგას დარაჯი ახირებულ ალებარდით და მაღალ ქუდით.



შორს ალექსეევის რაველინი მოსჩანს თეთრ ღა-  
მეში.

კარეტები მოხუც დედაბრებივით მოღუნულან.

ცხენები ფეხს სცემენ გაყინულ მიწაზე და ფრუტუ-  
ნით ორთქლს უშვებენ ნესტოებიდან.

— ღმერთო, რა ვქენი!.. რა ვქენი!.. — ჰკვნესოდა  
იგი და მოემზადა მოსალოდნელ დუელისათვის, მაგრამ  
გრაფინები საკმაოდ მხდალნი აღმოჩნდენ.

ჩაჯდა კარეტაში და გაფრინდა კუნძულებზე.

წავიდა სიბნელეში.

თუჯის მხედარი აფრენილიყო გაშლილი მკლავით.

იქ, ნევის პირას, საეჭვო რესტორანში მონახა მან მე-  
ზლვაურის ხისა M-he ჭიჭი, მოუყვა როგორ მოსწყინდა  
სიცოცხლე, როგორ დაჰკარგა სიხარული და მიეძინა მის  
თეთრ მკერდ ქვეშ.

დილამდის ეძინა.

კუნძულებზე ბნელოდა და უბერავდა იქიდან პე-  
ტერბურგში ბნელ ეპილეპსიით და ინფლუენციით და-  
ლორწილი სუსხიანი ქარი, აფრიალებდა ქუჩაში იშვია-  
თად დარჩენილ კრინოლინებს და უყინავდა ნაზ გრაფი-  
ნებს ატლასის ბაყვებს.

M-he ჭიჭიმ მიიღო ბონდო.

მეზლვაური გაემგზავრა მონლოლურ ირიბ სავა-  
ლებით ოკეანეებში და ბენარესში მიირთმევდა მწიფე ბა-  
ნანებს.

ალბათ იჯდა ახლა მდინარე განგის ნაპირას და  
თავს იქცევდა თუთიყუშებთან მუსაიფით.

უნივერსიტეტის კათედრაზე იჯდა ფრაკიანი თუ-  
თიყუში თეთრ ხელთათმანით, მას pinc-nez ჰქონდა კაუჭ  
ცხვირზე გაკეთებული და კითხულობდა ლექციებს.

სტუდენტები უსმენდენ.

ის ებრაელი, ის პოლონელი და ის ჯაყელიც იქ იყვნენ.

თუთიყუში მსჯელობდა მეტაფიზიკურ სამყაროზე, ამბობდა ემპირიაზე. დიალექტიკა, საგანი თავისთავად, მერე ჩვენთვის, მერე კიდევ ვიღაცისთვის, ღმერთი და ასე... განა ცოტა რამაა სალაპარაკო!..

მოპერატორი ლაბორატორიებში ბაყაყები, ჰუატრავე დენ მათ და ეძებდენ ღმერთს, მაგრამ ღმერთი არ იყო.

კოლბები, მენზურები, გრაფინები, რეტორტები, ყანთრები, ახირებული მინის იარაღები თვალს სჭრიდა ბონდოს.

ბაყაყები ცახცახებდენ შიშით პინცეტებისა და ლანცეტების დანახვაზე.

ქვეყანას ერჩიათ თხრილას პირას ჯდომა და ორბირის დამპალ წყალში თქაფუნით გადავარდნა.

არ იცოდენ რა ექნათ, რით დაეღწიათ თავი. უმოწყალოდ ჰუატრავდენ გამარმარებულ ნეშტარით, მაგრა ნოუმენი, რომელიც დიდი ასოებით იწერება ვერ იპოვნეს.

მოდიოდენ საოცარი ახალგაზდები და ლაპარაკობ დენ.

ტვინი ამოსჭამეს ბონდოს ქაქანით.

ლაპარაკობდენ ღვთის ბუნებაზე, სიცოცხლის დედააზრზე და მათი ლაპარაკის შემდეგ მთლად ეკარგებოდა აზრი ცხოვრებას.

ამბობდენ, რომ რაფაელის მაღონნას გაუწმენდავ ჩექმა სჯობია.



ბონდო ფიქრობდა და ახლაც ფიქრობს... ვერ შიძ-  
ხვდარა: რატომ სჯობია ჩექმა მაღონნას?

— ნაუ!.. ნაუ!.. ნაუ!..—შუალამის დარეკეს ეკლესი-  
ს ყარაულებმა.

ბონდო გამოერკვა, თვალებზე ხელი მოისვა და ხე-  
დავს რომ თავის ოთახშია.

გაიარა: ოთახი შვილნახევარი ნაბიჯია, იქნებ, ცო-  
ტა ნაკლები, თუნდაც ერთი მეოთხედით, მაგრამ ეს ან-  
გარიშში შეტანად არ ღირს...

სულ ოცდა ოთხი ფიცარი არის დაგეპული, ეს ზე-  
პირად იცის ბონდომ.

— ერთი... ორი... სამი... და ასე...—კარგად ახსოებს.

— მტლაშ-მტლუშ!.. მტლაშ-მტლუშ!..— ტკაცუნობს  
ფოსტალი ფეხის გულზე.

„მძულს უგულო სიყვარული,

„ზეევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში!..“

ამბობს რუსთველი და მოდის ლალი გადაშლილ  
პერგამენტით.

თამარი უსმენს მოჯადოებული და მარგალიტის სა-  
ურე ცახცახებს თეთრად ანთებული.

ეს მეთორმეტე საუკუნეში იყო.

რომელ მეთორმეტეში?.. ქრისტეს წინად, თუ შემ-  
დეგ?.. წინად სულ სხვა იყო!.. წინად:—თობელ, მოსოქ,  
ურ-კაშდიმ, ქალდუ... ეს მაშინ იყო. მერე: დაიბუნაგეს  
კაპადოკიას. მოაგდეს სისხლით თესლი და ციება.

აყვავდა ვაზი და მწვანე ლერწები დაიტვირთა სა-  
ქანე მტევნებით, რომ მერე ქალის თმებით გამთბარი თეორ  
ცხადებასავით მოვლენილიყო იბერიაში.

ტაბალის ცხენი გავარდა სახელად და ფარაონებს  
თეთრად ელანდებოდათ მისი გახელნა.

და ერთხელ, როცა ყველას ეძინა, გაჩნდა ყიუინა  
გუშაგების:

— გიმმირად!.. გიმმირად!.. გიმმირად — და გაქანდა  
ბედი თეთრ კავკაზისკენ.

ავარდა ორთქლი ცხელი სისხლის, გაჭენებულ ცხე-  
ნების ხვითქი და მზის სხივები იქვარქნებოდენ მეწამულ  
ფერში.

— არ გადავშენდებით!.. არ გადავშენდებით!.. არ გა-  
დავშენდებით!..

შიშველი მახვილი გველის წიწილივით ასკდებოდა  
ბრინჯაოს ფარებს და მზე გახურებულ შანთივით სწვავდა  
გახეთქილ ჭრილობებს.

მოდის გიმმირად კბილთა ღრმერით. გატყორცნილ  
ენით ლოკავს ქალაქის კედლებზე ჩამოლვრილ სისხლს და  
ტორტმანობს მთვრალი. ტრამალები აივსო სისხლით.

ეზეკიელმა დაიტირა მათი ბედი:

„მუნ მიეცნეს მოსოქ და თობელ, და ყო-  
ველი ძალი თითოეულისა მათისა საფლავისა მი-  
სისა გარემოსთაგანისა, ყოველნი წყლულნი მა-  
თნი, ყოველნი წინა დაუცვეთელნი წყლულნი მა-  
ხვილისა მიერ, მიმცემელნი შიშსა ქვეყანასა ზე-  
და ცხოვრებისასა, და დაიძინეს გმირთა თანადა-  
ცემულთა საუკუნეთა და საუკუნითგან, რომელნი  
შთავიდეს ჯოჯოხეთად საჭურველთა მათთანა  
საბრძოლელთა, და დასხნეს ნახეილნი მათნი  
ქვეშე თავთა მათთა, და იქმნეს უსჯულოებანი



მათნი ძვალთა ზედა მათთა, რამეთუ ეშიშეოლებართუ  
გმირთა ცხოვრებათა შინა მათსა და შიში მძლავ-  
რთა იყო ქვეყანასა შინა ცოცხალთასა“...

• • • • •  
სიბრძნის ღმერთს ეას უყვარდა იშტარ.  
იშტარის გული შეიპყრო თამმუზმა.

მაშინ ეამ მოსწამლა თმახუჭუჭი თამმუზი  
და მისი სული გაემგზავრა ქვესკნელ არალში  
მდინარე ხუბურს გადალმა.

სიკვდილის ღმერთმა ნერგალმა და მისმა  
მეულლემ ალლათუმ, სამაჯურის მაგიერ ცოც-  
ხალი გველი რომ ეხვია მკლავზე, დააფარეს  
ტინის კლდე თამმუზს და ასე დაიკარგა მისი  
კვალი.

იშტარი დადიოდა, როგორც დედალი  
ნიამორი და ეძებდა თამმუზს.

გადალახა მდინარე ხუბური და მიადგა  
ერთ კარებს.

მეკარე შეოლმა ჩამოართვა ძვირფასი დი-  
ადიმა, მაგრამ იშტარს სწყუროდა თამმუზ და  
განაგრძო გზა.

მავნე ჰალლუმ შეხსნა ფარლული, მაგრამ  
იშტარს სწყუროდა თამმუზ და განაგრძო გზა.

ასე განვლო მან შვიდი კარი და ყველგან  
ჩამოართვეს სამკაულები, ტანისამოსი და გა-  
უშვეს, როგორც მათხოვარი.

შეხსნეს ჯავარიანი ძუძუსფარები და  
დაყურსული ძუძუები მტევნებად ირწეოდენ  
მკერდზე.

წელზე არ ერტყა ქალწულობინ ვიწრო  
სარტყელი, შობას რომ უმსუბუქებდა მშო-  
ბიარეს.

ატმისფერი ტანი იბნიდებოდა ალერს  
მოწყურებული.

იშტარს აბრმავებს სიტკბო და ზარხო-  
ში იშტის.

— თამმუზ!.. თამმუზ!.. თამმუზ!..

სული იხუთება ქვესქნელ არალში.

ზეცის მაგიერ დალრჭენილი პიტალო  
კლდეები და სტალაქტიტები ჩამოსტირიან.

მდინარე ხუბურის ტალღები სისინებენ  
გველის წიწილებივით.

ანნუნაკები წამოესივნენ იშტარს და აარ-  
თვეს სილამაზე.

ჭინკებმა შეჰყარეს უამრავი სნეულება-  
ნი, მაგრამ იშტარს მაინც სწყურია თმახუჭუჭ-  
ვაჟი.

აშაკუმ შეჰყარა უუმური და რაბისსემ გა-  
უჩინა ანთება, მაგრამ სიყვარული უფრო გამ-  
ძაფრდა.

ჰალლუმ მოჰკიდა კიბო ძუძუებში, უტტ-  
უკუმ მიაყარა ყელში ავი მუწუკები, ლაბასხუმ  
მოუსავა მუხლებში და წაქცეული მიბობლავს  
მიწაზე.

ბელით-სერამ შეჰყარა კეთროვანება და  
დამპალი ხორცი სცვივა ძვლებიდან მწვირიან  
ძონძებივით.

ლილუმ ჩაასო ფრჩხილის ძირებში საწე-  
რელი და ჰკვნეტს თითის ძვლებს.



ლილიტმა წაართვა გონება, მაგრამ სიყვარული უძლეველი მაინც გიზგიზებს მის გულში.

მიბობლავს იგი ტალახში და უკან სტოვებს, დამპალ ხორცს, სისხლსა და ბალღაშს.

— თამმუჩ!.. თამმუჩ!.. თამმუჩ!..

გამწარდენ მავნეები:

— სთქვი რომ არ გიყვარს და მოგეშვებით!..

— მე მინდა თამმუჩ!.. — სთქვა ყელმოლერებით და მოწყურებით იშტარმა.

ურ-კაშდიმში დასჭინა ვენახები.

ლოტოსები გაყვითლდენ.

შეიძარცვა ხეები და დადგა ზამთარი.

ვეფხების ღრენა მოახლოვდა ბოსლებთან.

კურატი მოზვერი არ ახტება უშობელს.

ვაყა არ ეტანება ფაშატი.

ქმარი არ აქცევს თავის ცოლს გზის პირად.

ცოლი ცალკე წევს თავის საწოლში და ქმარი ცალკე.

შეწუხდა ღმერთთა შათირი პაპსუკალი.

მიმართა ეს:

— იშტარ ჩავიდა და არ ამოდის.

კურატი მოზვერი დამყუდრულია.

ვაყას ფაშატი ალარ სწყურია.

ცოლს ცალკე სძინავს თავის საწოლში და ქმარს ცალკე...



— იშტარ!..

— თამმუზ!

გადაეხვივნენ.

ერითას სასახლე ირწეოდა ატმისა და თაფლინდის შტოებში.

— თამმუზ!.. თამმუზ!.. თამმუზ!.. — ჩურჩულებდა იშტარი ნერწყვევამშრალი და სწოვდა ვაჟს ალისფერ ტუჩებიდან თაფლსა და სიტკბოს.

მზე დაიღვარა მის შავგვრემან ტანზე და გამდნარი სხივები თაფლივით ედინებოდა.

— მუდამ ასე რომ დამატყვევოს ეამ?..

— მუდამ მოგძებნი, რომ ჩემი იყო, თამმუზ!.. — ამბობდა იშტარ და ბედნიერი ეხუ-

ტებოდა ვაჟკაცის მკერდს.

მერე მოვიდა გიმმირახ და გაპქრა თამმუზ.

აშტარტა ეძებდა მას ქვესკნელ არალში მდინარე ხუბურს გადაალმა და ნახა იგი უქმურით შეპყრობილი ტიგრის ჭაობებში.

იშტარი დარჩა უნაყოფოდ და ხნიერ ქალიშვილივით ჭკნება ტიგრის ნაპირებზე.

იშტარს სწყურია ვაჟის ცეცხლი, — თამმუზს მხოლოდ პლაზმოდიები აბადია.

ბონდოც ასეა: — დალორწილია მისი სისხლი უქმურითა და ავი ზნით.

— წმინდაო გიორგი, შენ გამყარე უქმურთა-უქმური!.. — ლოცულობს ბონდო.

— წმინდაო ფალლუს, შენ გამყარე უქმურთა-უქმური!.. — ლოცულობს თამმუზ.



გასკდა ქვეყანა შუაზე.

განიპო კრეტისაბმელი ტაძრისა მის ზეითგან ვიღ-  
რე ქვედმდე და კლდენი განსქდეს; და შეიძრა ქვეყანა!..

— გუჯუ!.. გუჯუ!.. — იკივლა ბონდომ, — თავის ხმაზე  
თვითონვე გამოერკვა.

— რა მჭირს ეს, რა მჭირს?.. — იძახის იგი. — ხომ არ  
გადავირცე?.. — ჩურჩულობს და შუბლს ისრესს.

თვალები მოიშმუშნა, მიიხედ-მოიხედა: — არაფერი.  
არის სიბნელე და მისი ოთახი. კუთხეში ტალახიანი ლაფ-  
ჩინები ჰყრია: მივიდა და ტახტ ქვეშ შევყარა.

— რა იყო, ბონდო?.. — გამოეხმაურა მეორე ოთახი-  
დან გამოლვიძებული ყარამან.

— არაფერი, მამაქემო, არ მეძინება და რა ვქნა არ  
ვიცი!

— ლვინო დალიე, შვილო, ლვინო და ძილი მოგე-  
რევა!

მოისმა როგორ გადატრიალდა ლოგინში და რო-  
გორ მიეძინა.

— ყველას სძინავს, ყველას!.. — დაიძახა მან სასოწარ-  
კვეთილებით, მოკუმშული მუშტი პირში ჩაიდო და გამ-  
წარებულმა იკბინა.

ლვინიან დოქს დაეწაფა, დალია. დაჯდა მაგიდასთან  
და თავი ჩაჰკიდა.

ლვინომ უარესი ჰქმნა. თავბრუ ეხვევა. კედლები  
უცნაურად იზნიქებიან და ბონდოს ეშინია და ხელებს  
უშვერს, არ წამოიქცეს და ქვეშ არ მოჰყეს დამხო  
ბილ კედლებს.

მაგრედა დატრიალდა. თვალები მოისრისა.

— რა ვქნა, ახლა, რა ვქნა?..

მაგიდაზე ეწყო წიგნები: პ. ჩადაევის „**Философ-**  
სкия письма к г-же \* \* и апология сумасшедшаго,“ —  
იქით მიაგდო.

გადმოილო კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“ და  
სკადა კითხვა, მაგრამ თავში არაფერი შედის.

წავიდა ფიქრებში.

ბონდის მთაგონდა ზღაპარი დოდო ბაყაყშე და  
თეთრ ბატონიშვილზე.

და უეცრად ხედავს, რომ კანტის „წმინდა გონების  
კრიტიკა“ რაღაც უცნაურად იფურცლება თავისით და  
შეუა წიგნიდან გადმოხტა უზარმაზარი ლირწი გომბეშო.

ბონდი სკამს აეტმასნა და ზარდაცემული თვალე-  
ბით ეკითხება:

— ვინ ხარ, შენ?..

ბაყაყმა ნერწყვი გადაყლაპა და ისე, როგორც პატა-  
რო გოგონამ, გაზეპირებული ლექსივით დაიწყო:

— მე ადგილის დედა ვარ, მოციქული მიწისა და  
ბიწიერების!.. მე შენ გნახე ერთხელ და შემიყვარდი. ჩვენ  
ლოყამიდებულნი ვქანაობდით ლელვის შტოზე. მე მუდამ  
მიწაში ვარ და ჩემი ძვლები დახრულია ქარებით. მე წა-  
ველ ქვესკნელში შენ საძებნელად, გეძებე, გეძებე ვერ  
გიპოვნე!.. ბონდო!.. ბონდო!...—გეძახდი მე და შენ, ოურ-  
მე, რიონის ჭაობებში იყავ!—ამბობს გომბეშო და ბონდო  
ჰერძნობს ქალის ნაბრუებელ სურნელებას.

— ერთ დღეს, როცა მე შენზე ოცნებით ვიყავ  
გართული და ლელის პირად მზის ყურეზე ვფიცხდე-  
ბოდი, გველი მომეპარა და სივილით ჩემკენ გამრთ-  
რინდა, მაგრამ მე არ დავნებდი და ლელეში გადახტომა  
მოვასწარ. უჩა-ლართამ-ბატონმა სისინით ჩაიქროლა ჩემ

ნაჯდომ აღგილას, მერე თავი ააღერა და ოფალდაწ  
კურული მეძებდა მე და უნდოდა ჩემში შემოსვლა. მე  
მოვნახე სორო, შევძვერი შიგ და სული მოვიბრუნე. ისე  
მძიმედ დავეცი ლელეში, რომ კინალამ ქვირითი ჩამექცა  
მუცელში. და მე მაშან ვიგრძენ, რომ აქ იყო დადი კა-  
ნონი, კანონი დაცემისა და რამდენი მალლა ახტები, იმ-  
დენი უვრო მაგრა დაცემი მე ვინახავ ამ ქვირითს შენ-  
თვის, შენ უნდა გაანაყოფიერო იგი. მე შენ მიყვარხარ  
და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მე დავებოტებოდი  
ლელიდან ლელებში, ჭაობიდან ჭაობებში, მდინარიდან  
მდინარეებში და მაინც ვერ გნახე. გვალვით ზურგზე ტყავი  
გადამძრა, მზემ ლაშები გამიზმო, გახურებულმა მიწამ და-  
მწვა ფეხის გულები, თვალები გამიშრა შენ ძებნაში და  
ძლივს მოგაგნი!.. — ამბობდა გომბეშო ეინიანად და ბონ-  
დოს რაღაც ტკბილი ბოლმა მოაწვა ყელში, ტანში უც-  
ნაურმა ურუანტელმა დაურბინა.

— ვინ არის ეს?.. ხათუნა, თუ ლიზიკია?.. — ეკითხება  
ის თავის თავს და ჰერძნობს რომ მის მკერდს ხათუნა  
მიეყუდა, ეალერსება მის თმებს და ამ ალერსმა რატომლაც  
დედის ალერსი მოაგონა.

— იქ, შორს ცხრა მთას იქით მე მაქვს მინანქრის  
სასახლე!.. — ამბობს ის ბავშივით ატიტინებული და თან  
ფიქრობს: — „რა შუაშია მინანქრის სასახლე?..“ — მაგრამ  
მაინც განაგრძნობს:

— სასახლეს არტყია ქვითკირის გალავანი, გალავანში  
ზეციდან ბროლის კოშკია ოქროს ჯაჭვებით ჩაკიდებული.  
კონკში მე მზეთუნახავი მყავს დამწყვდეული!..

— ლმერთო ჩემო, სად იყო ეს, სად იყო?... — იგო-  
ნებს ბონდო და არ ახსენდება.



### ისევ განაგრძნობს:

— მისი ტანი ვარდის მტვერით არის შეპუდრული... მე ის თეთრი რაშით გამოვიტაცე ქვესკნელიდან და ფრიალობდა თეთრი ყაბალახი. ახლა გალავანს ცხრა თავიანი მდევები და გველეშაპები სდარაჯობენ...

— მერე, არ გეშინია, რომ შეგვამონ?. — ეკითხება კანკალით ხათუნა და მის მკერდს ეხუტება.

— არა, მე მაქვს ნიშანი და ისინი ამითი მცნობენ, მე იმათი ბატონი ვარ!.. — აიშია მკლავზე სახელო და იქ, სადაც ლურჯი ძარღვი ინაკვთებოდა, ცოტა მაღლა, ხალი აჩვენა.

ქალის სუნთქვა ეალერსებოდა მის სახეს.

ბონდომ შეხედა, — ხათუნა იყო. — ბაყაყის ტყავი შრიალით გადიკეცა ქალის ზურგზე.

რაღაც გაწყდა ტვინში და ბონდოს თვალთ დაუბნელდა. ვნებით გახელებული საკინძეში ეცა და გულის-პირი შემოახია: გაწყდა ზონარი და გადაშლილ კორსეტში გამოჩნდა ატმისფერი ძუძუები.

— მე ისევ ტყვედ ვარ, ბონდო, და მიშველე, მიშველე!.. — დაიკვნესა ქალმა და მძიმე სუნთქვით ბონდოს მიეხუტა.

— ხათუნა!.. ხათუნა!.. — იძახდა იგი უინიანად და ოთახი ზევით ატრიალდა, ბონდოს თავბრუ დაეხვა და უეცრად ხერხემალში იგრძნო ეპილეპსიის ურუანტელი, შიშით შეაურეოლა რომ არ დაწყებულიყო ის ბნელი თავდავიწყება და გამოერკვა: ქალი არ არის, არის ისევ ის ოთახი და უძილო ლამე. ლამის ფრინველი მოასკდა მინას და ბონდო შეკრთა.



მას მოაგონდა ზღაპარი, საღაც ბაყაყის ტყაფს-ტყაფს  
შხეთუნახავის მიჯნური.

შუბლში ხელა გაირტყა და აკვნესებული ტახტზე  
მიესვენა.

— რატომ არ დავწვი, რატომ არ დავწვი მე ის  
ტყავი!..—დაიბლავლა მან და წიგნს ეცა. გადაფურცლა,  
გადაფურცლა, მაგრამ ვერ იპოვნა.

რა ჰქნას ახლა ბონდომ, რა ჰქნას!..

— ხათუნა!.. ხათუნა!. ხათუნა!.. —ჩურჩულებს იგი და  
ჰქნავს წიგნს გაფაციცებით.

აი თავი: „წმინდა გონების ანტინომიები. კოსმოლო-  
გიურ საკითხების სკეპტიკური წარმოდგენა ოთხ ტრან-  
სცენდენტალურ იდეათა შეოხებით.“ — არ არის!.. იქნებ  
აქა: „ყველა საგანთა საფუძვლების phenomena-დ და nou-  
mena-დ განყოფისათვის“ — არც აქა!..

— მაშ სად არის, სად?.. — დაიბლავლა მან განწირუ-  
ლი ხმით, წიგნი კედელს ესროლა და აზლუქუნებული ლო-  
გინში ჩაემხო.

## ქართველები

### სიზმრის დამწვარი

მეორე დღეს ბონო დადიოდა ოთახში წინ და უკან,  
ერთ ადგილას ვერ ისვენებდა.

— რა იყო ეს, რა იყო!.. — იძახდა იგი თმებში ხელ-  
წატანებული.

მერე რატომდაც მივიდა სარკესთან. ჩაიხედა: თვა-  
ლის უბეები ლაინივით ამოლურჯებოდა და შავი თვალები  
მუგუზლებივით ენთო. ტუჩზე სიზმრის დამწვარს გამოეყარა.  
ლოყაზე ხელი მოისვა, წარბები შეიკრა და უცქერის თავის  
თვალებს.

— გიუი ვარ. ნამდვილი ვიუი!.. დაჩიავებული და  
გადაგვარებული!.. — ამბობს ის და დაცინვით უცქერის  
თავის თავს.

მერე შემობრუნდა და მაგიდასთან მივიდა. მაგიდაზე  
იდო კანტას წიგნი. შიგ წევს უზარმაზარი გომბეშო...

გადაფურცლა, გადაფურცლა და გაგულისებულმა  
იქით მიაგდო.

— რა იყო ეს, მოჩვენება, თუ სიცხადე?..

— რამდენი მალლა ახტები, იმდენი მაგრა დაეცემი  
მიწაზე!..

— რატომ?.. — ეკითხება ბონდო.

ეს არ იცის გომბეშომ.



გომბეშოს უყვარს ბონდო და ალბათ იშიტო.

ბონდომ თავი გაიქნია და მოიგერა.

გადასწყვიტა:

— ალბათ მალე გადავირევი!..

უაზრო თვალებით მოიხედა, შეხედა კედელზე მიკი-  
დებულ ბაბუამისის სურათს, ლიზიკიას რომ თავის ოთა-  
ხში გაღმოატანინა.

მივიღა.

— ჩემო ბაბუ!.. რა გინდა, ჩემო ბაბუ, ჩემგან!.. მო-  
მასვენე!.. ხომ ხედავ არ შემიძლია!.. ცოდვა ვარ, ბაბულია...  
დავიღალე!.. — ჩურჩულობს ბონდო ოდნავ გასაგონად პა-  
ტარა განებივრებულ ბავშივით.

დიდი ოტია ზვიადად დასცერის შვილიშვილს ჩა-  
რჩოებიდან.

ბონდომ თავი დაჭხარა და იგრძნო: რაღაცა მოაწვა  
ყელში ქვილით.

— მომცილდი!.. მომცილდი! მომცილდი!.. — დაი-  
ბლავლა მან და გამოერქვა. მიიხედ-მოიხედა და უმწეო  
ლიშილი გასრისა მის ტუჩებზე.

— რა მაბლავლებს, კეცმა რომ იკითხოს, ან რა სა-  
ჭიროა ეს კომედია?..

— ჩემო ბაბულია!.. ჩემო ბაბუ!.. — გასცინა თავისივე  
თავს და უეცრად იგრძნო, რომ ტვინი გადუბრუნდა თავში.

— ტვინი!.. ტვინი... — დაიბლავლა მან და თავში ხელ-  
შეტაცებული აივანზე გაიჭრა.

— რა დაგემართა, ბონდო?.. — შეეკითხა ოთახიდან  
გამოვარდნილი ყარამან.



ბონდო შემოტრიალდა, შეშლილ თვალებით შექცდა  
მამას.

— თავი გამიხმა, მამაჩემო, თავი გამიხმა!.. — დაიბლა-  
ვლა მან დაჭრილ ნადირივით და მამისკენ გაექანა.

— არაფერია, შვილო, მოითმინე და გაგიარს!.. — დაუ-  
ყვავა მამაშ და მკერდზე მიყრდნობილი ბონდო ოთახში  
შეიყვანა.

---

## ქარი მეჩვიდევეზე

### გაფრენილი საცლავები

საღამო იყო კვახისფერი.

ყარამან იჯდა თავის ოთახში და ყალიონს ეწეოდა.

ხის ბაყაყი გულის შემაღონებლად კრუალობდა.

გაიბა ფიქრები ძაფივით.

სადღაც ძროხა ზმუოდა და ლიზიკიას წყევა-კრულვა  
ისმოდა:

— მაცა, შე მამალი გელის შესაჭმელო, რაცხა ორი  
წელი რძეა, გამომაწველიე!..

ვიღაცამ კარი შემოალო: — ბონდოა.

— შეიძლება, მამა?..

— შემოდი!..

შემოვიდა წყნარი ნაბიჯით.

— საღ იყავი, შვილო?..

— არსად, მამაჩემო!.. რაზე ჩატიქრებულხარ?..

— ისე, — ჩავთიქრდი!.. — უპასუხა ყარამანმა.

ჩამოვარდა დუმილი,

ცოტა ხანს შემდეგ:

— ძნელია ხომ, მამა?..

ყარამანმა შეხედა შვილს.

— ოო, რა ძნელია, მამა, რა ძნელი!

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?

## ქარი მეჩვიდეხეთა

### გაფრენილი საფლავები

საღამო იყო კვახისფერი.

ყარამან იჯდა ოვის ოთახში და ყალიონს ეწეოდა.

ხის ბაყაყი გულის შემაღონებლად კრუალობდა.

გაიბა ფიქრები ძაფივით.

სადღაც ძროხა ზმუოდა და ლიზიკიას წყევა-კრულვა  
ისმოდა:

— მაცა, შე მამალი გელის შესაჭმელო, რაცხა ორი  
წევითი რძეა, გამომაწველიე!..

ვიღაცამ კარი შემოალო: — ბონდოა.

— შეიძლება, მამა?..

— შემოდი!..

შემოვიდა წყნარი ნაბიჯით.

— სად იყავი, შვილო?..

— არსად, მამაჩემო!.. რაზე ჩაფიქრებულხარ?..

— ისე, — ჩავთიქრდი!.. — უპასუხა ყარამანმა.

ჩამოვარდა დუმილი,

ცოტა ხანს შემდეგ:

— ძნელია ხომ, მამა?..

ყარამანმა შეხედა შვილს.

— ოო, რა ძნელია, მამა, რა ძნელი!

— რა იყო, შვილო, რა დაგემართა?



— ხომ არ გამიშურები?.. — ამბობს ბონდო და დგას მორჩილი.

— არა, — სთქვი!

— მე ვიცი ერთი რამ!..

— რა?..

— გუჯუ ჩემი ძმაა!..

— კმარა, ბონდო! — დაიკვნესა ყარამანმა და წელები უშწეოდ ასავსავა, მაგრამ ბონდო მაინც განაგრძობს:

— ისიც ავადმყოფია, გიუია, მამა, იმიტომ რომ ისიც შენი ნაყოფია!..

ყარამან ზარდაცემული უცქერის შვილს.

სიჩუმე.

ბონდო:

— ახლა გლეხებიც გვტოვებენ!.. წავიდენ, მამაჩემო, წავიდენ!.. იცი, მამა, ჩვენ მუდამ ასე ვტანტალობდით ქვეყანაზე!.. ოდესლაც ჩვენი წინაპრები დადიოდენ ტიგ-რის ნაპირებზე, ქალდეა იყო ჩვენი ბუნავი, მაგრამ არ გა-გვაყენეს. მუსკი და ოობალი მოედო კაპადუკის მწირ მიდამოებს. ხეთები დაძრწოდენ ბუნავიდან აყრილ ნადი-რივით, მოვიდენ კიმერიელები და აქედანაც აგვყარეს!.. და დავდივართ ასე წელგაშუვეტილნი, დაჩიავებულნი და უიმედონი!.. იცი, მამა, მე რომ საქართველო ხანდახან მოჩვე-ნება მგონია?.. ისიც მოჩვენებაა, რუკაში რომ ჰეხატია, წი-თელი ზოლით შემოვლებული. ვახუშტი ბატონიშვილსაც ეჩვენებოდა იგი საქართველო ბოდვაა, მამაჩემო, შეციე-ბულის ბოდვა!.. ქართლის ცხოვრება დაღარულია საუკუ-ნეთა უბსკრულებით!.. რა მოვვაჭვს ჩვენ ამ უფსკრულე-ბიდან?.. ჯვარი, მამაჩემო, და ზედ გაკრული ჩვენივე თავი ღოგვაჭვს ჩვენ!.. განა შენ არ გაფიქრებს უუმურთა-უუმუ-



რი?.. ქართული მოჩვენებასავით, ლანდივით დადას ციებით გამოყვითლებული და შავი დღე მოგველის ჩვენ!.. ჩვენ უნდა ვეომოთ უუმურს!.. აქიდებიც დაუუმურებულია!.. შენ ეს არ იცი, მამაჩემო! ჩვენ მოგვდევს იგი საუკუნეთა ბნელ სილრმეებიდან!.. ალბათ ტიგრისა და ეფრატის მონაპირე ქალდუელიც ისევე ძიგძიგებდა ციებით შეპყრობილი, როგორც რიონისა და ალაზნის მონაპირე!.. თესლი ჩვენი შეჭმულია პლაზმოდიებით და სისხლი დალორწილი!.. ომ, მამაჩემო, მამაჩემო, როგორ მეშინია მე ამ საუკუნეების!.. ჩვენ დაგვაბერა ამ საუკუნეებმა და ბებერი სისხლი ვერ უძლებს ციებასთან ბრძოლას!.. ჩვენში წყდება გვარები და მოდგმები ისე, როგორც არსად. მოგვჯევენ და მოსვენებას არ გვაძლევენ საუკუნეთა მიერ დაგვალული მუნიანი ჭინკები!.. და ამირანი შებორკილია მათ მიერ!.. შებორკილია და მაინც მღერის:

„დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვნი, ჩემი  
ბედი ასე სჭრისა!..

— ახლა წყდებიან ეს ჭინკები, ჩვენ სულში ამდენ ხანს კუდს რომ აქიცინებდენ!.. შენ არ გეშინია, მამა?..

— რისი, შვილო?..

— ახალი ჭინკების, მამაჩემო, ახალი ჭინკების!.. გუშინ რომ იყვნენ ჩემთან. ისინი ახალი ჭინკები არიან, წითელი ჭინკები და. დედამიწას მთვრალ დედაკაცივით დაატრიალებენ!.. ჩვენ უნდა წავიდეთ, მამაჩემო!. ავიკრათ გუდა-ნაბადი და გაუდგეთ!.. ახლა ახალი ხალხი მოდის!..

ბონდო გაჩუმდა.

ყარამან უცქერის შვილს.

გარეთ საღამო იცრიცება.

ბატები ყიყინებენ.

ბონდომ ამოიოხრა და წამოდგა.

— მომიტევე, მამაჩემო! — სთქვა მან და ღრმად ამო-  
ისუნთქა.

— რა, შვილო?

— მე რომ ასე ვარ.

— ღმერთი გაპატიებს.

— მადლობ, მამაჩემო, დამლოცე! .. — სთქვა მან და  
მამის წინ დაიჩოქა.

ყარამანმა პირჯვარი გადასახა და შუბლში ეამბორა.

ბონდო აღგა, მამას მხარში აკოცა და ერთ ხანს  
იყო მის მხართან თავდახრილი და ისე თრთოდა, თით-  
ქოს ცრემლები აღრჩობდა. მერე მოშორდა და წელმო-  
წყვეტილი, მწუხარე გავიდა ოთახიდან.

ყარამან დარჩა მარტო.

გულში სევდა ღვინოსავით შეეპარა, ჩამოჯდა ტახ-  
ზე. ტახტზე ძველი ხელნაწერი წიგნი ეგდო, — ბონდოს  
დარჩენოდა.

აიღო, სათაური გადაშალა.

გამოხუნებული მელნით ეწერა: „განრჩევად და გა-  
მოცხადებად, რომელთათვის ფილასოფოსნი შთამოვლენ  
ხმათა: და მხილებათა უთაოთა სევერიანთა: ესე იგი არს  
იაკვიტთა. სულგამხრწნელსა წვალებისა“:

წაიკითხა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. იქით მიაგდო.

ფიქრობს:

ამას წინად ბონდო ელაპარაკებოდა დროისა და  
სივრცის შესახებ. რომ ამ ქვეყანაზე ყველაფერი მოჩვენე-  
ბაა, რომ ქვეყანა, ჩვენ რომ ვცხოვრობთ, უნიჭო ბოდვაა.

ფიქრობს იგი და ბალლინჯოებით დასვრილ ფიც-  
რის კედელში გაჩენილ ლრუს მიაჩერდა.

თავში ტრიალებს უცნაური აზრები. არ ესმის, რათ  
არის ქვეყანა მოჩვენებული, ან რა არის ეს ლილი, ასე რომ  
დაუჩემებია. რათ აკლია ლილი ბონდოს? წითელი ჭინკე-  
კები!.. ჭინკები მოდიან და მას ესმის შორიდან მათი  
ყიყინა. მოდიან ისინი ცეცხლითა და ალმურით შერუჯულნი.  
საწყალი ციცინო, ის რომ ცოცხალი იყოს, რა უჭირს  
ყარამანს. ახლა ის მარტოა მიტოვებული.

წუხელ მან საშინელი სიზმარი ნახა:

ვითომ დგას იგი ნანგრევებში და ნანგრევებიდან  
დასცერიან მას ხახვისფერი ძველი ხატები და, როცა იგი  
ასე იდგა ამ ნანგრევთა შორის, უეცრად იგრძნო რომ  
მიწა დაიძრა ადგილიდან, დატრიალდა და ინგრევა ყვე-  
ლაფერი, ყველგან მტვერია, გუგუნი. და ქრისტეს ტირი-  
ლი.

დედამიწამ დაალო ხახა და ქვესკნელიდან მოისმა  
წივილი, წივილს დამარხული მკვდრები ამოჰყვა და დაც-  
ვივდა მიწაზე.

— მეორედ მოსვლა ხომ არა!.. — ფიქრობს იგი,  
ტორტმანობს და კირიან მტვერით ამომწვარ თვალებს  
იშმუშნის. თმები ყალყზე დგას და იგრძნო, რომ თმის  
ძირებში სითეთრე ცივად შეიპარა.

ყარამან დგას და ხედავს რომ მოდიან მკვდრები  
შეციებულნი, აძიგიგებულნი, ტორტმანობენ ქარის მო-  
ბერვაზე, ჰკვნესიან, ჰკივიან და კივილი იგი მიაქვს ქარს  
დაწერილი და ჰფანტავს რიონის თვალუწვდენ ჭაობებში.  
გულში თავისი გაყინული ძვლები ჩაუკრავთ და სულ  
უბერავენ, ათბობენ.

ყარამანმა იცნო ისინი: — ეს ის მიცვალებულნი არა,  
ან, ორპირში რომ ცენიწყალმა წაიღო.

— შეგვიწყალეთ, შეგვინდეთ!.. — ჰკივიან ისინი.

ყარამან დგას გარინდებული და ხელავს რომ მათ  
ვიღაც ქალი გამოეყო, სახეზე ხელი აუფარებია და მო-  
დის მისკენ ტორტმანით. როცა სულ ახლო მოვიდა მას-  
თან, სახეზე ხელი ჩამოიშორა და ყარამანმა იცნო ის.

— ციცინო!.. ციცინო!.. — უნდა იკივლოს მან, მაგრამ  
ვერ ახერხებს, ენა მუცელში ჩაუვარდა და ხმას ვერ  
იღებს.

ციცინო დგას მის წინ მთლად სველი, გაწამებული.

— ყარამან!.. — დაიკვნესა ციცინომ. — ასე უნდა, ყა-  
რამან, საფლავში წყალი შემომიდგა და მიშველე! სუდა-  
რა ტანზე შემომალპა!.. არაა ჩემი საშველი და აგია!.. ქა-  
რები გამიჩნდა და ძვლები მტკივა!..

ქარმა უმატა და ყარამანს ესმის როგორ ზუზუნობს  
და სტირის ქარი ციცინოს გაშიშვლებულ ძვლებში. მერე  
ქარიშხალმა წამოუბერა და ის საფლავები, ცენიწყალმა  
რომ წაიღო, თავახდილი ცერიელი საფლავები, გაფრინ-  
დენ ცაში.

სუდარაგაფრიალებული მკვდრები აედევნენ ამ საფ-  
ლავებს და წივიან განწირული ხმით:

— ჩაგვასვენეთ!.. მოგვასვენეთ!.. დაგდმარხეთ!..

და ყარამანმა იგრძნო რომ, თუ კიდევ გაგრძელდა, —  
შეიშლება, წაქცეული ეკლესიის გუმბათზე შეიჭრა და ცი-  
ვი ხმით დაიკივლა:

— ქარბორია თქვენ, ქარბორია!.. — და ყველაფერი  
გაჭქრა ხელის მოქნევასავით.

გამოერკვა.



მოიხედა, — ტახტზე დგას.

ჩამოვიდა, დაჯდა, შუბლზე ხელი აითარდ და ჩაფი-  
ქრდა.

— აბა, წყალში წევხარ, შე საცოდავო!.. — სთქვა მან.  
ოთახში ბნელოდა.

წისქვილის რახუნი ისმოდა მხოლოდ.

— რა იყო, მამაჩემო?..

ყარამანმა თავი აიღო, — ლია კარებში ბონდო დგას.

— არაფერი, შვილო, ისე, გულს შემომახდა რაცხა!..

— ჰოო!.. — სთქვა ბონდომ რაღაც უცნაურ კილოთი.

— მოითმინე, მამა, მოითმინე, არაფერია, ლვთის

შეწევნით, ყცელაფერი კარგად ჩაიარს!.. — დაუმატა მან,  
თითქოს ნიშნის მოგებით და კარი გაიხურა.

ყარამანს ეკალივით ჩაესო გულში ბონდოს სიტყვები  
და თავი ჩაღუნა.

## ქ ა რ ॥ ე ე თ ვ რ ე ჟ ე წ ე

ფეფელო ქადაგი და აჩა დასასრული აგ  
უგედურად დაწყებული ამგისა

გავიდა რამდენიმე ხანი.

სოფლის დღესასწაული მოახლოვდა.

ეკლესიაზე აუარებელი ხალხი მოგროვდა.

ჩამოდიოდენ მოყვრები, ნათესავები ცხენებით, ურ-  
მებით.

ხის ეკლესია დაძირულია ასწლოვან ცაცხვებში.  
ოდესლაც ამ ცაცხვებს სცემდა თაყვანს ეს ხალხი. დგა-  
ნან ისინი უზარმაზარ მდევის ბარკლებივით.

სალამო ხანია.

ცა ილრუბლება.

გაიმართა ცეკვა-თამაში.

გვიზიანი გოგო-ბიჭები ცეკვავდენ, ხტოდენ უშნოდ,  
შუკლებს ძლივს დაათრევდენ.

ციებისაგან გამოთაყვანებულმა ბიჭებმა გამოიტანეს  
მეშის უზარმაზარი ბურთი. ეკლესის დროშები აულარუნ-  
და. შეგროვდა ხალხი. სამჯერ შემოუარეს ეკლესიას კი-  
რილებისონის გალობით, ყიუინით, სტვენით. გაიტანეს  
ბურთი ტიალ მინდოორში შუა ადგილას და ისროლეს ცა-  
ში. გაჩერდა ყიუინა, ბრძოლა, ვახარამაცი. ლელოსკენ მი-  
იწევდენ. ხელიდან სტაცებდენ ერთი მეორეს.



ბურთი ხან გამოჩენდებოდა შავი, უზარმაზარი, ხსნ—  
დაიკარგებოდა და იყო ურიამული და ნავარდი!—  
— არიქა, ბიჭო კიმოთაა!..

— აგერ ვარ, ბიჭო, მემეცი ბურთი!..— იყო კივილი  
და ძალლი პატრონს ვერ იცნობდა ისე აირია ყველაფერი.  
ცხენოსნებიც ჩაერივნენ თამაშში.

ტანისამოსი არავის შერჩა ტანზე.

ცა იჭმუხნებოდა და ღრუბლები მძიმე, მწვირიან  
ჩვრებივით ეკიდა სულ დაბლა.

თქეში იყო მოსალოდნელი.

მოხუცებული დედაკაცები პირჯვრის წერით სახლ-  
ში მიიჩქაროდენ:

ქათმებს უნდოდა დამუდრება, ძროხას მოწველა,  
ოჯახს მიხედვა და სტუმრებისთვის ვახშამს მომზადება.

ცეკვა-თამაში გრძელდებოდა და ციებით დაყვით-  
ლებული ქალიშვილები ეკოპწიავებოდენ უმაწვილებს.

ქალები მარც ლამაზი იყვნენ, ვაჟები მთლად დაჩი-  
ავებულნი.

ცხვირის ნესტო და ყურები ყვითლიდ ილანდებოდა.

— ტინიპი-ტიპო!.. ტინიპი-ტიპო!.. ტინიპო-ტი-  
პო!.. — პიტინებდა გარმონი.

ხალხი აქა-იქ შექუჩებულიყო და ბაასობდა რკინი-  
გზაზე.

რკინიგზა დაეუფლა მათ გონებას წუთით-წუთზე  
იყივლებდა იგი და დააფრთხობდა სოფელს.

ბინდი დაეკრა დედამიწას.

მთვრალები ბარბაცობდენ და უშნოდ მლეროდენ.

იქა-აქ მოსჩანდენ სკაპცები ახირებულ სამხედრო  
ტანისამოსში.



იყო ხარხარი, კისკისი.

ხნიერი ხალხი ერთად შეკრეფილიყო ექვემდებარებულ ქვეშ შესავალთან და საფლის ჭირ-ვარამზე ბჭობდენ.

ყარამანიც აქ იყო.

ეს უკანასკნელი დღეობა იყო სანავარდოში.

მოკვდება სანავარდო.

დარჩება მწუხარე მოგონებად ეს მხარგაშლილი ცა-ცხვები და საფლავზე დარგული ბზები.

ბონდო ცაცხვის ქვეშ იჯდა ცალკე. ხალხი გვერდს უვლიდა და მორიდებით გადახედავდა.

ეკლესიის უკან კბილებ ჩაბდლვნილ დედაბერივით წა-ფერდილ სენაკში მაკრინე მონაზონი იჯდა, გარეთ არ გა-მოდიოდა, არ ერეოდა მოზეიმე ხალხში.

უეცრად გალავნის იქეთ შეიქნა ჩოჩქოლი, მითქმა-მოთქმა...

ხალხი აირია:

— ფეფელო მოდის, ფეფელო ქადაგი!..

ყველა გზას უთმობდა კაბა აკარწახებულ ფეხშიშველ დედაკაცს.

ფეფელო ავიდა ეკლესიის კიბეზე და გამოჩნდა იგი ჩამომჭენარი და გოროზი.

მთლად კანკალებდა და ამღვრეული თვალებით ხალხს გადახედა. ხალხმა იგრძნო, რაღაც ავის სიახლოვე და გაინაბა.

ფეფელო დაემხო ეკლესიის კარებ წინ და ლოცუ-ლობდა ღიღხანს, გულში მუშტს იცემდა, მოსთქვამდა შე-მზარავად, მერე შემოტრიალდა და უცნაურ ცეცხლით აღგზნებული თვალები დაჰკაკლა.



ზარდაცემული ხალხი გასნატული უცქერის.

ცეკვა-თამაში შესწყდა.

ყველა ეკლესიას მოასკდა.

მხოლოდ შორს სოფლის გზაზე მოისმის მთვრალების „რანუნი.“

— ხალხნო!.. ხალხნო!.. ხალხნო!.. — გააპო ჰაერი მისმა კივილმა.

ხალხმა პირჯვარი გადიწერა და შეიქნა ჩოჩქოლი.

მესერზე მიბმულმა ცხენებმა თავები ჩაჰავდეს: იგრძნეს ავდრის მოახლოვება.

სადღაც გრგვინვა მოისმა.

ელვამ გრეხა დაიწყო ცაში.

ბნელდება.

— ხალხნო!.. რა გეშველებათ, ოქვე უბედური შვილებო, რა გეშველებათ!.. წუხელ ხეთიშობელი გამომეცხადა. და მამხილა, რომ დედამიწა მაკეა უშმურთა-უშმურით!. დედამიწა დედა კი არ არის ჩვენი, — ცოცანი დედალი მგელია, თავისივე ლეკვებს თვითონვე რომ სჭამს!.. ვაი ოქვენ, ხალხნო!.. სანავარდო დაბერწლა!.. უშმური მოსპობს სანავარდოსო, — სწერაა ეფუთში!.. ჭინკები და მავნეები და-ეუფლება სანავარდოსო, — ამბობს კარაბადინი!.. დედაკაცების საშო დვრიტასავით არის გამომჭვნარი, მაჭიკივით არის გამხმარი, რომლითაც დედაკაცები ყველს ადედებენ. ვაჟები უნაყოფონი არიან, როგორც სკაპცები!.. ვაი ოქვენ, ხალხნო!.. ძერის ჰკითხეს: — შვილები გირჩევნია, თუ ორი თვის წყალუსმელობაო?.. — წყლის უსმელობაო!.. ჯორსა ჰკითხეს: შენ რაღაო? — უშვილობაო!.. თქვენთვის არავის უკითხავს და ვინ დაგაბერწათ ასე?!.. ეფუთში სწერია: როდესაც მზე მარტის ოცდაერთს შევიდეს პირველსა ხა-



რისხსა ვერძსა, წლისა მფარველი იყოს მარეხი ლომი-  
თურთ, რომელიც სახლია მზის!.. იყოს ყელის ტკივილი,  
დურბლის ქარები, ხველება და შკერდის ტეხვა!.. ციებით  
ლოგინათ ჩავარდეს ხალხი!.. გამრავლდეს ავადმყოფობა  
მანდილოსანთა და უშვილობა! . შავი დღეები მოველისთ  
თქვენ!.. დედაკაცები ქვას ჰუმბენ და შვილს კი არა!.. გა-  
ცოფდა სანავარდო და ჩვენ ბუშები ვართ მისი. მავნე სუ-  
ლების მარულა გაჭენდება სანავარდოში!.. თავს უშველეთ,  
მოახლოვდა უამი მეორეთ მოსვლისა და დედაოა გოდება  
დააყრუებს ზეცას, მამათა ვაება გააპობს დედამიწას!.. მე-  
უფე უუმური მობძანდება თავის ამალით!.. არული თქვენ,  
წყეულებო!.. ქარბორია!.. ქარბორია!.. ვაა-ვა!.. ვაა-ვა!.. ვაა-  
ვა!..—ჰკივის ფეფელო ქადაგი, პირიდან დორბლს ჰყრის.  
ბუქნავს და მაღლად უჩანს მზისგან დამწვარი ბაყვები.

შიშის ზარი იპყრობს ყველას.

ხალხი შეშფოთდა.

ქადაგი დაეცა მიწაზე და თავგასრესილ გველის  
წიწილივით იგრიხება.

დედაკაცები სტირიან და პირჯვარს ისახავენ...

უცრად კივილი მოისმა. ხალხმა მოიხედა და დაი-  
ნახა, რომ ბონდო მიწაზე გდია და იკლაკნება პირში  
ქაფმორეული.

— ბონდოიე ზნეიანი!..

— ბონდოიე ზნეიანი!..

— ღმერთო, შენ შეგვეწიე!.. ღმერთო, შენ გვიხ-  
სენი!.

გაისმა ვაება და დამფრთხალი ხალხი მიაწყდა ექ-  
ლესიის გალავანს, ეძებენ გადასავალს და ვერ პოულობენ.



მოდის მუცელგახეთქილი უჟმურთა-უჟმული ყვითე-  
ლი, დახავსებული და დალორწა ყველაფერი შხამითა და  
საწამლავით.

დედაკაცები წივიან, იფოფრებიან. დარბიან თავვზა-  
აბნეულნი, ჭიშკარში ვერ ეტევიან და არის ურიამული, წყე-  
ვა-კრულვა, მოთქმა და ვიში.

ღობე ილეწება.

სადღაც თოფი გავარდა.

იელვა ხანჯალმა.

დამფრთხალი ცხენები ახვიხვინდენ.

მოლრუბლული ცა გასკდა უზარმაზარ ხარის ფაშვი-  
ვით და დაუშვა კოკისპირული დამპალი წვიმა.

წამოვიდა თქეში და ნიაღვარი.

ეკლესიის ყავარს რეცხს წყალი:

ცაცხვები შავი ყორნებივით მოფუყულან და წვიმის  
წვეთები მწუხარედ თქაფუნობენ ფოთლებში..

ბალღები უიგიან.

ბასრმა ელვამ გაირბინა ხალხის თვალებში და უეც-  
რად გაისმა ჯერ არსად გაგონილი ზარდამცემი წივილი  
და გამოჩნდა პირველი მატარებელი.

შიფრინავს იგი ტყეებში, ღრეებში.

მიჰკივის, ახველებს შავ კვამლსა და გრიალით არ-  
ღვევს სოფლის მყუდროებას.

მოფრინავს იგი კბილებ დალრჭენილ გველვეშაპი-  
ვით კვნესით, ოხვრით.

მოფრინავს და მრაქვს ბალლინჯოები, ტილები, ნა-  
გავი, ნაცარი, რკინის ავადმყოფობა, ოქრო და ხალხი  
სულ სხვანაირი, გასაკვირველი.

მოდის იგი გამურულ და დაკორძებულ ხელებიან ხალხით.

მოდის კონდუქტორებით, ზეინკლებით, ქაღალდის კაცებით, ქონით გატენილ ხალხით და მისი კივილი მოარულ სენივით ედება მიდამოებს, მისი ჩვენება აფრთხობს ყველაფერს.

ამიერიდან ტყირპის მაგიერ ქონით გაიტენება მუ-  
ცლები.

ჭინკები სოროებში მიძვრებიან.

ჭაჯები მუხებისა და წიფლის დაღრჭენილ ღრუებში იმალებიან.

უჟმურთა-უჟმური იგრიხება ტბა ნარიონას ჭაობებში და თვალდაკუსული, გარინდული ბაყაყები გაოცებით გა-  
ბარდლულან წყლის ლეყებოზე.

მოვიდა ახალი ჭაჯი, მოვიდა წითელი უჟმური და ცხენები დაფრთხენ, გადრივნენ, ყალყზე დგებიან, ეხე-  
ვიან მუცლით მესრის მარგილებს და სადავე აწყვეტილი მიფრინავენ აპოკალიპსიურ ჭიხვინითა და ოქარა-თქურით,  
მიათრევენ გაღმოყრილ ნაწლავებს და ენაგაღმოგდებული  
წუწკი, მუნიანი ძალლები მისდევენ ტალახში ათრეულ  
შიგნეულობას, ჰელეჯენ მსუნავად ქეჩო აყრილნი, ბორო-  
ტად აღრენილნი.

დაღამდა.

სიბნელეა თვალის დათხრამდის.

მატარებლის ოხვრა შენელდა სადღაც სატურიის  
სადგურთან, ამიერიდან რომ სამტრედიის სახელს ატა-  
რებს.

უჟუნეთია და წვიმა თვალებში აშხაპუნებს.

ისმის ხმაური და კივილი სიბნელეში:



— ვინ ხარ, შენ?..

— ეს მე ვარ!..

— ვინ,— შენ?..

— მე,— თავის უნაყოფობაში რომ კვდება!..

— წყეულიმც იყავნ, შენ!..

— შენ?..

— ეს მე ვარ,— ახალ იშედებით რომ მოდის!.. მე,  
ანთებული მომავალი რომ მეთამაშება!..

— მშვიდობა შენდა!..

უეცრად იელვა და გამოჩნდა ყომრალისფრად განა-  
თებული გუჯუ ლაბახუა. დგას იგი წინსაფარ აწეული და  
ჭიხვინობს ველურ ვაყასავით ეკლესიის კარებთან. მის  
გვერდით განართხული ფეფელო ქადაგი იგრიხება მო-  
მაკვდავივით.

ისევ დაბნელდა.

დაყრუვდა ყველაფერი.

ხმები ღამეში:

— არიქა, თავს უშველეთ!.. ვიღუპებით!..

— წყეულიმც იყავნ შენ, სანავარდო!..

— სატურიაში, სატურიაში, საღაც ახალმა ქაჯმა

მიაგნო ბინას!..

• • • • • • • • • • • • • • • • • •

—

## ზ ა ნ დ უ კ ი

88.

კარი პირველი: უბედურად დაწყებული ამბავი . . . . .	7
კარი მეორე: ზამთრის წილადობილა . . . . .	24
კარი მესამე: ისევ წილადობილა . . . . .	38
კარი მეოთხე: ტრამა . . . . .	47
კარი მეხუთე: მშობელ მიწაზე . . . . .	58
კარი მეექვსე: პარასკეობა . . . . .	70
კარი მეშვიდე: დალლილი სისხლი . . . . .	82
კარი მერვე: ბონდოიე გადარეული . . . . .	96
კარი მეცხრე: სკაპცები . . . . .	115
კარი მეათე: Mal'aria . . . . .	123
კარი მეთერთმეტე: კარაბადინი:	129
ა) უუმურთა-უუმური . . . . .	129
ბ) უჩა-ლართამ-ბატონი . . . . .	133
გ) ქვა უშვილობისა—სულეიმანი . . . . .	140
კარი მეთორმეტე: შეცხადება . . . . .	146
კარი მეცამეტე: სატირალი . . . . .	147
კარი მეთოთხმეტე: კულაშელი მარჩიელი . . . . .	157
კარი მეხუთმეტე: წმ. გომბეშო . . . . .	159



კარი მეოქენესმეტე: სიზმრის დამწვარი.	180
კარი მეჩვიდმეტე: გაფრენილი საფლავები . . . .	183
კარი მეოვრამეტე: ფეფელო ქადაგი და აქა დასასრული ამ უბედურად დაწყებული ამბისა . . . .	190

---





კარლავანის ეროვნული ბიბლიოთეკა



K 16.008/2